

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ინგლისური ფილოლოგია

ნესტან აკობია

პრაგმატიკული კატეგორიების შედარება არამხატვრულ და  
მხატვრულ ტექსტებში  
(კონკრეტული ტექსტების მაგალითებზე)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის ( Ph. D.) აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ ასოცირებული პროფესორი: ნათია ნემსაძე



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

2008

## სარჩევი

შესავალი	-----	3
თავი I : პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა იურიდიული ტექსტების მიხედვით	-----	26
თავი II : პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა უმბერტო ეკოს ნაწარმოებ “Foucault’s Pendulum” – იდან პირველი ორი თავის მიხედვით	-----	38
თავი III : პოსტმოდერნისტი მწერლის – უმბერტო ეკოს შედარება რეალისტ მწერალ – ჩარლზ დიკენსთან პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით	-----	55
თავი IV : პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა საგაზეთო სტატიის მიხედვით	-----	66
თავი V : პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა სამეცნიერო სტატიების მიხედვით	-----	79
დასკვნა :	-----	123
კვლევის საბოლოო შედეგები:	-----	153
გამოყენებული ლიტერატურა :	-----	159
საილუსტრაციო მასალა :	-----	165

## შესავალი

ჩემი სამეცნიერო კვლევის საგანს შეადგენს ტექსტის პრაგმატიკული კატეგორიების ძიება და დადგენა ჩემს ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე. ამ კატეგორიების ძიებასა და დადგენას ვაწარმოებ *იურიდიულ* (ორი სახის იურიდიულ ტექსტს განვიხილავ: *საქართველოს კონსტიტუციას — კანონს სახელმწიფოს შესახებ* (ინგლისურ ვერსიას) და *კანონს საქართველოს ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ* (ასევე ინგლისურ ვერსიას), ანუ შეიძლება ითქვას ვადარებ მათ ერთმანეთს), *მხატვრულ* (კლასიკოს მწერალ, *ჩარლზ დიკენსის* ნაწარმოების *"Great Expectation"*- ისა და პოსტმოდერნისტ მწერალ, *უმბერტო ეკოს* ნაწარმოების *"Foucault's Pendulum"*- ის მიხედვით, მათ შორის განსხვავებების მოძებნით), *საგაზეთო სტატიისა* და *სამეცნიერო სტატიების* მიხედვით, (კერძოდ, *ბიოლოგიური, ისტორიული და ლიტერატურული* სამეცნიერო სტატიების მიხედვით), (ასევე მათ შორის განსხვავებების მოძებნით) .

პირველ რიგში, მაინტერესებს გამიჯვნა თავად კატეგორიებს შორის; გამოვყოფ პრაგმატიკულ კატეგორიებს, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან და პრაგმატიკულ კატეგორიებს, რომლებიც მსმენელ სუბიექტს უკავშირდებიან. შემდეგ მაინტერესებს, ზემოთ აღნიშნულ ტექსტებში ამ კატეგორიების პრევალირება-ნაკლებობის დადგენა; მაინტერესებს ასევე, რომელი სტილის ტექსტია ყველაზე ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე (ესენი იმ პრაგმატიკულ კატეგორიებს მიეკუთვნებიან, რომლებიც მსმენელ სუბიექტზე არიან ორიენტირებულნი); ჩემს ნაშრომში ამ ყოველივეს განხილვასა და ახსნა-განმარტებას შევეცდები.

ახლა კი მივყვით თანმიმდევრობას და თავდაპირველად გავერკვეთ, თუ რა არის სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა; გავერკვეთ, რომლები არიან პრაგმატიკული კატეგორიები ანუ რომლები მიეკუთვნებიან პრაგმატიკას და შემდეგ ისინი განვიხილოთ აღნიშნული ტექსტების მიხედვით.

ცნობილია, რომ ყოველი მეცნიერება ან მეცნიერების ცალკეული დარგი არსებობს იმდენად, რამდენადაც მას გააჩნია საკუთარი კატეგორიალური აპარატი. კომუნიკაციური მოდელის შექმნასა და კონსტიტუირებაში კომუნიკაციური აქტის კომპონენტებთან ერთად (ადრესანტი, ადრესატი,

რეფერენციული სიტუაცია და ა.შ. ) მონაწილეობს ენის სისტემა, ხოლო მთელი ენობრივი სისტემის განსახიერებად უნდა ჩაითვალოს ენობრივი ნიშანი, რომლის სამ განზომილებად თანამედროვე ლინგვისტიკას მიაჩნია სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული განზომილებანი. როცა ვამბობთ, რომ თანამედროვე ლინგვისტიკას საფუძვლად უდევს ნიშნის ცნება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფ. დე სოსიურმა შეიმუშავა ეს სამი განზომილება — ისინი პირველად ამერიკელმა ფილოლოგმა პირსმა წამოაყენა. პირველი ეტაპი, ეს იყო სინტაქტიკური აზროვნება, მას მოჰყვა სემანტიკური, ხოლო შემდგომ პრაგმატიკული ეტაპები. ე. ი. მე-20 საუკუნის ლინგვისტიკა – ეს არის სემიოტიკური ლინგვისტიკა, მის თეორიულ საფუძველს კი წარმოადგენს ნიშნის ცნება. სემიოტიკის ზემოთ დასახელებული სამი ასპექტის მიმართება ნიშნისადმი და საერთოდ ენისადმი, შემდგენაირად შეიძლება განისაზღვროს: სინტაქტიკა გამოჰყოფს მიმართებებს ენობრივ ერთეულებს შორის; სემანტიკა ადგენს ენობრივი ერთეულების მიმართებას აღსანიშნი ობიექტის მიმართ; პრაგმატიკა კი იხილავს ენობრივ ერთეულებს მათ მიმართებაში იმ პირთან ან პირებთან, რომლებიც ამ ერთეულებს იყენებენ კომუნიკაციის პროცესში. ენობრივი ნიშნის ამ სამი განზომილებიდან ტექსტის შემთხვევაში განმსაზღვრელი როლი პრაგმატიკულ განზომილებას უნდა მიეკუთვნოს (ლებანიძე გ, 78). გაურკვეველობის თავიდან აცილების მიზნით, მინდა დავასაბუთო, თუ რატომ უნდა მიეკუთვნოს განმსაზღვრელი როლი ტექსტის შემთხვევაში პრაგმატიკულ განზომილებას.

თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვით, ენას საფუძვლად ორი ძირითადი მომენტი უდევს:

*1. ენა არის ნიშანთა სისტემა;*

*2. მას აქვს დონეობრივი სტრუქტურა.*

იყო დრო, როცა ნიშნად ითვლებოდა მხოლოდ სიტყვა (მაგალითად სოსიურთან); შემდეგ მოხდა ნიშნის ცნების "ექსპანსია" და ნიშნად მიჩნეულ იქნა წინადადება. სიტყვა იქნა მიჩნეული არასრულ, ხოლო წინადადება, სრულ ნიშნად. შემდეგ სრული ნიშანი აღმოჩნდა ტექსტი. სემიოტიკური

ლინგვისტიკა მიიღტვოდა და დღესაც მიიღტვის იმისკენ, რომ თავისი განხილვისა და კვლევის უმთავრეს ობიექტად აქციოს ჭეშმარიტად სრული ნიშანი; დღეს კი ასეთად ითვლება ტექსტი.

“როდესაც დიპლომატი ამბობს “დიახ”, ის გულისხმობს “შეიძლება”-ს;

როდესაც ის ამბობს “შეიძლება”, გულისხმობს “არა”-ს;

როდესაც ის ამბობს “არა”, ის არ არის დიპლომატი.

როდესაც ქალბატონი ამბობს “არა”, ის გულისხმობს “შეიძლება”-ს;

როდესაც ის ამბობს “შეიძლება”, გულისხმობს “დიახ”-ს;

როდესაც ის ამბობს “დიახ”, ის არ არის ქალბატონი”. (ვოლტერი, ციტირებული; ესპანურად, ესკანდელში, 1993 – Voltaire, Quoted in Spanish, in Escandell, 1993) ([www.pragmatics.com](http://www.pragmatics.com), 94.)

ამ სტრიქონებში უფრო მეტია ჩადებული, ვიდრე იმაში, რასაც ვიღაც ლიტერატურულად გადმოგვცემს, ანუ იმაზე მეტი იგულისხმება, ვიდრე სიტყვების მნიშვნელობებია. სიტყვების: “დიახ”, “შეიძლება”, “არა”, მნიშვნელობები ინგლისური ენის მცოდნე ყველა ადამიანმა იცის (არაკომპეტენტურების ჩათვლით). შესაძლებელია სხვადასხვა გარემოებებში, სხვადასხვა ტიპის მოსაუბრეთათვის ეს სიტყვები სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს. როგორაა ეს შესაძლებელი? – ისმის კითხვა. რა ურთიერთობაა სიტყვათა მნიშვნელობებს შორის? რას გულისხმობენ მოსაუბრეები, როდესაც ამ სიტყვებს წარმოთქვამენ? რისი გადმოცემა უნდათ მათ? რა მიზნები ამოძრავებთ? ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხის გაცემასაც პრაგმატიკა ცდილობს.

შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ენობრივი სისტემის პრობლემატიკის მკვლევარნი განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი იმ საკითხებით, რომლებიც ძირითადად ენის სტრუქტურას ეხებოდა, ე. ი. სწავლობდნენ სინტაქსურ მიმართებებს ენობრივ ერთეულებს

შორის. შემდეგ, ენობრივი სისტემის სხვა ასპექტების შესწავლის მიზნით, დაიწყო ენობრივი ერთეულების მიმართების დადგენა აღსანიშნი ობიექტის მიმართ, რაც სემანტიკის საკვლევო ობიექტი იყო. 70-იანი წლებიდან ენათმეცნიერთა ინტერესმა გადაინაცვლა ენობრივი ფუნქციონირების შესწავლაზე და ბუნებრივია, მოიძებნა ენობრივი სისტემის ამ ასპექტისათვის შესაფერისი სახელიც – პრაგმატიკა. ჩ. შორისის მიერ ენათმეცნიერებაში შემოტანილი ტერმინი "პრაგმატიკა", სემიოტიკის ორ დანარჩენ ძირითად კომპონენტთან — "სემანტიკასა" და "სინტაქტიკასთან" ერთად მტკიცედ დამკვიდრდა ენათმეცნიერებაში.

სხვადასხვა მოაზროვნეები, მეცნიერები თუ ფილოსოფოსები პრაგმატიკას სხვადასხვანაირად განსაზღვრავდნენ. მინდა, მათი განსაზღვრებები ჩავრთო ჩემს ნაშრომში:

1. *შორისი (1938)* – პრაგმატიკა შეისწავლის ურთიერთობას ენობრივ ნიშნებსა და მათ გამომყენებლებს (ინტერმპრეტირებლებს) შორის. პრაგმატიკის საშუალებით განისაზღვრება ენობრივი ნიშნებისა და მათი ინტერმპრეტირებლების მეცნიერება. ენობრივ ნიშანთაგან ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც მათი ინტერმპრეტირებლების მსგავსად საარსებო ორგანიზმები გააჩნიათ. სავსებით სწორად დავახასიათებთ პრაგმატიკას, თუ ვიტყვით, რომ ის შეისწავლის სემიოზისის ბიოტურ ასპექტებს. ენობრივ ნიშანთა ფუნქციონირებისას ყველა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მოვლენა იჩენს თავს.
2. *კარნაპი (1942)* – თუ კვლევისას, მეტყველი სუბიექტის ანუ ადრესანტის მიმართ ექსპლიციტური რეფერენცია შეიქმნა, მაშინ საქმე გვაქვს პრაგმატიკასთან. თუ მეტყველ სუბიექტს მოვწყდებით და მხოლოდ გამონათქვამებსა და მათ აღსანიშნებს განვიხილავთ, საქმე გვექნება სემანტიკასთან. ხოლო თუ აღსანიშნებსაც მოვწყდებით და მხოლოდ გამონათქვამებს შორის ურთიერთობას განვიხილავთ, მაშინ უკვე საქმე გვაქვს სინტაქტიკასთან.

3. **ბარ-ჰილელი (1954)** – მჯერა, რომ ინდექსური ენების კვლევა და მათი სისტემების შექმნა, თანამედროვე ლოგიკოსების კვლევის საგანს წარმოადგენს. ამასთანავე, შემიძლია დავამატო, რომ ინდექსური ენების კვლევა “დესკრიპტიული პრაგმატიკის” შესწავლის საგანია, ხოლო ინდექსურ ენათა სისტემების აგება კი – “წმინდა წყლის პრაგმატიკის”.
  
4. **სტოლმეიკერი (1970)** – სინტაქსი სწავლობს წინადადებებს, სემანტიკა სწავლობს პროპოზიციებს, პრაგმატიკა კი სწავლობს ლინგვისტურ აქტებს და იმ კონტექსტებს, რომლებშიც ეს აქტები წარმოიქმნებიან. პრაგმატიკის ფარგლებში ორი მთავარი პრობლემა უნდა გადაიჭრას: 1) განისაზღვროს სამეტყველო აქტთა და სამეტყველო პროდუქტთა საინტერესო ტიპები. 2) დახასიათდეს იმ სამეტყველო კონტექსტის თვისებები, რომლებიც დახმარებას უწევენ იმის განსაზღვრას, თუ რომელი პროპოზიცია იგულისხმება მოცემული წინადადებით. სემანტიკის პრობლემას წარმოადგენს, დაადგინოს წესები, როგორ აიგოს წინადადებები იმ პროპოზიციებთან ერთად რასაც ეს წინადადებები გამოხატავენ. უმეტეს შემთხვევაში, ეს წესები წინადადებებსა და პროპოზიციებს პირდაპირ ვერ უსადაგებს ერთმანეთს, ისინი ერთმანეთს იმ კონტექსტით ესადაგებიან, რომლებშიც წინადადებები გამოიყენება. სწორედ ეს კონტექსტური თვისებები წარმოადგენს პრაგმატიკის განხილვის საგანს.
  
5. **დევისი (1991)** – პრაგმატიკა შეისწავლის მეტყველი სუბიექტის ანუ ადრესანტის კომუნიკაციურ ინტენციას, მსმენელი სუბიექტის ანუ ადრესატის სტრატეგიებს, რომელთა მეშვეობითაც იგი იგებს, თუ რას წარმოადგენენ ეს ინტენციები და აქტები და შეუძლია, გაიგოს თუ რისი თქმა უნდა მეტყველ სუბიექტს. ([www.pragmatics.com](http://www.pragmatics.com), 94.)

ყველა მოაზროვნისა თუ მეცნიერის აზრი პრაგმატიკის თაობაზე რომ გავაერთიანოთ, საბოლოოდ მივიღებთ ერთ აზრს, რომ პრაგმატიკა არის ნიშანთა კერძო, ენობრივი სისტემების შემსწავლელი მეცნიერების – სემიოტიკის დარგი, რომლის მიზანია ენასა და ენის გამოყენებებს შორის არსებული დამოკიდებულების გამოკვლევა. ენის პრაგმატიკული კვლევისას მხედველობაში მიიღება ენობრივი სიტუაციის არსებობის 3 ძირითადი ფაქტორი:

- 1. ის ვინც სარგებლობს ენით.*
- 2. წერილობითი, ბგერითი ან სხვა ფორმით განხორციელებადი ენობრივი გამოსახულებები.*
- 3. ის, რასაც გულისხმობს ენის გამოყენებელი, როდესაც გამოიყენებს ენობრივ გამოსახულებას (ენის შინაარსი).*

პრაგმატიკისგან განსხვავებით სემიოტიკის სხვა დარგებში შეისწავლება ან ენის ფორმალური ნაწილი - ენობრივ გამოსახულებათა სტრუქტურული თავისებურებანი (სინტაქსი), ან ენის ინტერპრეტაცია – დამოკიდებულება ენობრივ გამოსახულებებსა და ენის შინაარსს შორის (სემანტიკა).

პრაგმატიკა სემიოტიკის ემპირიული დარგია, რადგან ადამიანთა მიერ ენის გამოყენების შესწავლა მოითხოვს ფსიქოლოგიურ, ისტორიულ და სხვა ფაქტორების კვლევას. სემიოტიკისა და პრაგმატიკის ძირითადი პრინციპები პირველად ჩ. პირსმა ჩამოაყალიბა. ( ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 82.)

XX საუკუნის თეორიულ ლინგვისტიკაში ორი ასპექტი გამოიყოფა: პირველია – ემპირიული ასპექტი, რომელიც იმაში მდგომარეობს, თუ რომელი ლინგვისტური შრომები იკავებდნენ თეორიული მიმართულების მიმცემი შრომების პოზიციას. იყო სოსიური, პარალელურად ამერიკელი სტრუქტურალისტები (ბლუმფილდი), მათი ურთიერთგადაკვეთა. იყო სხვადასხვა მიმართულება – გლოსემანტიკა, პრადის სკოლა და ა. შ. მეორე ასპექტი კი არის ამ მოძრაობის შინაგანი ლოგიკა, ანუ მოხდა XX საუკუნის ლინგვისტური აზროვნების თეორიული რეკონსტრუქცია. ყოველი



რეკონსტრუქცია გულისხმობს გარკვეულ რეტროსპექციას. ეს თეორიული რეკონსტრუქცია გამოიყურება შემდეგნაირად: თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ნიშნის ცნება, ე. ი. XX საუკუნის ლინგვისტიკა. ნიშნისა ცნება კი თუ ჩვენ თეორიული რეკონსტრუქციის გზას დავადგებით, გულისხმობს ნიშნის სტრუქტურის ორმაგ აღნაგობას – მის მოცულობას ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილებში. ჰორიზონტალურ ჭრილში ყოველი ნიშანი, იერარქიის რომელ დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს იგი (ეს იქნება სიტყვა, თუ წინადადება, თუ თვით ტექსტი), ხასიათდება იმ სამი განზომილებით, რომლებსაც სემიოტიკის როგორც ერთიანი მოძღვრების მიხედვით ეწოდება სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა. როცა ვამბობთ, რომ თანამედროვე ლინგვისტიკას საფუძვლად უდევს ნიშნის ცნება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფ. სოსიურმა შეიმუშავა ეს სამი განზომილება, ისინი პირველად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკელმა ფილოსოფოსმა პირსმა წამოაყენა. თავდაპირველად ეს სამი განზომილება ლინგვისტიკის ფარგლებს გარეთ ჩამოყალიბდა. თეორიული რეკონსტრუქცია კი გულისხმობს იმას, რომ ის რაც შემდგომ გამოვლინდა, მოცემული იყო უკვე თეორიული განვითარების სათავეებში. პირველი ეტაპი იყო სინტაქტიკური აზროვნება, მას მოჰყვა სემანტიკური, ხოლო შემდგომ პრაგმატიკული ეტაპები. თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში პირველ პლანზეა პრაგმატიკული კვლევა. ეს იყო ნიშნის მოდელით რეპრეზენტირებული ლინგვისტური აზრის მოძრაობის ჰორიზონტალური განზომილება.

მეორეა ვერტიკალური განზომილება. ვერტიკალურ ჭრილში ჩვენ გვაქვს უკვე ნიშანთა იერარქიული ტიპოლოგია. ამ ტიპოლოგიას წარმოშობს სრულ და არასრულ ნიშანთა ურთიერთდაპირისპირება და ურთიერთკავშირი. სწორედ ეს დაპირისპირება და ურთიერთკავშირია ის, რაც ქმნის ენის დონეების მიხედვით ორგანიზაციას, ენის დონეებრივ სტრუქტურას. ენის რომელი დონის ძირითადი ერთეული ჩაითვლება სრულ და რომელი – არასრულ ნიშნად, ეს მუდამ დამოკიდებულია ლინგვისტური აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. იყო დრო, როცა ნიშნად ითვლებოდა მხოლოდ სიტყვა (მაგალითად სოსიურთან), შემდეგ მოხდა ნიშნის ცნების “ექსპანსია” და ნიშნად მიჩნეულ იქნა წინადადება. აქ მოხდა დაპირისპირება: სიტყვა იქნა მიჩნეული არასრულ, ხოლო წინადადება – სრულ ნიშნად. ყოველი არასრული ნიშანი აღებულ იქნა სრული ნიშნის ინტეგრანტად.

შემდეგ სრული ნიშანი აღმოჩნდა ტექსტი, მაგრამ დარჩა ნიშანთა იერარქიული ურთიერთმიმართების იდეა. სემიოტიკური ლინგვისტიკა მიიღწეოდა და დღესაც მიიღწვის იმისკენ, რომ თავისი განხილვისა და კვლევის უმთავრეს ობიექტად აქციოს ჭეშმარიტად სრული ნიშანი. ლაპარაკი იყო სინტაქსის ( ე. ი. წინადადების ცენტრალურობაზე), დღეს კი ასეთად ითვლება ტექსტი. როგორც ჰორიზონტალურ ჭრილში ანტინომიების წარმომშობ საბოლოო ეტაპად გვევლინება პრაგმატიკა, ვერტიკალურში ასეთად გვევლინება ტექსტი.

XX საუკუნის ლინგვისტიკის დინამიკის თეორიული რეკონსტრუქცია მოხდა. ამ დინამიკის საფუძველს წარმოადგენდა ენის სემიოტიკური გაგება (ენა არის ნიშანთა სისტემა), ნიშნის ცნება და მოდელი. ეს დინამიკა ორი მიმართულებით იშლებოდა: ერთი მხრივ, ეს იყო მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ – ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორცაა ჰიპოთეტურად ტექსტი.

ეს იყო შესავალი იმ ფაქტისა, თუ როგორ ვითარდებოდა მე-20 საუკუნის ლინგვისტიკა და რა ცვლილებები განიცადა მან. ახლა კი, რაც შეეხება საკუთრივ კატეგორიებს.

ენობრივი სისტემის ყველა კატეგორია მიეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილი სამი განზომილებიდან რომელიმეს. ყოველი კატეგორია თავისი შინაარსის თვალსაზრისით შინაგანად იქმნება, კონსტიტუირდება ორი რეალობის ურთიერთგადაკვეთის შედეგად; ეს ორი რეალობა, ერთის მხრივ კომუნიკაციის აქტია, ხოლო მეორეს მხრივ, ენობრივი ნიშნის სათანადო განზომილება. რომელი კატეგორიაც არ უნდა ავიღოთ, მისი დღევანდელი გაგება (კომუნიკაციურ-ლინგვისტური გაგება) აუცილებლად გულისხმობს ამ ორი რეალობის ურთიერთგადაკვეთას, მათ სინთეზს.

როცა თავის დროზე შეიქმნა ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი, პრაგმატიკა განისაზღვრა, როგორც მიმართება ენობრივ ნიშანსა და იმ სუბიექტს შორის, რომელიც იყენებს ამ ენობრივ ნიშანს. მაგრამ პრაგმატიკის ასეთი განსაზღვრა მოხდა მაშინ, როცა, რა თქმა უნდა, არ არსებობდა კომუნიკაციის ის გაგება, რომელიც არსებობს დღეს და, რომელიც საფუძველად უდევს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას. კომუნიკაციის ცნება კომუნიკაციური ლინგვისტიკის წარმოშობამდე გაიგებოდა, როგორც ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია. ამ გაგებით, მეტყველ სუბიექტს აქვს გარკვეული

კოდი, იგივე კოდი გააჩნია კოლექტივის სხვა წევრებს და ამ კოდს მეტყველი სუბიექტი იყენებს იმისთვის, რომ რაღაც აცნობოს მეორე სუბიექტს. ეს იგივეა, რაც ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია. ამ დროს ჩნდება ნიშანთა გარკვეული თანმიმდევრობა; მათ შორის მყარდება გარკვეული ურთიერთკავშირი — სინტაქტიკა, სემანტიკა, მაგრამ არის კიდევ მიმართება სუბიექტსა და მის მიერ გამოყენებულ ნიშნებს შორის — პრაგმატიკა. თუ თავიდან იყო კავშირი სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს, მინიმუმ ორი სუბიექტი გვყავს; ე. ი. გვაქვს არა მარტო სუბიექტურობა, არამედ ინტერსუბიექტურობა. გარდა ამისა, გვაქვს არა მარტო მიმართება ორ სუბიექტს შორის, რომელიც აისახება გამონათქვამში, არამედ არის მიმართება მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის, ასევე მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის.

იმისათვის, რომ გავიგოთ პრაგმატიკა და მისი ცალკეული კატეგორიები, საჭიროა ორი პირობა:

- 1. გავითვალისწინოთ, თუ ნიშნის რომელ განზომილებას ეკუთვნის ეს კატეგორია.*
- 2. როგორ უნდა გავიგოთ ენობრივი სუბიექტი და საერთოდ, სუბიექტურობის ცნება თვით კომუნიკაციურობის ფარგლებში.*

როდესაც ლაპარაკია სუბიექტზე კომუნიკაციის აქტის თანამედროვე მოდელის თვალსაზრისით, მაშინ მხედველობაში მისაღები სუბიექტურობის სამი აუცილებელი მომენტი:

- 1. კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს მეტყველ სუბიექტს ანუ ადრესანტს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკის ფარგლებში უნდა გვქონდეს კატეგორიათა სისტემა, რომლებიც ასახავენ სწორედ ადრესანტის მთელ პოზიციას კომუნიკაციურ აქტში.*
- 2. უნდა გვქონდეს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება მსმენელ სუბიექტთან ანუ ადრესატთან.*

**3. კომუნიკაციის ყოველ აქტში გვაქვს არა მარტო ორი სუბიექტი, არამედ ურთიერთმიმართება მათ შორის, ანუ ინტერსუბიექტურობა.**

დღეისათვის პრაგმატიკულ კატეგორიათა ის სისტემა, რომელიც უკავშირდება მეტყველ სუბიექტს, ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე დანარჩენი ორი ქვესისტემის კატეგორია, მაგრამ კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია სუბიექტურობის ორი დანარჩენი ფაქტორის გათვალისწინება. (ღებანიძე გ., 78.)

ჯერ მინდა, ჩამოვთვალო ცალკე პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც უკავშირდებიან და ასახავენ მეტყველი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში და პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც უკავშირდებიან და ასახავენ მსმენელი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში, ხოლო შემდეგ განვმარტო თითოეული მათგანი და ბოლოს, განვიხილო ისინი ჩემს მიერ არჩეულ მხატვრული და არამხატვრული ტექსტების მიხედვით.

**მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან შემდეგი პრაგმატიკული კატეგორიები:**

ლოკაციის კატეგორია

მოდალობის კატეგორია

შეფასების კატეგორია

ემოციურობის კატეგორია

დისტანტურობის კატეგორია

**მსმენელ სუბიექტს კი უკავშირდება სამი პრაგმატიკული კატეგორია:**

### ინფორმაციულობის კატეგორია

### ექსპრესიულობის კატეგორია

### გამჭვირვალობის კატეგორია.

ახლა კი რაც შეეხება კატეგორიათა კონკრეტულ შინაარსს, დავიწყოთ ლოკაციის კატეგორიით. ბენვენისტი იყო პირველი, რომელმაც ხაზი გაუსვა როგორც სამეტყველო აქტის ეგოცენტრულობას, ისე მის ინტერსუბიექტურობას და ზოგადად სუბიექტის ხასიათს. მანვე პირველად გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ყოველი გამონათქვამის შინაარსი დამოკიდებულია არა მარტო მასში უშუალოდ ასახულ რეალობაზე (რეფერენტული სიტუაცია), არამედ აგრეთვე იმაზეც, თუ როდის, სად და ვის მიერ არის პროდუცირებული ეს გამონათქვამი. ეს სამი შინაარსობრივი კოორდინატი, რომლებიც, გარდა ასახული რეფერენტული სიტუაციისა, განსაზღვრავენ გამონათქვამის შინაარსს, უკვე არსებობს ბენვენისტის კონცეფციაში. შემდეგ ი. სტეპანოვმა ტერმინოლოგიურად გააფორმა ბენვენისტის მიერ გამოყოფილი ეს სამი კოორდინატი: დროული, სივრცობრივი, სუბიექტური და კოორდინატთა ამ სისტემას ლოკაცია უწოდა.

ლოკაციის ფორმულაა: “მე, აქ, ახლა”, ე. ი. ლოკაციის კატეგორიას აქვს სამი ასპექტი: პერსონალური, საკუთრივ ლოკალური და ტემპორალური. ლოკაციის კატეგორია ახალი კატეგორიაა და მისი ჩამოყალიბება ემთხვევა პრაგმატიკის ჩამოყალიბებას. რაც შეეხება სხვა კატეგორიებს, ხდება უკვე არსებულ კატეგორიათა გადააზრება და მათთვის პრაგმატიკულობის სტატუსის მინიჭება.

მოდალობის კატეგორია დიდი ხანია ცნობილია. მუდამ ერთმანეთისგან განასხვავებდნენ სუბიექტურ და ობიექტურ მოდალობას. ობიექტური მოდალობა – ესაა გამონათქვამში ასახული სიტუაციის დამოკიდებულება რეალობასთან, სუბიექტური მოდალობა კი ასახავს მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას გამონათქვამში ასახული სიტუაციის მიმართ.

ის, რაც შეფასების კატეგორიით აღინიშნებოდა, მიჩნეული იყო ენობრივი ნიშნის, მაგ: სიტყვის კონოტატიურ კომპონენტად. შეფასების კატეგორია ეყრდნობოდა იმას, რომ ყოველი გამონათქვამი და პირველ რიგში,

ამ გამონათქვამის ლექსიკური ელემენტები მუდამ შეიცავენ არა მარტო რეალობის უბრალო ნომინაციას, არამედ მის შეფასებასაც, ხოლო ეს შეფასება საბოლოო ჯამში მუდამ გულისხმობს კარგისა და ცუდის ოპოზიციას. როგორც არ უნდა იყოს სიტყვის შეფასებითი შინაარსის სირთულე, იგი მუდამ დაიყვანება ამ ოპოზიციაზე. ლაპარაკობენ შეფასებით სემაზე, მაგრამ არსებობს აზრი, რომ ასეთ ელემენტებს ეწოდოს პრაგმემაც, რადგან ეს ოპოზიცია პრაგმატიკული ხასიათისაა და ასახავს მეტყველი სუბიექტის აქსეოლოგიურ დამოკიდებულებას რეალობისადმი. როცა ლაპარაკია შეფასების კატეგორიაზე, არის მუდამ პრობლემა ემოციურობის კატეგორიასთან მისი აღრევისა. ეს ორი კატეგორია ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან.

უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების კატეგორია თანამედროვე ლინგვისტიკაში მეტად თუ ნაკლებადაა გაანალიზებული სწორედ პრაგმატიკული თვალთახედვით. მისი შესწავლა ტრადიციულ ლინგვისტიკაში უფრო ხდებოდა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ემოციები განყენებულად არ არსებობს, არამედ სუბიექტს ახლავს, ესეც პრაგმატიკული კატეგორიაა.

ისეთი ეგოცენტრული კატეგორია, როგორცაა დისტანტურობა, ასახავს მეტყველი სუბიექტის დაინტერესებულობას გამონათქვამის შინაარსით, იმას თუ რამდენადაა იგი პირადად ჩართული გამონათქვამში. დისტანტურობის დონე დამოკიდებულია არა მარტო გამონათქვამის შინაარსზე, არამედ იმაზეც, რომელ ფუნქციურ სტილს ეკუთვნის იგი. მაგ: მეცნიერულ სტატიაში ეს ფაქტორი უფრო ნაკლებადაა გამოვლენილი, ვიდრე მხატვრულში.

ეს რაც შეეხებოდა ადრესანტზე ორიენტირებულ პრაგმატიკულ კატეგორიებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ არსებობს ადრესატზე ორიენტირებული კატეგორიებიც, რომლებიც ასახავენ ადრესატს, მის პოზიციასა და გავლენას გამონათქვამზე. უნდა ითქვას ისიც, რომ პრაგმატიკულ კატეგორიათა პირველი ქვესისტემა ბევრად უკეთესადაა შესწავლილი, ვიდრე მეორე, ვინაიდან პრაგმატიკა ტრადიციულად გულისხმობდა მხოლოდ სუბიექტს, ლაპარაკობდა სამეტყველო აქტის ეგოცენტრიზმზე. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს მეორე ქვესისტემაც ასე თუ ისე შესწავლილია, განუმარტოთ ისინიც. კატეგორიათა ამ ქვესისტემას საფუძვლად უდევს ადრესანტის დაინტერესება იმაში, რომ ადრესატმა მას ადეკვატურად გაუგოს. ადრესანტმა უნდა გაითვალისწინოს ადრესატი – ეს

საკომუნიკაციო აქტის ეფექტურობის საფუძველია. ეფექტურობის მისაღწევად არაა საკმარისი, რომ ტექსტი შეიცავდეს ლოკაციას, მოდალობას, შეფასებას და ა. შ. ტექსტი გარკვეული თვალსაზრისით უნდა იყოს ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე.

ინფორმაციულობის კატეგორიის შინაარსი, კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მთლიანად ივსება და იფარება იმ ფენომენით, რომელსაც ტრადიციულად წინადადების აქტუალური დანაწევრების ფენომენი ეწოდება. ის, თუ როგორ ხდება ამ ტრადიციული ცნების პრაგმატიზაცია (მისთვის პრაგმატიკული კატეგორიის სტატუსის მინიჭება), შეიძლება გამოდგეს იმის ზოგად ნიმუშად, თუ როგორ ითვისებს თანამედროვე ლინგვისტური პრაგმატიკა ტრადიციულ კატეგორიებს, ანუ როგორ ხდება ტრადიციული ცნებების ტრანსპოზიცია პრაგმატიკის სფეროში. ამ შემთხვევაში ძირითადად გასათვალისწინებელია ორი მომენტი:

- 1) *რას ნიშნავს “წინადადების აქტუალური დანაწევრების” ცნება? ყოველი წინადადება ხასიათდება ბინარული – სუბიექტ-პრედიკატული სტრუქტურით. სუბიექტი არის ის, რაზეც რაღაც ითქმის, ან რასაც რაიმე მიეწერება; ხოლო პრედიკატი არის ის, რაც ითქმის სუბიექტზე ან მიეწერება მას. ე. ი. სუბიექტი არის ის, რაც ცნობილია. თვით სუბიექტისა და პრედიკატის ცნება თავის თავში გულისხმობს გარკვეულ ინფორმაციულობას. უფრო ზუსტად, წინადადების ბინარული სტრუქტურა გარკვეულ ფუნქციას ასრულებს და ეს ფუნქცია უკვე გულისხმობს ინფორმაციულობას.*
- 2) *მეორე მომენტი არანაკლებ მნიშვნელოვანია. ყოველი პრაგმატიკული კატეგორია მუდამ მიუთითებს სუბიექტის ან სუბიექტთა როლზე და ამ როლის გავლენაზე არა წინადადების და მითუმეტეს არა ცალკეული სიტყვის, არამედ მთლიანი ტექსტის ფარგლებში; ე. ი. ყოველი კატეგორია შინაგანად დაკავშირებულია ტექსტთან იმ მიზეზით, რომ კომუნიკაცია ხდება არა წინადადების, მითუმეტეს არა*

*ცალკეული სიტყვის, არამედ ტექსტის საშუალებით, ტექსტის ფარგლებში.*

ახლა გადავიდეთ გამჭვირვალობის კატეგორიაზე. თვით ამ კატეგორიის არსებობა და შინაარსიც განპირობებულია ადრესატით. ტერმინი “გამჭვირვალობა” აღებულია ყოველდღიური ცხოვრებიდან და მეტაფორული ხმარების შედეგად მას მინიჭებული აქვს მეცნიერული მნიშვნელობა. ტექსტის გამჭვირვალობა გულისხმობს იმას, რომ ადრესანტის ნათქვამი გასაგებია ადრესატისთვის. გამჭვირვალობის ანტონიმი იქნება გაუმჭვირვალობა, რაც არაკომუნიკაციურობის ნიშანია. იგი არის სამყაროს განსხვავებული ხედვის ასახვა. გაუმჭვირვალობა არის იქ, სადაც არის სუბიექტთა მარტოსულობა.

გამჭვირვალობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. *ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირი უნდა იყოს ორივე მონაწილესათვის. ამ პირობის გარეშე გამჭვირვალობა ვერ იქნება. საერთო უნდა იყოს აგრეთვე თვით ის საგნობრივ-სიტუაციური სფერო, რომლის მონაკვეთსაც წარმოადგენს ეს რეფერენტული სიტუაცია.*
2. *კომუნიკაციური სიტუაცია (ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება) უნდა იყოს იდენტური კომუნიკაციის ორივე მონაწილესათვის.*
3. *კომუნიკანტთა თეზაურუსები – მათი ფონური ცოდნა, თუ სამყაროს ხატი ან უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს ან მათ შორის არ უნდა იყოს პრინციპული განსხვავება. ადრესანტის მიერ ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს და მათ შეხამებებს არ უნდა ჰქონდეთ ისეთი მნიშვნელობა, რომელიც პრინციპულად განსხვავებულია იმ მნიშვნელობებისაგან, რომელსაც მას ადრესატი ანიჭებს.*

გამჭვირვალობას, როგორც ზოგადი, ისე სიტუაციური ფაქტორები განაპირობებენ – ფაქტორები, რომლებიც კომუნიკანტთა მთელი ცხოვრებიდან და პიროვნულიდან გამომდინარეობენ და ფაქტორები, რომლებსაც



კონკრეტული სიტუაციები განსაზღვრავენ. გამჭვირვალობის კატეგორია უშუალოდ მიემართება ისეთ ზოგადკომუნიკაციურ კატეგორიას, როგორცაა კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორია.

პრაგმატიკულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემის შემდეგი კატეგორიაა ექსპესიულობის კატეგორია. ამ კატეგორიის მიზანია ადრესატზე ზემოქმედება. ის მუდამ ორი ფუნქციური მომენტის შერწყმის შედეგია:

- 1) *ადრესანტის კომუნიკაციური ინტენცია (რა ზემოქმედება სურს მას, მოახდინოს ადრესატზე).*
- 2) *ადრესანტის მიერ სამყაროს იმ ხატის გათვალისწინება, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისათვის.*

თუ ადრესანტი გამოხატავს რაიმესადმი თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების გამოხატვა კომუნიკაციური თვალსაზრისით ეფექტურია, ხოლო ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაფიქრებულ ზეგავლენას ახდენს, მაშინ ეს კომუნიკაციური ეფექტურობა ემყარება არა მარტო მის კომუნიკაციურ ინტენციას, არამედ მის მიერ სამყაროს იმ ხატის ადეკვატურად გათვალისწინებასაც, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისათვის. (ღებანიძე გ., 78).

ეს, რაც შეეხებოდა პრაგმატიკული კატეგორიების შინაარსს.

ვინაიდან და რადგანაც ჩემს სადისერტაციო შრომაში პრაგმატიკული კატეგორიების სხვადასხვა ტიპის ტექსტების მიხედვით განხილვას ვაპირებ, საჭიროდ მიმაჩნია, ზოგადად ტექსტთა ჟანრებად კლასიფიცირება მოვახდინო. მინდა შემოვიტანო ტერმინები: *ჟანრი, რეგისტრი, ტექსტის ტიპი*.

ტექსტთა ჟანრებად კლასიფიცირება ყველა ტიპის ლინგვისტური და პედაგოგიური კვლევისთვის არის მნიშვნელოვანი. ისმის კითხვა: რატომ უნდა მოხდეს ტექსტთა ჟანრებად კლასიფიცირება? ამ შეკითხვის მოკლე პასუხია ის, რომ ნებისმიერი ენის მასწავლებლებმა და მკვლევარებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რა ტიპის ენას ასწავლიან ან იკვლევენ. უფრო მეტიც, მეტყველ სუბიექტთა ანუ ადრესანტთა უმრავლესობას სურვილი აქვს, საქმე ქონდეს ერთ სპეციფიკურ ჟანრთან ან სხვადასხვა ჟანრებთან; ასე რომ მათ, მათ

მიერვე ჩატარებული ნებისმიერი განზოგადებათა სფეროს განსაზღვრა შეუძლიათ.

ღვეოდ ლის აზრით, *“ჯანრი”* არის ტექსტის კატეგორიზაციის დონე, რომელთან მუშაობაც თეორიულად და პედაგოგიურად ყველაზე საჭირო და პრაქტიკულია, ასევე მნიშვნელოვანია მეცნიერების დარგებად კლასიფიკაციაც“ . ( classification by domain is important as well ).

ბაიბერის აზრით, ჟანრსა და ტექსტის ტიპს შორის განსხვავება ისაა, რომ ჟანრი გარეგან, არა ლინგვისტურ “ტრადიციულ“ კრიტერიუმზეა დაფუძნებული, მაშინ როდესაც ტექსტის ტიპი თვითონ ტექსტთა შიდა ლინგვისტურ მახასიათებლებს ეფუძნება.

ასეთი მიდგომის მიხედვით, *ჯანრი* განისაზღვრება როგორც კატეგორია, რომელიც ისეთ გარეგან, არალინგვისტურ კრიტერიუმის ბაზაზეა დაფუძნებული, როგორცაა შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად აუდიტორია, მიზეზი და მოქმედების ტიპი. ეს ეხება კონვენციონალურ, კულტურულად ცნობილ ტექსტთა დაჯგუფებას, რაც ხარისხზე უფროა დაფუძნებული, ვიდრე ლექსიკურ და გრამატიკულ თვისებებზე. ეს უკანასკნელი შიდა ლინგვისტურ კრიტერიუმს ეფუძნებიან და *ტექსტის ტიპის* კატეგორიის ბაზას ქმნიან.

*“ჯანრის” კატეგორიები* გარეგანი ანუ არალინგვისტური კრიტერიუმის ბაზაზე განისაზღვრება, რაც მეტყველი სუბიექტის ანუ ადრესანტის მიზანსა და თემას უკავშირდება. ისინი გამოყენებაზე უფრო არიან დაფუძნებულნი, ვიდრე ფორმაზე”. ([http://lt.msu.edu/vol5num3/lee/Language Learning Technology/September 2001, vol 5, num. 3. pp 37-72, 86.](http://lt.msu.edu/vol5num3/lee/Language%20Learning%20Technology/September%202001,%20vol%205,%20num.%203.%20pp%2037-72,%2086.))

*ჯანრსა და ტექსტის ტიპს* შორის განსხვავების კარგად დასანახად მთავარია იმის კარგად გაგება, რას ნიშნავს ეს ორი განსხვავებული მიდგომა ტექსტთა კლასიფიკაციასთან თავად ტექსტებისთვის და მათი კატეგორიზაციისთვის.

თეორიაში ორი ტექსტი შეიძლება ერთსა და იმავე ტექსტის ტიპს მიეკუთვნებოდეს მიუხედავად იმისა, რომ ისინი შესაძლოა ორ სხვადასხვა ჟანრისანი იყვნენ. ასე იმიტომ შეიძლება მოხდეს, რომ მათ მსგავსი ლინგვისტური თვისებები გააჩნიათ. (მაგ: ბიოგრაფიები და რომანები მსგავსია ისეთი ლინგვისტური თვისებებით, როგორცაა: წარსული დრო, მესამე პირში თხრობა) .

ბაიბერისვე აზრით: “უანროთა სახესხვაობები ინგლისური ტექსტის ტიპებს ადეკვატურად არ წარმოადგენენ... ლინგვისტურად განსხვავებული ტექსტები უანროს ფარგლებში განსხვავებულ ტექსტთა ტიპებს წარმოგვიდგენენ. სხვადასხვა უანროს ლინგვისტურად მსგავსი ტექსტები კი ერთი ტექსტის ტიპს წარმოგვიდგენენ”.

ეს რაც შეეხებოდა განსხვავებას *უანროსა* და *ტექსტის ტიპს* შორის, ახლა კი მინდა, ერთმანეთისგან უანრო და რეგისტრი განვასხვაო.

ორი ყველაზე პრობლემატური ტერმინი *უანრო* და *რეგისტრი* შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ორი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული ხედვა ერთსა და იმავე საკითხზე. როგორც ენას შეიძლება განიხილავდნენ ერთდროულად ფორმის, ფუნქციის, მნიშვნელობის მიხედვით, *რეგისტრი* და *უანრო* ერთსა და იმავე საკითხზე ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ შეხედულებას წარმოადგენენ.

*რეგისტრი* გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანი – მეტყველი სუბიექტი – ადრესანტი ენას, როგორც ტექსტს ისე უყურებს; ისე უყურებს, როგორც ენის საყოველთაოდ მიღებულ კონვენციურ ფუნქციური კონფიგურაციის ნიმუშს, რაც კონტექსტური გამოყენების საშუალო სიტუაციურ პარამეტრებთან მაქსიმალურად ფუნქციონალურად არის შეწყობილი.

ტერმინი *“რეგისტრი”* პირველად ლინგვისტმა ტომას ბერტრან რაიდმა 1956 წელს გამოიყენა. შემდეგ ეს ტერმინი 1960-იან წლებში იმ ლინგვისტთა ჯგუფმა შემოიტანა, რომლებსაც სურდათ, ერთმანეთისგან განესხვავებინათ ვარიანტები ენაში მეტყველი სუბიექტის ანუ ადრესანტის მიხედვით (რომლებიც სოციალური ფონით (background), გეოგრაფიით, სქესითა და ასაკით განისაზღვრებიან ) და ვარიანტები ენაში გამოყენების მიხედვით, იმ გაგებით რომ თითოეულ ადრესანტს ენის ვარიანტთა დიდი რაოდენობა გააჩნია და მათ შორის არჩევანის გაკეთებაც შეუძლია ( Halliday et al, 20.) აქცენტი ენის განსაკუთრებულ სიტუაციებში გამოყენებაზეა; მაგ: ბიოლოგიის ენა სხვაა, ახალი ამბების გადმოცემის ენა – სხვა, საძინებელში გამოყენებული ენა – სხვა და ა. შ.

ჰელიდგი რეგისტრის სამ მახასიათებელს გამოყოფს:

*სფეროს ( field ) ( შეიცავს საუბრის მთავარ თემას – the subject matter of discourse ),*

*ტენორს ( tenor ) ( შეიცავს მონაწილეებსა და მათ შორის არსებულ ურთიერთობას ),*

*მოდუსს ( mode ) ( შეიცავს საკომუნიკაციო არხს: ზეპირი, წერილობითი).*

ენის ელემენტთაგან ყველა ან რომელიმე მათგანი ერთმანეთისგან რეგისტრების მიხედვით განსხვავდებიან – ლექსიკა, სინტაქსი, ფონოლოგია, მორფოლოგია, პრაგმატიკული წესები ან ისეთი განსხვავებული პროსოდიული თვისებები, როგორებიცაა: ხმის სიმაღლე, ინტონაცია სალაპარაკო ინგლისურში. რეგისტრებს ხშირად ისეთი არაღინგვისტური პრესკრიფციები მოეპოვებათ, როგორებიცაა, მაგ, სათანადო ჩაცმის სტილი, ჟესტების ენა, მოლაპარაკეთა შორის სიახლოვე / ნათესაობა.

მკვლევარები ადრე ტერმინ **“რეგისტრს”** ხშირად ოფიციალური და არაოფიციალური სტილის სტენოგრაფიად ( shorthand ) იყენებდნენ.

ზოგიერთ ლინგვისტურ სახელმძღვანელოში რეგისტრის ნაცვლად სხვა ტერმინები შეიძლება შეგვხვდეს; მაგ, ჰელიდისთან **“რეგისტრის”** ნაცვლად ტერმინ **“ტენორს”** შეგვხვდებით ( Halliday M. K. A., 21.) უმრავლესობა ტერმინ **“სტილს”** ანიჭებს უპირატესობას; Peter Trudgill აღნიშნავს: “ოფიციალურობის თვალთახედვიდან გამომდინარე, ჩვენ სტილს ვახასიათებთ, როგორც ენის ვარიანტს, რეგისტრი კი ხასიათდება, როგორც აკადემიური ჟარგონი” ( Trudgill P., 38 ) .

Quirk et al (Quirk, Greenbaum, Leech and Starvik, 34.) შემდეგი ტერმინების: **“სტილისა”** და **“რეგისტრის”** ნაცვლად ტერმინ **“დამოკიდებულებას” (attitude)** ანიჭებს უპირატესობას. ეს დიაგრამაც მის მიერვეა შედგენილი:

Very formal, Frozen, Rigid	← Formal Neutral	INFORMAL→	Very informal, Casual, Familiar
----------------------------	------------------	-----------	---------------------------------

ერთ ცნობილ მოდელში ჯოუზი ( Joos M., 24.) სალაპარაკო ინგლისურში ხუთ სტილს აღწერს:

- *გაყინული ( frozen )*: დაბეჭდილი შეუცვლელი ენა, ისეთი როგორცაა ბიბლიური ციტატები, რაც ხშირად არქაიზმებს შეიცავს.
- *ოფიციალური ( formal )*: ერთმხრივი ( one-way ) მონაწილეობის მიღება, შეწყვეტინება დაუშვებელია. მნიშვნელოვანია ტექნიკური ლექსიკა; “Fussy semantics” ან ზუსტი დეფინიციები. შეიცავს უცნობთა შორის გაცნობასაც.
- *სათათბირო ( consultative )*: ორმხრივი მონაწილეობის მიღება. უზრუნველყოფილია ფონური ( background ) ინფორმაციით. მიღებულია ისეთი უკანაარხითი ( backchannel ) ქცევები, როგორებიცაა: “uh huh”, “I see”, შეწყვეტინებაც ნებადართულია.
- *უშუალო (ასოც. პროფ. ნ. დარასელია) /თამამი (პროფ. ლ. გოქსაძე) ( casual )*: მეგობართა და ნაცნობთა ჯგუფებში. ფონური ინფორმაციით არაა უზრუნველყოფილი. ელიფსი და სლენგი მიღებულია. შეწყვეტინებაც მიღებულია.
- *ინტიმური ( intimate )*: არა საზოგადოებრივი. სიტყვებზე და გრამატიკაზე მეტად ინტონაციაა მნიშვნელოვანი. გამოყენებულია პირადი ლექსიკა. (<http://en.wikipedia.org/wiki/register.com>, 89.)

*ჟანრი* გამოიყენება მაშინ, როცა ადამიანი – მეტყველი სუბიექტი ტექსტს კულტურულად ცნობილ ნიმუშად მიიჩნევს. ტექსტთა დაჯგუფება კულტურულად განსაზღვრული მიზნების მიხედვით ხდება.

ტექსტის ჟანრი შეიძლება განსაზღვრულ იქნას:

1. მისი ლინგვისტური ფუნქციით.
2. ოფიციალური შტრიხებით (*formal traits*).
3. ტექსტური ორგანიზაციით.
4. კომუნიკაციური სიტუაციისა და ტექსტის ფორმალურ და ორგანიზაციურ შტრიხებს შორის ურთიერთობით.  
(<http://en.wikipedia.org/wiki/Genre.com>, 90.).

ახლა მინდა შევაჯამო ყოველივე ზემოთ თქმული ჟანრისა და რეგისტრის შესახებ და ამ ტერმინთა ერთი მარტივი ახსნა წარმოვადგინო.

**რეგისტრი** არის ენის ფუნქციონალური ტიპი. იგი შეიცავს არასალიტერატურო ენას, რომელსაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გამოიყენებენ. მაგ, შეიცავს წირვის დროს მლოცველთა მიერ გამოყენებულ ენას, სპორტული კომენტატორების მიერ ფეხბურთის მატჩის დეტალური აღწერისას გამოყენებულ ენას, მკვლევართა მიერ გამოყენებულ ენას. მეცნიერულ რეგისტრებად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა ჟანრი: სტატია, მოხსენება, კონფერენციის ქრონიკა.

**ჟანრი** კი შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ტექსტის ტიპთა კონფიგურაცია. იგი შეიცავს ორივეს – სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის ვარიანტებს. მაგ: მოკლე მოთხრობებს, რომანებს, სონეტებს, ინფორმაციონალურ მოხსენებებს ( გაზეთებში ან ჟურნალებში ), ტექნიკურ სახელმძღვანელოებს, შეთავაზებებს. მოთხრობის ჟანრი შეიძლება სხვადასხვა რეგისტრებში გამოვლინდეს: საყოფაცხოვრებოში, მხატვრულში, პუბლიკაციურში.

მინდა, დავამატო, რომ ჩემს მიერ პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განსახილველად არჩეული ტექსტები:

1. *იურიდიული ტექსტები, ჩემი აზრით, მიეკუთვნება ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, იურიდიული ტექსტების შემთხვევაში კი*

შეიცავს არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას იურიდიულ ტექსტებს იმიტომ ვერ მივაკუთვნებდი, რომ მათში გამოყენებული ენა შეიძლება გასაგები არ იყოს ორივესთვის – ადრესანტისთვისაც და ადრესატისთვისაც; ადრესატისთვის ანუ მსმენელი სუბიექტისთვის ანუ მკითხველისთვის შეიძლება ბუნდოვანი, გაუგებარი იყოს.

2. უმბერტო ეკოს “Foucault’s Pendulum” – იც ჩემი აზრით, მიეკუთვნება ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, უმბერტო ეკოს შემთხვევაში კი შეიცავს სალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას უმბერტო ეკოს აღნიშნული ნაწარმოების თარგმნილ ვარიანტს იმიტომ ვერ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა შეიძლება გასაგები არ იყოს ორივესთვის – ადრესანტისთვისაც და ადრესატისთვისაც, შეიძლება ბუნდოვანი და გაუგებარი იყოს. ნაწარმოებში გამოყენებული ენა მხოლოდ ადრესანტისთვის ანუ მეტყველი სუბიექტისთვის იქნება გასაგები.
3. ჩარლზ დიკენსის “Great Expectations”, ჩემი აზრით მიეკუთვნება ორივეს – რეგისტრისა და ჟანრის კატეგორიას. ჩარლზ დიკენსის ამ ნაწარმოებს რეგისტრის კატეგორიას იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ ნაწარმოებში გამოყენებული ენა, ჩემი აზრით, გასაგები იქნება და არა ბუნდოვანი, ორივესთვის – ადრესანტისთვისაც და ადრესატისთვისაც. ჟანრის კატეგორიას კი იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ ეს კატეგორია, როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, ჩარლზ დიკენსის შემთხვევაში კი შეიცავს სალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს.

4. საგაზეთო სტატია, ჩემი აზრით, მიეკუთვნება ორივეს - რეგისტრისა და ჟანრის კატეგორიას. აღნიშნულ სტატიას რეგისტრის კატეგორიას იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა, ჩემი აზრით, გასაგები იქნება და არა ბუნდოვანი ორივესთვის - ადრესანტისთვისაც და ადრესატისთვისაც. ჟანრის კატეგორიას კი იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ რომ ეს კატეგორია, როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, აღნიშნული საგაზეთო სტატიის შემთხვევაში კი შეიცავს არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს.
5. სამეცნიერო სტატია, კერძოდ, ლიტერატურული სამეცნიერო სტატია, ანუ სამეცნიერო სტატია გაკეთებული ლიტერატურის დარგში, ჩემი აზრით მიეკუთვნება ორივეს - რეგისტრისა და ჟანრის კატეგორიას. ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, ლიტერატურული სამეცნიერო სტატიის შემთხვევაში კი შეიცავს სალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას ჩემს მიერ არჩეულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიას იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა ჩემი აზრით, გასაგები იქნება და არა ბუნდოვანი, ორივესთვის - ადრესანტისთვისაც და ადრესატისთვისაც. ისტორიული სამეცნიერო სტატია, ჩემი აზრით მიეკუთვნება ჟანრის კატეგორიას. ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, ისტორიული სამეცნიერო სტატიის შემთხვევაში კი შეიცავს არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას ისტორიულ სამეცნიერო სტატიას იმიტომ ვერ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა შეიძლება გასაგები არ იყოს ორივესთვის - ადრესანტისთვისაც და



ადრესანტიისთვისაც, მსმენელი სუბიექტისთვის ანუ მკითხველისთვის შეიძლება ბუნდოვანი და გაუგებარი იყოს, დატვირთული ისტორიული ქრონოლოგიითა და ტერმინებით, რაც ჩემი აზრით, უფრო ისტორიულად განათლებულ მკითხველს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, სტატიაში გამოყენებული ენა მხოლოდ ადრესანტიისთვის ანუ მეტყველი სუბიექტისთვის იქნება გასაგები. სამედიცინო დარგში (სფეროში) შექმნილი სამეცნიერო სტატია, ჩემი აზრით მიეკუთვნება ჟანრის კატეგორიას. ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, სამედიცინო დარგში (სფეროში) შექმნილი სამეცნიერო სტატიის შემთხვევაში კი შეიცავს არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას სამედიცინო დარგში (სფეროში) შექმნილ სამეცნიერო სტატიას იმიტომ ვერ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა შეიძლება გასაგები არ იყოს ორივესთვის – ადრესანტიისთვისაც და ადრესანტიისთვისაც, მსმენელი სუბიექტისთვის ანუ მკითხველისთვის შეიძლება ბუნდოვანი და გაუგებარი იყოს, დატვირთული მთელი რიგი სამედიცინო ტერმინებით, რაც ჩემი აზრით, უფრო მედიცინაში გათვითცნობიერებულ მკითხველს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, სტატიაში გამოყენებული ენა მხოლოდ ადრესანტიისთვის ანუ მეტყველი სუბიექტისთვის იქნება გასაგები.

ეს, რაც შეეხებოდა ზოგადად ტექსტთა ჟანრებად კლასიფიცირებას, ახლა გადავიდეთ ჩემი სადისერტაციო ნაშრომის მთავარ მიზანზე, განვიხილოთ ისინი ჩემს მიერ არჩეული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მიხედვით.

## თავი I

### პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა იურიდიული ტექსტების მიხედვით

ჩემი სადისერტაციო ნაშრომის *I თავში* პრაგმატიკულ კატეგორიებს განვიხილავ იურიდიული ტექსტების მაგალითზე. იურიდიულ ტექსტებად აღებული მაქვს საქართველოს კონსტიტუციის ინგლისური ვერსია და საქართველოს კანონი ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ, ასევე ინგლისური ვერსია.

თავდაპირველად მინდა განვიხილო საქართველოს კონსტიტუცია, ხოლო შემდეგ შევადარო იგი საქართველოს კანონს ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ.

საქართველოს კონსტიტუცია შედგება ცხრა თავისაგან და 109 მუხლისაგან; თითოეული მუხლი შედგება პუნქტებისაგან ზოგიერთი პუნქტი კი ქვეპუნქტებისაგან, მაგალითად 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 65-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 73-ე მუხლის პირველი პუნქტი, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტი და 102-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საქართველოს კონსტიტუციის თითოეულ თავს თავისი სათაური აქვს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მთლიან ტექსტში გვაქვს ერთი მთავარი თემა — საქართველოს სახელმწიფოს კანონი და ქვეთემები, რომლებიც ამ მთავარ თემას უკავშირდებიან. ე. ი. გვაქვს თემატური ურთიერთკავშირი.

ცნობილია, რომ საერთოდ ტექსტის ლინგვისტური ცნება შინაგანად ორაზროვანია და ეს ორაზროვნება გამომდინარეობს ტექსტის ლინგვისტური განსაზღვრის ფუნქციური და სტრუქტურული კრიტერიუმების განსხვავებიდან. თუ ტექსტს (ამ შემთხვევაში იურიდიულ ტექსტს) წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით გავიგებთ, მაშინ ტექსტად შეიძლება ჩავთვალოთ კონსტიტუციის ერთი რომელიმე მუხლის ერთი რომელიმე წინადადება, იმდენად რამდენადაც მასში ასახულია კომუნიკაციური ლინგვისტიკისთვის რელევანტური კომუნიკაციის ცნება; ე. ი. თუ გამონათქვამში ასახულია როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური სიტუაცია

(როგორც რეფერენტული, ისე კომუნიკაციური), მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ სწორედ გამონათქვამი წარმოდგენს კომუნიკაციის პროდუქტს, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტექსტის წარმომქმნელი, ანუ ტექსტობრივი ქმედება; ე. ი. გვექნება ერთი ცალკეული გამონათქვამი, თუ გამონათქვამთა თანმიმდევრობა, ანუ აისახება შესაბამისი რეფერენტული სიტუაცია ერთ გამონათქვამში თუ გამონათქვამთა თანმიმდევრობაში, ამას წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს: ტექსტი შეიძლება დაემთხვეს გამონათქვამს და გამონათქვამი — ტექსტს. ტექსტი შეიძლება პოულობდეს რეალიზაციას, თუნდაც ერთი წინადადების სახით — თუნდაც ამ ერთ წინადადებას ჰქონდეს მინიმალური — ერთი სიტყვის — მოცულობა. მაგ: წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით, როცა ვახსენებთ სიტყვა "კონსტიტუციას" — რაც არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომც არ წავიკითხოთ იგი, უბრალოდ სიტყვის მიხედვით ჩვენ მივხვდებით და წარმოდგენა გვექნება იმაზე, თუ რას გულისხმობს ეს სიტყვა. დავიწყებას არ უნდა მიეცეს ის ფაქტი, რომ თვით არაკომუნიკაციურ ლინგვისტიკაშიც წინადადება შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო სიტყვით და ეს ხელს არ შეუშლიდა იმას რომ სიტყვა აღქმული და გაგებული ყოფილიყო, როგორც წინადადება. ზუსტად ასევე, ტექსტიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს წინადადებით, წინადადება კი შედგებოდეს ერთი სიტყვისგან. თუ ამ მსჯელობას ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანთ, მაშინ არამც თუ სიტყვა, არამედ ისეთი სამეტყველო მოვლენაც, როგორცაა პაუზა და ისეთი სემიოტიკური ფენომენიც კი როგორცაა ქესტი, შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტად, თუკი ისინი კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებენ. ფუნქციურ თვალსაზრისს უპირისპირდება სტრუქტურული თვალსაზრისი. ეს გაგება უფრო რეალისტურია. მართალია ტექსტი შეიძლება შედგებოდეს ერთი წინადადებისაგან, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, იგი შედგება ერთზე მეტი წინადადებისაგან. მაგრამ თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ტექსტზე, როგორც წინადადებათა თანმიმდევრობაზე, ამით გარკვეულ განუსაზღვრელობას ვანიჭებთ ტექსტის ლინგვისტურ ცნებას. ტექსტად, ლინგვისტური თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა. ის, რაც წინადადებათა თანმიმდევრობას აქცევს ტექსტად, ეს არის სწორედ თემატური ურთიერთდაკავშირი ანუ ტექსტის წინადადებებში ასახული თემის ერთიანობა. (სერგია ვ. ა., 80.)

ჩემს მიერ განსახილველად აღებულ ამ იურიდიულ ტექსტში — საქართველო კონსტიტუცია, მეტყველი სუბიექტი დაფარულია, ანუ იგი პირდაპირ არ არის გადმოცემული. შესაძლებელია მეტყველ სუბიექტად პიროვნება კი არა ხელისუფლება მოისაზრება. თხრობა მიმდინარეობს მესამე პირში. აქცენტი მსმენელ სუბიექტზეა. მართალია ადრესანტი არ ჩანს, დაფარულია მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ როგორ გასაგებად არის გადმოცემული სათქმელი, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება კონსტიტუციას.

მართალია იურიდიულ ტექსტებს ისინი უფრო კარგად გაიგებენ, ვინც კარგად არის გათვითცნობიერებული იურიდიულ სფეროში, მაგრამ თუ ტექსტი გასაგებადაა გადმოცემული (მე ვგულისხმობ, თუ ძალიან არ არის დატვირთული მთელი რიგი ტერმინებით), მაშინ ნებისმიერი მკითხველისთვის გასაგები იქნება.

თანამედროვე ლინგვისტური მოძრაობის რომელი მხარეც არ უნდა ავიღოთ, ორივე შემთხვევაში მივიღვართ კომუნიკაციურ ლინგვისტიკამდე — ერთ შემთხვევაში ტექსტამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში — პრაგმატიკამდე.

ახლა კი მინდა მივუბრუნდე პრაგმატიკულ კატეგორიათა სამ ქვესისტემას და გავისხენო:

1. *პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ადრესანტს და მის გავლენას სამეტყველო აქტსა და გამონათქვამზე. ეს კატეგორიები ეგოცენტრისტული ხასიათისაა. (ადრესანტი თავის თავზე ამბობს "მე"-ს [ეგი]. იგი კომუნიკაციის მომენტში თავის საკუთრებად აქცევს მთელ ენობრივ სისტემას (ბენვენისტი). ლინგვისტური პრაგმატიკის ეს მოსაზრება დღეს უკვე მიუღებლად ითვლება იმიტომ, რომ ადრესანტის გარდა არის ადრესატი და მისი როლი გამონათქვამის სტრუქტურაში არანაკლებ მნიშვნელოვანია. როგორი იქნება გამონათქვამი როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით, დამოკიდებულია არა მარტო მეტყველ სუბიექტზე, არამედ მსმენელ სუბიექტზეც: მოსმენა, აღქმა არანაკლებ მნიშვნელოვანია, აქტიურია, ვიდრე ინფორმაციის მიწოდება.*

2. *პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც პირველ რიგში, ასახავენ ადრესატს და მის ზეგავლენას, რომელსაც იგი ახდენს გამონათქვამის შინაარსობრივ და კომუნიკაციურ სტრუქტურაზე.*
3. *პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც ატარებენ სინთეზურ ხასიათს.*

ლინგვისტური პრაგმატიკა თეორიული ლინგვისტიკის ის სფეროა, რომელიც ექსპანსიას ახდენს მთელ ენობრივ სისტემაზე. ამიტომ ენობრივი ერთეულები და კატეგორიები, რომლებიც ტრადიციულად შეისწავლებოდნენ პრაგმატიკასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, იღებენ პრაგმატიკულ განზომილებას; ხდება ტრადიციულ ერთეულთა და კატეგორიათა პრაგმატიზაცია. პრაგმატიკა ტექსტის ლინგვისტიკასთან ერთად მიჩნეულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბირთვად. თუ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, ისე როგორც ყველა მეცნიერებას, აქვს კონცეპტუალური ბირთვი, ის რაც გამოხატავს ამ მეცნიერების ძირითად შინაარსს, — მაშინ ეს ბირთვი ორასპექტიანია: მას პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა შეადგენს. მათი შერწყმის უშუალო შედეგს წარმოადგენს ის, რომ ყოველი ენობრივი ერთეულის ან კატეგორიის პრაგმატიზაცია ნიშნავს ამავე დროს მის ტექსტოლოგიზაციას. ტექსტოლოგიზაცია კი გულისხმობს, რომ ყოველი კატეგორია, რომელიც ტექსტის გარეშე შეისწავლებოდა, ახლა ტექსტის ფარგლებში აღიქმება. (ღებანიძე გ., 78.)

პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა იურიდიული ტექსტების მაგალითებზე პირდაპირ დავიწყეთ იმ კატეგორიებით, რომლებიც მსმენელ სუბიექტთან არიან დაკავშირებული; თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ:

ვინაიდან და რადგანაც, მეტყველი სუბიექტი აღნიშნულ იურიდიულ ტექსტში არ ჩანს, მასთან დაკავშირებული კატეგორიებიც არ იქნება განხორციელებული. საერთოდ თანამედროვე პრაგმატიკა გამოჰყოფს ხუთ კატეგორიას, რომელიც უკავშირდება და ასახავს მეტყველი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში. იურიდიულ ტექსტებში კი, მინდა ვთქვა, რომ მთავარია მსმენელი სუბიექტი როგორ აღიქვამს ტექსტს. აღარ შევუდგები ადრესანტზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიების ჩამოთვლას, რადგან ერთხელ უკვე ჩამოვთვალე; უბრალოდ აღვნიშნავ, რომ

შეიძლება მათგან ერთი მიუყენო იურიდიულ ტექსტს; თუმცა სრულად კი არა, ნაწილობრივ. ეს არის ლოკაციის კატეგორია. ცნობილია, რომ ლოკაციის ფორმულაა: "მე-აქ-ახლა"; ე. ი. ლოკაციის კატეგორიას აქვს სამი ასპექტი: პერსონალური, საკუთრივ ლოკალური და ტემპორალური. როდესაც ვთქვი, რომ ლოკაციის კატეგორია იურიდიულ ტექსტებში არასრულადაა წარმოდგენილი, ვიგულისხმე ის, რომ მეტყველი სუბიექტი ტექსტში არ ჩანს, თუმცა ცხადია, არსებობს ან არსებობდა, სხვაგვარად ტექსტი ვერ შეიქმნებოდა. რაც შეეხება დანარჩენ ორ ასპექტს, ლოკალური ასპექტი აშკარად ჩანს, მოქმედება საქართველოში ხდება, ხოლო ტემპორალური ასპექტი, მეტყველი სუბიექტისა არ იყოს, ტექსტში დაფარულია, და არ არის მითითებული.

მეტყველ სუბიექტზე ორიენტირებული დანარჩენი კატეგორიებიდან არც ერთი არ არის მოცემული იურიდიულ ტექსტებში; ისიც მინდა დავსძინო, რომ ხდება უკვე არსებულ კატეგორიათა გადააზრება და მათთვის პრაგმატიკულობის სტატუსის მინიჭება.

აღვნიშნე, რომ პრაგმატიკულ კატეგორიათა სისტემა შედგება შესაბამისად, სამი ქვესისტემისაგან, პირველი ქვესისტემა — ესაა იმ პრაგმატიკულ კატეგორიათა ერთობლიობა, რომლებიც ასახავენ მეტყველი სუბიექტის როლს, პოზიციას და ამ პოზიციის გავლენას როგორც მთელ საკომუნიკაციო აქტზე, ისე ენობრივი სისტემის იმ ერთეულებზე, რომელთა აქტუალიზაცია ხდება ამ საკომუნიკაციო აქტში.

ისიც ვთქვი, რომ პირველი ქვესისტემის უმნიშვნელოვანესი პრაგმატიკული კატეგორიაა ლოკაციის კატეგორია, რომელიც სამი კოორდინატით განისაზღვრება — "მე-აქ-ახლა". ლოკაციის მაგალითზე მსურს, დავინახოთ, რომ პრაგმატიკის ყველა კატეგორია არა განყენებულად, არამედ არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი აისახება კონკრეტულად ყველა დონეებრივი ერთეულის შინაარსში და მის კატეგორიებში.

"მე" — კოორდინატის, ისევე როგორც "აქ" და "ახლა" კოორდინატების გამოხატვა შეუძლია ზმნას და აქედან გამომდინარე, ჩანს ჭეშმარიტი ზმნური კატეგორიების პრაგმატიკული ბუნება. ჭეშმარიტი ზმნური კატეგორიები გამოხატულია არა ზმნით, არამედ მთელი გამონათქვამით. ე. ი. პირის კატეგორიაც, დროის კატეგორიაც პრაგმატიკული კატეგორიებია. პრაგმატიკულია განსაზღვრულობის კატეგორიაც. ასე რომ შეიძლება ითქვას,

რომ პრაგმატიკას აქვს გამჭოლი სტატუსი მთელი ენობრივი სისტემის ფარგლებში — პრაგმატიკა ასახულია ყველა ენობრივი დონის ერთეულებში და ყველა ამ ერთეულის კატეგორიულ სისტემაში. უნდა ითქვას ისიც, რომ პრაგმატიკის სუბიექტურობა გულისხმობს არა მარტო ადრესანტის, არამედ ადრესატის სუბიექტურობასაც და არსებობს პრაგმატულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემა — ის კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ადრესატს, მის პოზიციასა და გავლენას მთელ ტექსტზე. პრაგმატიკულ კატეგორიათა პირველი ქვესისტემა უფრო უკეთესადაა შესწავლილი, ვიდრე მეორე, ვინაიდან პრაგმატიკა ტრადიციულად გულისხმობდა მხოლოდ სუბიექტს, ლაპარაკობდა სამეტყველო აქტის ეგოცენტრიზმზე. მაგრამ ვინაიდან აღვნიშნე, რომ იურიდიულ ტექსტებში აქცენტი მეორე — მსმენელ სუბიექტზეა, ჯერ მინდა კიდევ ერთხელ დავასახელო, ხოლო შემდეგ განვიხილო, თუ როგორ არის განფენილი თითოეული მათგანი ჩემს მიერ აღნიშნულ იურიდიულ ტექსტებში. ეს კატეგორიებია:

#### *ინფორმაციულობის კატეგორია*

#### *ექსპრესიულობის კატეგორია*

#### *გამჭვირვალობის კატეგორია*

კატეგორიათა ამ ქვესისტემას საფუძვლად უდევს ადრესანტის დაინტერესება იმაში, რომ ადრესატმა მას ადეკვატურად გაუგოს. ეს კი ნიშნავს, რომ ადრესანტმა უნდა გაითვალისწინოს ადრესატი — ეს საკომუნიკაციო აქტის ეფექტურობის საფუძველია, მაგრამ ეფექტურობის მისაღწევად მთავარი ის კი არ არის, რომ ტექსტი შეიცავდეს ლოკაციას, მოდალობას, შეფასებას, და ა.შ. ტექსტი გარკვეული თვალსაზრისით უნდა იყოს ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე.

ახლა კი ვნახოთ, რამდენად ინფორმაციულია, გამჭვირვალე და ექსპრესიულია იურიდიული ტექსტი.

იურიდიული ტექსტიც, როგორც ყველა ტექსტი, თავის თავში გულისხმობს გარკვეულ ინფორმაციულობას. მსმენელი სუბიექტისთვის ფაქტიურად ჩემს ხელთ არსებული საქართველოს კონსტიტუციის ინგლისური

ვერსია ითვლება ახლად. მისთვის ახალია ყოველივე, რაც კონსტიტუციაში წერია; თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ იურიდიულ სფეროში მოღვაწე პირთათვის კონსტიტუციის ყოველი მუხლი, ყოველი პუნქტი, ცნობილია, ხოლო რიგითი მკითხველისთვის კი — ახალი.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მართებული იქნება, თუ ვახსენებთ კოჰერენტულობას, რომელიც ყველა კატეგორიის ინტეგრირებას ახდენს. იგი ითარგმნება, როგორც შეკავშირებულობა. კოჰერენტულობის ხსენება იმიტომ დამჭირდა, რომ აღვნიშნო, ტექსტში მთავარია შინაგანი შეკავშირებულობა. ცნობილია, რომ რომელი იერარქიული დონეც არ უნდა ავიღოთ ტექსტისა, ტექსტი მუდამ წარმოადგენს ისეთი წინადადებების თანმიმდევრობას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ძირითადი თემით; ტექსტს ქმნის თემატური ერთიანობა, ტექსტში მთავარია შინაგანი შეკავშირებულობა — მთავარია შინაგანი კავშირი წინადადებათა შორის. კოჰერენტულობა კი ითვლება ცენტრალურ კატეგორიად, რადგან იგი ასახავს ტექსტის ძირითად მაკონსტრუირებელ ნიშანს.

კოჰერენტულობას აქვს შემდეგი ფუნქციები:

იგი აკავშირებს ტექსტის ნებისმიერ ნაწილს. (ჩვენს შემთხვევაში, იურიდიულ ტექსტში დასაწყისი თუ ბოლო წინადადება ერთმანეთთან დაკავშირებულია აზრით, რაც კოჰერენტულობის დამსახურებაა).

სწორედ კოჰერენტულობის მეშვეობით ემზადება ადრესატი ტექსტის ჯერ არარეალიზებული სეგმენტების აღქმა-გაგებისათვის. ჩემს მიერ განსახილველად აღებული იურიდიული ტექსტების რომელი მონაკვეთიც არ უნდა ავიღოთ, იგი თავის თავში შეიცავს არა მარტო ინფორმაციას თავის თავზე, არამედ გარკვეული სახის ინფორმაციას იმაზე, რაც ჯერ არ თქმულა, ანუ ტექსტის ჯერ არარეალიზებულ სეგმენტზე. აქ საქმე ეხება ინფორმაციის ანტიციპაციას. სწორედ კოჰერენტულობის მეშვეობით ტექსტში ახლად რეალიზებული სეგმენტი უკავშირდება უკვე რეალიზებულ სეგმენტებს.

კოჰერენტულობა, მართალია, ტექსტობრივი კატეგორიაა, მაგრამ ხაზგასმულია მისი პრაგმატული არსი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი მუდამ არსებობს არა განყენებულად, არა თავისთვის და თავის თავში, არამედ მინიმუმ ორ სუბიექტს შორის.



ეს რაც შეეხებოდა ინფორმაციის კატეგორიას, რომლის განხილვამაც გამახსენა კოჰერენტულობა და საჭიროდ ჩავთვალე ორიოდ სიტყვით ამეხსნა მისი კავშირი ინფორმაციულობასთან.

ახლა კი გადავიდეთ მსმენელ სუბიექტზე ორიენტირებულ, მეორე პრაგმატიკულ კატეგორიაზე — გამჭვირვალობის კატეგორიაზე. ამ კატეგორიის არსებობა და ცხადია, შინაარსიც განპირობებულია ადრესატით. ტექსტი გამჭვირვალეა იმდენად, რამდენადაც იგი გამჭვირვალეა ადრესატისთვის. გამჭვირვალეობა გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ნათქვამი გასაგებია ადრესატისათვის.

იმისათვის, რომ გავიგოთ ჩემს მიერ განსახილველად აღებული იურიდიული ტექსტები გამჭვირვალენი არიან თუ არა, მხოლოდ ის არ კმარა, რომ ისინი გასაგებად იყვნენ წარმოდგენილი ადრესატისათვის, არამედ გამჭვირვალეობის ყოველი ფაქტორი უნდა იყოს მოცემული ტექსტში.

პირველი ფაქტორის მიხედვით ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია უნდა იყოს ერთნაირი ორივე მონაწილესთვის. ამ პირობის გარეშე გამჭვირვალეობა ვერ იქნება. საქართველოს კონსტიტუციის განხილვისას კი რეფერენტულ სიტუაციას წარმოადგენს კონსტიტუცია თავისი მუხლებით. ცხადია იგი ერთნაირია მეტყველი სუბიექტისთვის (რომელიც დაფარულია, მაგრამ არსებობს) და მსმენელი სუბიექტისთვის.

მეორე ფაქტორია კომუნიკაციური სიტუაცია (ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება) : კომუნიკაციური სიტუაცია უნდა იყოს იდენტური ორივე მონაწილისთვის. იურიდიული ტექსტის მიხედვით კი კომუნიკაციური სიტუაცია იდენტური ვერ იქნება ორივე მონაწილისთვის; თუ რატომ, ამას შემდეგნაირად ავხსნი:

კომუნიკაციური სიტუაცია შეიცავს ორ კომუნიკანტს: ადრესანტსა და ადრესატს. ყოველი კომუნიკანტი ხასიათდება გარკვეული ნიშნებით: სოციალური სტატუსი, სოციალური როლი, და ა. შ.

ცხადია, რომ იურიდიული ტექსტის შემთხვევაში, ორივე მონაწილეს ერთნაირი სოციალური სტატუსი, ანდა სოციალური როლი ვერ ექნება.

გამჭვირვალეობის შემდეგი ფაქტორია კომუნიკანტთა თეზაურუსები — მათი ფონური ცოდნა თუ სამყაროს ხატი ან უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს ან მათ შორის არ უნდა იყოს პრინციპული განსხვავება. ჩემს მიერ აღნიშნულ იურიდიულ ტექსტებში კი ტექსტის შემქმნელისა და აღმქმელის თეზაურუსები

არ ემთხვევა ერთმანეთს. შესაძლებელია ამ კატეგორიის ტექსტის მკითხველის წარმოდგენათა და ცოდნათა ერთობლიობა არ შეესაბამებოდეს ტექსტის შემქმნელის ცოდნათა ერთობლიობას. ლინგვისტიკაში თეზაურუსების გვერდით ხმარობენ აგრეთვე ტერმინს ფონურ ცოდნას და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წარმოშობის ტერმინს სამყაროს ხატს. კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს, რომ კომუნიკანტებს წარმოდგენა აქვთ ერთმანეთის თეზაურუსებზე, ფონურ ცოდნასა თუ სამყაროს ხატზე, რაც იურიდიული ტექსტების შემთხვევაში არ ხდება. ყოველი თეზაურუსი ამასთანავე გულისხმობს არა მარტო სამყაროს შესახებ უშუალო ცოდნის ან წარმოდგენათა სისტემას, არამედ ამ სისტემისათვის დამახასიათებელ პრესუპოზიციათა სისტემასაც. ხაზი უნდა გაგუსვა იმასაც, რომ გამჭვირვალობის კატეგორია უშუალოდ მიემართება ისეთ ზოგადკომუნიკაციურ კატეგორიას, როგორცაა კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორია.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, იურიდიული სტილის ტექსტი ნაწილობრივ გამჭვირვალეა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი გასაგებია მკითხველისათვის, მაგრამ გამჭვირვალობის ყველა ფაქტორს ვერ პასუხობს.

პრაგმატიკულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემის შემდეგი კატეგორიაა ექსპრესიულობის კატეგორია. ტრადიციულად მთელი გამონათქვამის ან გამონათქვამის რომელიმე კომპონენტის ექსპრესიულობა ათვისებული იყო ლინგვისტიკის მიერ კონოტაციის ცნების საშუალებით; კონოტაციას კი სტილისტიკა შეისწავლიდა. აქაც საქმე ეხება პრაგმატიზაციის ფენომენს, რაც მუდამ ორ მომენტს შეიცავს: სუბიექტივიზაციისა და ტექსტოლოგიზაციის მომენტებს.

სტილისტიკის ფარგლებში ტექსტის ანდა მისი რომელიმე კომპონენტის ექსპრესიულობა გულისხმობდა, რომ ყოველი გამონათქვამი ანდა მისი კომპონენტი დენოტაციის გარდა მუდამ შეიცავს კონოტაციას, როგორც ენობრივი ნიშნის მიერ აღნიშნული რეალობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვას. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. არსებობს ნეიტრალური კონოტაციაც. კონოტაციის გარეშე გამონათქვამი არ არსებობს, ისევე როგორც დენოტაციის გარეშე.

სუბიექტივიზაციის პლანში კი ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია ნიშნავს აქცენტის გადატანას ადრესანტიდან ადრესატზე. ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია არ უარყოფს იმას, რომ ადრესანტმა შეიძლება გამოხატოს თავისი სუბიექტური დამოკიდებულება, მაგრამ მისი მიზანია, ადრესატზე ზემოქმედება.

ჩემს მიერ დასახელებული იურიდიული ტექსტები არა ექსპრესიულია. მინდა ვთქვა, რომ არა მარტო ეს კონკრეტული ტექსტები, არამედ საერთოდ, იურიდიული ტექსტები ექსპრესიულობით არ ხასიათდებიან; ყოველივეს ავხსნი შემდეგნაირად:

თუ მეტყველი სუბიექტი გამოხატავს რაიმესადმი თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების გამოხატვა კომუნიკაციური თვალსაზრისით ეფექტურია — ხოლო ეფექტურია იგი იმ შემთხვევაში, თუ ეს სუბიექტი ჩაფიქრებულ ზეგავლენას ახდენს, — მაშინ ეს კომუნიკაციური ეფექტურობა ემყარება არა მარტო ადრესანტის კომუნიკაციურ ინტენციას, არამედ მის მიერ სამყაროს იმ ხატის ადეკვატურად გათვალისწინებასაც, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისათვის.

იურიდიული ტექსტის შემთხვევაში კი ამგვარი რამ წარმოუდგენელია. ჩემს მიერ დასახელებული ტექსტები ხომ დოკუმენტებია, რომლებშიც მთავარია ფაქტების, კონკრეტული პირობების აღნიშვნა, და არა მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულება, და ის, თუ რა ზეგავლენას მოახდენს იგი მსმენელზე.

აქედან გამომდინარე, დასახელებულ იურიდიულ ტექსტებს ექსპრესიულობის კატეგორიას ვერ მივუყენებდი.

საქართველოს კონსტიტუცია, ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციულია, ნაწილობრივ გამჭვირვალე და არა ექსპრესიული.

საქართველოს კონსტიტუციასთან შედარებით, კანონი საქართველოს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, უფრო რთული აგებულებისაა. მასში მრავლადაა სპეციპიკური სიტყვები და ტერმინები:

*"export", "import", "gas storage", "gas supply", "transit", "transportation licensee", "Executive Board of the Georgian Wholesale Electricity Market", "Technical*

*Standards", "Market Rules", "Import Licensee", "Export Licensee"* და ა. შ. ([www.parliament.ge/Legal\\_Acts/Constitution/consem.html](http://www.parliament.ge/Legal_Acts/Constitution/consem.html), 100.)

ეს კანონი შედგება პუნქტებისაგან და ქვეპუნქტებისაგან. მეტყველი სუბიექტი, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, აქაც დაფარულია. მასზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიებიდან ვერცერთს ვერ მიუვსადაგებდი ამ კანონს. აქცენტი აქაც მსმენელ სუბიექტზეა. ადრესატზე ორიენტირებული კატეგორიებიდან კი სამივე კატეგორია ისევეა მოცემული, როგორც საქართველოს კონსტიტუციაში; მხოლოდ გამჭვირვალობის თვალსაზრისით, მინდა ვთქვა, რომ საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე ეს კანონი; იგი უფრო მოითხოვს წინასწარ შემზადებას, რადგან გადატვირთულია მთელი რიგი სპეციფიკური ტერმინებით, რაც უმეტესწილად ენერგეტიკის სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვისაა ცნობილი (თუმცა არა მხოლოდ მათთვის). საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი ადრესატისთვის უფრო გასაგებადაა წარმოდგენილი, ვიდრე კანონი საქართველოს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის ტექსტს, მიუხედავად გამჭვირვალობის ყველა ფაქტორის განუხორციელებლობისა, უფრო მეტად გამჭვირვალედ ჩავთვლი, ვიდრე მეორე კანონს; ორივე კანონი ნაწილობრივ გამჭვირვალეა რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ პასუხობს გამჭვირვალობის ყველა ფაქტორს, თუმცა მეტ-ნაკლებობა აქაც დასაშვებია.

ჩემს მიერ განხილული იურიდიული ტექსტების შემთხვევაში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს ორივე ტექსტი არის კანონი, რომლისთვისაც მიზანშეწონილი და მთავარი იქნება კანონის ძალაში გატარებას მიენიჭოს კატეგორიალური სტატუსი; მაშინ ეს კატეგორია სხვა დანარჩენი კატეგორიების მსგავსად მიიღებს პრაგმატიკულ განზომილებას, მოხდება მისი პრაგმატიზაცია; რაც ამავე დროს ნიშნავს მის ტექსტოლოგიზაციას; ეს კატეგორია შესწავლილ იქნება სხვა სტილის ტექსტების კი არა, არამედ იურიდიული ტექსტების ფარგლებში და ორივე სუბიექტზე – მეტყველ და მსმენელ სუბიექტებზე ანუ ადრესანტებსა და ადრესატებზე იქნება ორიენტირებული. ნებისმიერი კანონი იქმნება, ყალიბდება გარკვეული შეხედულებების მიხედვით, მაგრამ იგი ვერ იმოქმედებს, თუ არ იქნება ძალაში გატარებული. მას ძალა არ ექნება და ყოველგვარი განხილვა და

სჯა-ბაასი ამო იქნება, თუ კანონი არ მიიღეს. ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, იურიდიული ტექსტების შემთხვევაში, კერძოდ, კანონების შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი, კანონის ძალაში გატარების კატეგორია იქნება. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ისეთი ცნობილი კატეგორიის მსგავსად, როგორცაა გამჭვირვალობის კატეგორია, კანონის ძალაში გატარების კატეგორიის მიყენება ტექსტისადმი (კერძოდ, იურიდიული ტექსტისადმი) შესაძლებელია, რა თქმა უნდა მაშინ, როცა ყველა პირობა, რაც საჭიროა დაწერილის ტექსტად აღქმისათვის, დაკმაყოფილებულია; ეს საკითხი მაინც კვლევის ღია და საინტერესო საგნად რჩება.

I თავის ბოლოს დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ ჩემს მიერ განხილულ იურიდიულ ტექსტებში (არა მარტო ამ ტექსტებში, საერთოდ, იურიდიულ ტექსტებში) აქცენტი მსმენელ სუბიექტსა და მასზე ორიენტირებულ კატეგორიებზეა. მეტყველი სუბიექტი დაფარულია, მაგრამ არსებობს. დასახელებული ორივე კანონი ინფორმაციულია, არაექსპრესიული; გამჭვირვალობის თვალსაზრისით კი ორივე ტექსტი ნაწილობრივ გამჭვირვალეა მეტ-ნაკლებობის ფონზე. შემოვიტანე აზრი, რომ კანონის ძალაში გატარებას მიენიჭოს კატეგორიალური სტატუსი, რადგან კანონის ძალაში გატარების გარეშე კანონს ძალა არ ექნება და მის განხილვასაც აზრი დაეკარგება.

## თავი II

### პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა პოსტმოდერნისტი მწერლის – უმბერტო ეკოს ნაწარმოებ “Foucault’s Pendulum” – იდან პირველი ორი თავის მიხედვით

ჩემი სადისერტაციო ნაშრომის *II თავში* პრაგმატიკულ კატეგორიებს განვიხილავ ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსის, ისტორიკოსის, ლიტერატორის, სემიოტიკოსის, კრიტიკოსისა და ესთეტიკოსის, უმბერტო ეკოს ნაწარმოებიდან *"Foucault's Pendulum"*, პირველი ორი თავის მაგალითზე. მინდა აღვნიშნო, რომ განვიხილავ ამ ნაწარმოების არა ორიგინალს, იტალიურად დაწერილ ვერსიას, არამედ მის ინგლისურად თარგმნილ ვარიანტს, რომელიც უილიამ ვივერმა შეასრულა. მინდა, დავსძინო, რომ ამ ნაწარმოებში თავები ქვეთავებისგან შედგება; მე განსახილველად ავიღებ ორ თავსა და ექვს ქვეთავს.

დასახელებული ნაწარმოები ათ სეგმენტად იყოფა. მისი სათაური ფრანგ ფსიქიატრ *Foucault*-ის მიერ შექმნილი ნამდვილი *Pendulum*-იდან არის აღებული. მან *Pendulum*-ი იმისთვის შექმნა, რომ დედამიწის ბრუნვის დემონსტრირება მოეხდინა.

ნაწარმოებში სამი მთავარი გმირია, სამი მეგობარი: ბელბო, დიოტაველი და კასაუბონი, რომლებიც მილანში საგამომცემლო კომპანიაში მუშაობენ.

დასახელებული თავების წაკითხვის შემდეგ ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ვერაფერი გავიგე, მხედველობაში თუ არ მივიღებ ზოგიერთ ფრაზას.

ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი; თხრობა I პირში მიდის ერთ-ერთი მთავარი გმირის – კასაუბონის მიერ. ამიტომ თუ ჩვენ მივმართავთ ისეთი ლინგვისტის ნააზრევს, როგორცაა ე. ბენვენისტი, მის ერთ-ერთ თეზისს წარმოადგენს სწორედ ის, რომ მეტყველება ეგოცენტრულია; ე. ი. მეტყველების აქტი მდგომარეობს იმაში, რომ მეტყველი სუბიექტი მოცემულ მომენტში, თითქოსდა ითვისებს მთელ ენობრივ სისტემას და იყენებს მას თავისი მეობის, თავისი ეგოს გამოსახატავად. ამდენად, სამეტყველო აქტი

არის ეგოცენტრისტული. მანვე პირველად შემოიტანა მეტყველების ინტერსუბიექტურობის ცნება, მაგრამ სამეტყველო აქტის ეგოცენტრისტული პოზიცია მეტყველებს იმაზე, რომ აქცენტი მაინც მეტყველ სუბიექტზეა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ყოველი ნაწარმოები, ტექსტი იქმნება იმისთვის, რომ ვიღაცამ წაიკითხოს და ამდენად, უპრიანია იმის თქმა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მეტყველი სუბიექტი უფრო აქტიურია ასეთი ტიპის ნაწარმოებში, რადგან მსმენელის ანუ ადრესატისთვის ამ ტიპის ნაწარმოები სრულიად გაუგებარი იქნება (მაგრამ მსმენელსაც გააჩნია). ამდენად, მათ შორის უმეტესწილად იქნება, ჩემი აზრით, შეუთავსებლობა. ვინაიდან ტექსტი იმისთვის იქმნება, რომ ვიღაცამ წაიკითხოს, ამ ნაწარმოების შემთხვევაში, შეიძლება დაინტერესებულ, კითხვისმოყვარე ადამიანს სრულიად გაუქრეს მისი წაკითხვის სურვილი. მაგალითისთვის მინდა, მოვიყვანო ასეთი ნაწყვეტები ნაწარმოებიდან:

*" O, What a beautiful morning at the end of November, in the beginning was the word, sing to me, goddess, the son of Peleus, Achilles, how is the winter of your discontent. Period, new paragraph. Testing testing grams, if you've written a novel with a confederate hero named Rhett Butler and fickle girl named Scarlet and then change your mind, all you have to do is punch a key and Abu will global replace the Rett Butler to prince Andreis, the Scarletts to Natashas, Atlanta to Moscow, and lo! you've written war and peace.*

*Abu, du another thing now: Bebo orders Abu to change all words, make each "a" become "Akka" and each "o" become "ulla", for a paragraph to look almost Finish.*

*Akkabu, dulla akkanullather thing nullaw: Belbulla ullarders, Akkabu tulla chakkange akkal wullards, makkake eakkach "akka" becullame "akkakkakka" akkand eakkach "ulla"becullame "ullakka, fullar akka pakkara kkagrakkaph tulla lullaullak akkalmul last Finnish". ( Eco Umberto, 102, გვ 22, პარაგრაფი 1).*

*" Abraham Abulafia's Hokmath ha-Zeruf was at once the science of the combination of letter and the science of the purification of the heart. Mystic logic, letters whirling in infinite change, is the world of bliss, it is the music of thought, but see that you proceed slowly, and with caution, because your machine may bring you delirium instead of ecstasy. Many of Abulafia's disciples were unable to walk the fine line between contemplation of the names of God and the practice of magic. They manipulated the names*

*in an effort to turn them into a talisman, an instrument of dominion over nature, unaware – as you are unaware, with your machine – that every letter is bound to a part of the body, and shifting a consonant without the knowledge of its power may affect a limb, its position or nature, and then you find yourself deformed, a monster. Physically, for life; spiritually, for eternity.”* (Eco Umberto, 102, გვ 29, პარაგრაფი 2).

ცხადია, ადრესატისათვის ამგვარი მეტყველება სრულიად მიუღებელი იქნება, მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მთელი ნაწარმოები ასეთი აბსურდული ფრაზებით არ შემოიფარგლება.

ადრესანტსა და ადრესატს შორის შეუთავსებლობა თავს იჩენს ჯერ კიდევ ნაწარმოების სათაურიდან; მსმენელი სუბიექტი ვერ მიხვდება, რას ნიშნავს *"Foucault's Pendulum"*, თუ არ არის პარიზში ნამყოფი და არ უნახავს იგი ან არ წაუკითხავს, ან არ სმენია რაიმე *"Foucault's Pendulum"*-ის შესახებ. ნაწარმოების თითოეული თავის დასათაურება, ცოტა არ იყოს ბუნდოვანია:

*"Keter", "Hokhman", "Binah", "Hesed", "Gevurah", "Tiferet", "Nezah", "Hod", "Yesod", "Malkhut".* (Eco Umberto, 102, Table of contents, გვ VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII, XIV).

უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, ამ ტიპის ნაწარმოებში მეტყველ სუბიექტსა და მსმენელ სუბიექტს შორის კავშირი ვერ დამყარდება იმ დონეზე, როგორც ეს მოხდება სხვა ტიპის ტექსტებში (დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიმდინარეობას, რომელსაც მწერალი ეკუთვნის და მის წერის მანერასაც გააჩნია; უმბერტო ეკო ხომ პოსტმოდერნისტი მწერალია...)

რადგან მეტყველი სუბიექტი აქტიურად ფიგურირებს უმბერტო ეკოს ნაწარმოებში *"Foucault's Pendulum"*, იმ პრაგმატიკული კატეგორიების მოძებნა, რომლებიც უკავშირდებიან და ასახავენ მეტყველი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში, სავსებით შესაძლებელია.

ვინაიდან თავდაპირველად, განვიხილავთ იმ პრაგმატიკულ კატეგორიებს, რომლებიც მეტყველი სუბიექტის როლს უკავშირდებიან, დავიწყოთ ლოკაციის კატეგორიით. მას განვიხილავთ არა როგორც იზოლირებულ კატეგორიას, არამედ პროცესუალობასთან მიმართებაში. პროცესუალობა მსატვრულ ტექსტში ცალსახად არ ისაზღვრება: იგი ტექსტის



ფუნქციონალურ-კომუნიკაციური მახასიათებელიც არის, ტექსტისა და მხატვრული ხატის არსებობის ფორმაც; მაგრამ პროცესუალობის ფორმალიზაცია, სრული მოდელირება ვერ ხერხდება, რადგან მისი რეალიზაცია მკითხველის მიერ ნაწარმოების აღქმის დროს ხდება.

ლოკაციის კატეგორია უმბერტო ეკოს ნაწარმოებში *"Foucault's Pendulum"*, შეიძლება ითქვას ცვალებადია; მაგრამ აქვე შევნიშნავ, რომ იცვლება არა სამივე ასპექტი: პერსონალური, ტემპორალური და ლოკალური, არამედ მხოლოდ ორი — ტემპორალური და ლოკალური. პერსონალური ასპექტი ამ კატეგორიისა უცვლელია. მოქმედების ცენტრშია მხოლოდ ერთი სუბიექტი, რომელიც მეტყველებს. დროული და სივრცობრივი კოორდინატების ცვლილება ხდება ყოველი ახალი ეპიზოდის დასაწყისში. მაგ:

*" To enter the Conservatoire des Arts et Metiers in Paris, you first cross an eighteenth-century courtyard and step into an old abbey church, now part of a later complex, but originally part of a priory..."* ( Eco Umberto, 102, გვ 7, პარაგრაფი 1 ).

*" On the floor stretches a line of vehicles: bicycles, horseless carriages, automobiles; from the ceiling hang planes. Some of the objects are intact, though peeling and corroded by time, and in the ambiguous mix of natural and electric light they seem covered by a patina, an old violin's varnish. Others are only skeletons or chassis, rods and cranks that threaten indescribable tortures. You picture yourself chained to a rack, something digging into your flesh until you confess."* ( Eco Umberto, 102, გვ 7, პარაგრაფი 2 ).

*" I crossed the hall again, and there was the Statue of Liberty, "eclairant le monde" from a pedestal was a kind of sentry box, from which you could look through a porthole at a diorama of New York harbor..."* ( Eco Umberto, 102, გვ 9, პარაგრაფი 5).

*" I abandoned the chapel, turned left at the statue of Gramme, and entered a gallery..."* ( Eco Umberto, 102, გვ 10, პარაგრაფი 4 ).

*" I went upstairs, walked through the halls of the crafts, of energy, electricity. No place to hide here, not in these cases. I began to guess their meaning, but suddenly I was*

*gripped by the fear that there would not be time to find a place from which I could witness the nocturnal revelation of their secret purpose. Now I moved like a man pursued – pursued by the clock, by the ghastly advance of numbers. The earth turned, inexorably, the hour was approaching. In a little while I would be kicked out.*” ( Eco Umberto, 102, გვ 13, პარაგრაფი 3 ).

*“ Crossing the exhibit of electrical devices, I came to the hall of glass. By what logic had they decided that the most advanced and expensive gadgetry of the modern mind should be followed by a section devoted to an art known to the Phoenicians thousands of years ago? “.* ( Eco Umberto, 102, გვ 13, პარაგრაფი 4 ).

*“ It had been two days earlier, a Thursday. I was lazing in bed, undecided about getting up. I had arrived the previous afternoon and had telephoned my office. Diotallevi was still in the hospital, and Gudrun sounded pessimistic: condition un changed; in other words, getting worse. I couldn’t bring myself to go and visit him.”* ( Eco Umberto, 102, გვ 19, პარაგრაფი 1 ) .

*“ It was already night, Thursday, June 21. My eyes were watering . I had been staring at the screen and then at the printer’s pointillist anthill since morning. What I had read might be true or it might be false, but Belbo said he would call in the morning. I would have to wait here. My head swam. “* ( Eco Umberto, 102, გვ 37, პარაგრაფი 8) .

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ნაწარმოებში მოქმედება ადამიანის ცნობიერებაში ხდება; წლები, თვეები, რომლებიც იცვლებიან, მხოლოდ მოგონებებია. *"Foucault's Pendulum"*-ი, როგორც პრესა აღნიშნავს, კერძოდ *Chicago Tribune*, — *"ეს არის ჯადოსნური საიდუმლო მოგზაურობა დასავლური გონებისა"* (*"It is a magical tour of the Western mind"*). ( [www.umbertoeco.com](http://www.umbertoeco.com), 97. ) ნაწარმოები სავსეა ალუზიებით, პაროდებით და არც არის გასაკვირი, რომ არც კონკრეტულ დროს, არც კონკრეტულ ადგილას, არ ხდება მოქმედება. აქედან გამომდინარე, ლოკაციის კატეგორიის ლოკალური და ტემპორალური ასპექტები გარკვეული ცვალებადობით ხასიათდებიან.

სხვა კატეგორიებთან დაკავშირებით მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ხდება უკვე არსებულ კატეგორიათა გადააზრება და მათთვის

პრაგმატიკულობის სტატუსის მინიჭება. მოდალობის კატეგორია დიდი ხანია ცნობილი. ერთმანეთისგან განარჩევენ სუბიექტურ და ობიექტურ მოდალობას. ჯერ მინდა დაგაკონკრეტო, ორივე სახის მოდალობის მნიშვნელობა და შემდეგ ვნახოთ, რომელი მათგანი მიესადაგება უმბერტო ეკოს ნაწარმოებს.

ობიექტური მოდალობა, ეს არის ტექსტში ან გამონათქვამში ასახული სიტუაციის დამოკიდებულება რეალობასთან;

სუბიექტური მოდალობა კი, ასახავს მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას გამონათქვამში ასახული სიტუაციის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ორი სახის მოდალობიდან პირველი საერთოდ არ ახასიათებს მხატვრულ ტექსტს, უფრო მეტიც, ობიექტურ-მოდალური მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევაში იფარგლება მხოლოდ წინადადებით. სწორედ ობიექტური მოდალობის მიხედვით გამოიყოფა წინადადების ისეთი სახეები, როგორცაა თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილისა. ესენი ობიექტურ-მოდალური მნიშვნელობის მქონე ტიპებია. უნდა ითქვას, რომ ობიექტური მოდალობა უმეტეს შემთხვევაში არ ახასიათებს ტექსტს. სუბიექტური მოდალობა კი ძირითადად ტექსტის მთავარი და არსებითი თავისებურებაა. სუბიექტური მოდალობის ველის ცენტრად გ. ი. სოლგანიკის მიხედვით მიჩნეულია "მე" ნაცვალსახელი. "მე" ნაცვალსახელს, როგორც ტექსტის მოდალობის გამოხატვის საშუალებას, მის სემანტიკურ და სტრუქტურულ ფუნქციას თავისი გამოკვლევა უძღვნა გ. ი. სოლგანიკმა. (სერგია ვ. ა. — "ტექსტის ლინგვისტიკა", თბილისი გამომცემლობა "განათლება", 1989) მისი აზრით, მეტყველება შეუძლებელია მეტყველის გარეშე, ხოლო მეტყველი აღნიშნავს თავს "მე" ნაცვალსახელით. ნებისმიერი მეტყველება გამომდინარეობს "მე"-სგან და მიმართულია "შენ"-კენ და მოგვითხრობს მის შესახებ (საგანზე, ცნებაზე და ა.შ.). "მე"-სთან ერთად გამოჩნდება ხოლმე სუბიექტურ-შეფასებითი მნიშვნელობა.

ტექსტში მოდალობა საერთოდ გადმოიცემა ჩართული სიტყვებითა და გამოთქმებით, მოდალური სიტყვებით, ზმნის დროისა და კილოს ფორმებით, განმეორებითი მოდალური წინადადებითა და მეტატექსტით.

*"Foucault's Pendulum"*-ის განსახილველად არჩეული პირველი ორი თავი მინდა დავეო მეტატექსტებად, რათა ის მოდალური მეტატექსტები, რომლებიც ამ თავებში გამოყვავი, თვალნათლივ გამოიკვეთოს; მოდალობის გამომხატველი იმ საშუალებებიდან, რომლებიც ამ ფუნქციით წინადადებაშიც

გამოიყენება, ამ ორ თავშიც გამოჩნდა; მაგალითად ნაწილაკი "ო"; ამის დასასაბუთებლად მოვიყვან ნაწილაკებს ტექსტიდან:

*"O what a beautiful morning at the end of November..."* ( Eco Umberto, 102, გვ 22, პარაგრაფი 1).

*" O joy, o new vertigo of difference, o my platonic reader-writer racked by a most platonic insomnia, o wake of finnegan, o animal charming and benign..."* ( Eco Umberto, 102, გვ 22, პარაგრაფი 4).

*" O Raimundo, O Camillo, you had only to cast your mind back to your visions and immediately you could reconstruct the great chain of being, in love and joy, because all that was disjointed in the universe was joined in a single volume in your mind, and Proust would have made you smile. "* ( Eco Umberto, 102, გვ 23, პარაგრაფი 1 ) .

**"O"** შორისდებულის ფუნქცია აქ შესუსტებულია.

ვინაიდან **"O"** შორისდებული ვახსენე, მინდა, ორიოდ სიტყვა ვთქვა ინგლისურ ენაში მისი გამოყენების შესახებ.

საერთოდ, ინგლისურ ენაში **"O"** შორისდებული გამოიყენება, როგორც წამოდახილი, რომელიც პირდაპირ მიმართულია პერსონის ან პერსონიფიცირებული საგნის მიმართ. აღნიშნული შორისდებული შეიძლება იყოს ტკივილის, დარდის, გაკვირვების, სურვილის, შიშის გამომხატველი აღტკინებული წამოდახილი. **"O"** შორისდებულს ხშირად მოყვება ელიფსი, როცა ის გამოსატავს: სურვილს, მაგ,

*" O, I wish that Ishmael might live..."*,

გაკვირვებას, სინანულს, აღშფოთებას/გულისწყრომას, მაგ,

*" O it is sad that such eyes should e'er meet other object," Sheridan Knowles".*  
([www.dictionaryofwords.com/o/definition of term o, meaning of o, 92.](http://www.dictionaryofwords.com/o/definition%20of%20term%20o,%20meaning%20of%20o,%2092))

ვინაიდან და რადგანაც შორისდებულები **“O”** და **“Oh”** გამოყენების მხრივ თითქოსდა გვანან ერთმანეთს, საჭიროდ მიმაჩნია, მათ შორის განსხვავება მაინც არსებობს.

შორისდებულებ **“O”**-ს და **“Oh”**-ს შორის განსხვავება სახელდობრ იმაში მდგომარეობს, რომ **“O”** უმჯობესია გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს ან პერსონიფიცირებულ საგანს პირდაპირ მივმართავთ და მას ძახილის ნიშანი საერთოდ არ უნდა მოყვებოდეს, მაშინ როდესაც **“Oh”** გამოიყენება ისეთი წამოძახილის დროს, როცა პირდაპირი მიმართვა ადამიანისა და პერსონიფიცირებული საგნისადმი არ არსებობს და ძახილის ნიშანი მას შეიძლება მოყვებოდეს, შეიძლება – არა; ეს წინადადების აგებულებაზეა დამოკიდებული.

ზოგი თვლის, რომ **“Oh”** უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ, როგორც ძლიერი გრძნობის გამომხატველი შორისდებული. **“O”**-ს ფორმა კი ორივე მნიშვნელობით შეიძლება გამოიყენებოდეს – ძლიერი გრძნობის გამოსახატავად და სუსტი გრძნობის გამოსახატავად. მაგ,

*“ O, I am slain...”*

*“ O what a fair and ministering angel...”*

*“ O sweet angel...”* ([http://www.dictionaryofwords.com/o/definition of term o, meaning of o, 92](http://www.dictionaryofwords.com/o/definition%20of%20term%20o,%20meaning%20of%20o,%2092)).

როგორც უკვე აღვნიშნე, შორისდებული **“O”** გამოხატავს სხვადასხვა სახის ემოციას, მაგრამ უმეტესად გამოხატავს: გაოცებას, დარდს, წუხილს, ტკივილს, შიშს... ([www.dictionaryofwords.com/o/definition of term o, meaning of o, 92](http://www.dictionaryofwords.com/o/definition%20of%20term%20o,%20meaning%20of%20o,%2092).)

უმბერტო ეკოს *“Foucault’s Pendulum”*-იდან ზემოთ მოყვანილ ნაწყევტებში შორისდებულ **“O”**-ს ფუნქცია ჩემი აზრით, შესუსტებულია.

ტექსტის დონეზე მოდალობის გამოხატვის ძლიერ საშუალებებად უნდა მივიჩნიოთ: შედარება, ეპითეტი, მოდალური წინადადებები, მოდალური მეტატექსტები, მოდალური დასკვნა-რეზიუმე.

მინდა აღვნიშნო, რომ უმბერტო ეკოს *"Foucault's Pendulum"*-ის იმ ორ თავში, რომლებსაც მე განვიხილავ, რამდენიმე მოდალური მეტატექსტი გამოვყავი. ვიდრე ჩემს მიერ გამოყოფილ მეტატექსტებზე დავიწყებდე საუბარს, მინდა განემარტო, თუ რა არის მეტატექსტი და რატომ შეიქმნა იგი.

საუკუნეთა განმავლობაში წინადადება ითვლებოდა ენისა და მეტყველების უმაღლესი დონის სინტაქსურ ერთეულად. მაგრამ ენათმეცნიერების ახალი დარგის — ტექსტის ლინგვისტიკის წარმოშობამ უარყო ეს ტრადიციული გაგება. აღმოჩნდა, რომ წინადადება არ არის ენათმეცნიერების უმაღლესი დონის ერთეული. ის არის საკომუნიკაციო ერთეული. ხოლო როცა დაისვა საკითხი — არსებობს, თუ არა წინადადებაზე დიდი საკომუნიკაციო სიდიდე, აღმოჩნდა, რომ ასეთი ოდენობა, ასეთი ენობრივი თუ სამეტყველო ერთეული მართლაც არსებობს, რომელსაც მეკვლევარები სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავენ, ხოლო სერგია მეტატექსტს უწოდებს; (სერგია ვ. ა., 80.) მისი გაგებით, მეტატექსტი არის წინადადებაზე მაღალი დონის ენობრივი ოდენობა, რომელსაც აქვს საკუთარი მიკროთემა, აზრობრივი დამთავრებულობა და საკომუნიკაციო ფუნქცია. მეტატექსტის, როგორც ენობრივად მთლიანი ერთეულის კომპონენტია, აზრობრივად მონათესავე, შინაარსობრივად ახლო მდგომი დამოუკიდებელი წინადადებები, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან ერთი საგნის, ერთი მოვლენის, ერთი მიკროთემის შესახებ.

ახლა კი მინდა დავასახელო ის მოდალური მეტატექსტები, რომლებიც *"Foucault's Pendulum"*-ის პირველი ორი თავის განხილვისას გამოვყავი; მინდა, დავსძინო, რომ ეს ორი თავი (მთელ ნაწარმოებში თავები) შედგება ქვეთავებისგან.

პირველი მოდალური მეტატექსტი, ჩემი აზრით, *"Pendulum"*-ის დახასიათებაა თვითონ მეტყველი სუბიექტის მიერ; ნაწარმოებიდან შევიტყვევ, რომ მეტყველი სუბიექტი მოგზაურობს თავის წარმოსახვაში; მის ამგვარ მოგზაურობას სიმბოლური მოგზაურობა შეიძლება ვუწოდოთ. მეტყველი სუბიექტი, დედამიწის ბრუნვასთან *"Pendulum"*-ის ბრუნვის შედარებას ახდენს. იგი იყენებს მანდალას — ეს არის ხატი მოდერნისტული ნაწარმოებისა:

*"Pendulum told me that, as everything moved, earth, solar system, nebulae, and black holes, all the children of the great cosmic expansion ---- one single point stood still: a*

*pivot, bolt, or hook around which the universe could move...*" ( Eco Umberto, 102, გვ 5, პარაგრაფი 1). (მანდალა ნიშნავს წრეს, რომელსაც აქვს ცენტრი და იგი ამ ცენტრის გარშემო მოძრაობს) ([www.mandala.com](http://www.mandala.com), 94.)

მინდა დავსძინო, რომ მეტყველი სუბიექტის ყოველი გადაადგილება სივრცეში, ახალ მოდალურ მეტატექსტს ქმნის.

ყველაზე მთავარია, მაინც ის მოდალური დასკვნა-რეზიუმეები, რომლებიც ასევე მინდა გამოვყო:

*" Take heart, I said to myself: don't think of wisdom now; ask the help of science..."* ( Eco Umberto, 102, გვ 8, პარაგრაფი 5 ).

*" I had to leave, get away; this was madness. I was falling into the same trap, the same game, that had driven Jacobo Belbo out of his mind, I, the doubter..."* ( Eco, Umberto, 102, გვ 10, პარაგრაფი 2).

*" But perhaps in that simsun, that diminishment, that lonely seperation --- Diotallevi said --- there was already the promise of the return..."* ( Eco Umberto, 102, გვ 16, პარაგრაფი 2) .

*" In any case, if I had the strength and the courage to stay here for another half hour or so, the night watchman might not see me. "* ( Eco Umberto, 102, გვ 14, პარაგრაფი 4 ) .

*" Memories, distinct, precise, orderly. Of the past three frantic days, of the past two years, and the forty-year-old memories I found when I broke into Jacopo Belbo's electronic brain. "* ( Eco Umberto, 102, გვ 15, პარაგრაფი 7 ) .

*" A sharp report, like a shot. It must have been the receiver falling, slamming against the wall or onto that little shelf they have under telephones. A scuffle. Then the click of the receiver being hung up. Certainly not by Belbo. "* ( Eco Umberto, 102, გვ 20, პარაგრაფი 5 ) .

*“ And if you happen to write what modesty forbids, it all goes onto a floppy disc, and you can give the disc a password, and no one will be able to read you. Excellent for secret agents. You write the message, save it, then put the disc in your pocket and walk off. Not even Torquemada could find out, what you have written: It’s between you and it (It?). And if they torture you, you pretend to confess; you start entering the password, then press a secret key, and the message disappears forever. Oh I’m so sorry, you say, my hand slipped, an accident, and now it’s gone. What was it? I don’t remember. It wasn’t important. I have no Message to reveal. But later on – who knows? – I might.”* ( Eco Umberto, 102, გვ 24, პარაგრაფი 2 ) .

*“ Suddenly I was struck by the nimbus in the middle, the divine throne. The Hebrew letters were large; I could see them even from my chair. But Belbo couldn’t write Hebrew on Abulafia. I took a closer look: I knew them, of course, from right to left, yod, he, vav, he. The Tetragrammaton, Yahweh, the name of God. “* ( Eco Umberto, 102, გვ 27, პარაგრაფი 5 ) .

*“ And now, two days later, having achieved, I hope, serenity and amor fati, I can tell the story I reconstructed so anxiously ( hoping it was false) inside the periscope, the story I had read two days ago in Belbo’s apartment, the story I had lived for twelve years between Pilade’s whiskey and the dust of Garamond Press.”* ( Eco Umberto, 102, გვ 39, პარაგრაფი 5 ) .

ეს გახლდათ ის მოდალური დასკვნა-რეზიუმეები, რომლებიც მე გამოვეყავი. ისინი ძირითადად მოდალური მეტატექსტების ბოლოს გვხვდება.

მოდალობის გამოხატვის ყველა ჩემს მიერ გამოყოფილი საშუალება ერთიანდება და ემსახურება იმ მიზანს, რომ უშუალოდ, პირდაპირ და ექსპლიციტურად გვიჩვენონ მწერლის (მეტყველი სუბიექტის) სუბიექტურ-მოდალური დამოკიდებულება სხვადასხვა საგნისა თუ მოვლენის მიმართ.

ახლა გადავიდეთ დანარჩენ პრაგმატიკულ კატეგორიებზე, რომლებიც ასევე მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან და ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია მათი მისადაგება უმბერტო ეკოს ნაწარმოებისადმი.



შეფასების კატეგორია უმბერტო ეკოს ამ ნაწარმოებში გვხვდება, რადგან ჩემი აზრით, ყველა სახის მხატვრულ ტექსტში, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი დროის ნაწარმოები იქნება, მეტყველი სუბიექტი ახდენს არა მხოლოდ რეალობის უბრალო ნომინაციას, არამედ მის შეფასებასაც, ხოლო ეს შეფასება საბოლოო ჯამში გულისხმობს კარგისა და ცუდის ოპოზიციას. ტექსტში მოქმედება შეიძლება ადამიანის ცნობიერებაში ხდებოდეს, მაგრამ ამას ჩემი აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ადამიანი თავის ცნობიერებაშიც ხომ ახდენს იმის გარჩევას, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი. საერთოდაც მოქმედება ტექსტში მეტყველი სუბიექტის ცნობიერებაშიც რომ არ ხდებოდეს, მოვლენების შეჯამება საბოლოოდ მაინც მის გონებაში ხდება. მას გამოაქვს დასკვნები ყოველივე მომხდარის შემდეგ. უმბერტო ეკოს ჩემს მიერ აღნიშნულ ნაწარმოებშიც მეტყველი სუბიექტი ახდენს გარკვეული ფაქტისა თუ მოვლენის შეფასებას. მაგალითისთვის ნაწარმოებიდან მოვიყვან ნაწყვეტს, როდესაც ახალგაზრდა წყვილი საუბრობს *"Foucault's Pendulum"*-ზე:

*" It's Foucault's Pendulum", he was saying. "First tried out in a callar in 1851, then shown at the Observatoire, and later under the dome of the Pantheon with a wire sixty-seven meters long and sphere weighing twenty-eight kilos. since 1855 it's been here, in a smaller version, hanging from that hole in the middle of the rib."*

*" What does it do? Just hang there?"*

*" It proves the rotation of the earth. Since the point of suspension doesn't move..."*

*" Why doesn't it move?"*

*" Well, because a point... the central point, I mean, the one right in the middle of all the points you see... it's a geometric point; you can't see it because it has no dimension, it can't move, not tight or left, not up or down. So it doesn't rotate with the earth. You understand? It can't even rotate around itself. There is no 'itself.' "*

*" But the earth turns."*

*" The earth turns, but the point doesn't. That's how it is. Just take my word for it."*

*" I guess it's the Pendulum's business." ( Eco Umberto, 102, გვ 5, პარაგრაფი 3).*

მეტყველი სუბიექტი გამოთქვამს თავის აზრს გოგონაზე.

" *Idiot* " — ამბობს ის,

" *Above her head was the only stable place in the cosmos, the only refuge from the damnation of the panta rei, and she guessed it was the Pendulum's business not her's.*" ( Eco Umberto, 102, გვ 5, პარაგრაფი 6 ).

მეტყველი სუბიექტი ანუ ადრესანტი ახდენს არა იმის გამიჯვნას, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი; უნდა აღვნიშნო, რომ შეფასების კატეგორიას მხოლოდ ასე ვერ განვსაზღვრავდი. მეტყველი სუბიექტის მიერ ნებისმიერი გამოთქმული აზრი რაღაც საგანზე, მოვლენაზე, — ეს ხომ მისი შეფასებაა. ამ შემთხვევაში მას ახალგაზრდების საუბრიდან არ მოეწონა ფრაზა: "*I guess, it's the Pendulum's business* ", და თავისი აზრი გამოთქვა ამაზე: "*Idiot.* "

მხატვრულ ტექსტებში შეფასების კატეგორია მეტ-ნაკლებად გვხვდება. მაგ: შეიძლება, რეალისტურში უფრო მეტად არის გამოვლენილი, ვიდრე მოდერნისტულში; თუმცა ეს საკითხი უფრო დაწვრილებით შესწავლას საჭიროებს.

ვინაიდან მეტყველი სუბიექტი აქტიურად არის ჩაბმული აღნიშნულ ტექსტში, დისტანტურობის კატეგორიის მიყენება მისადმი სავსებით შესაძლებელია.

ემოციურობის კატეგორია, შეფასების კატეგორიის მსგავსად, მხატვრული ტექსტისადმი, სადაც მეტყველი სუბიექტი აქტიურად მეტყველებს, ადვილი მისაყენებელია. ემოციები ხომ განყენებულად არ არსებობენ, ისინი მუდამ მეტყველ სუბიექტს ახლავს, რაც ნათლად შეიძლება გამოიხატოს დასახელებულ ტექსტში. მაგ: მეტყველი სუბიექტის ემოცია ჩანს ასეთ ფრაზებში:

" *O, what a beautiful morning at the end of November...*" ( Eco Umberto, 102, გვ 22, პარაგრაფი 1 ) .

*" O joy, o new vertigo of difference, o my platonic reader-writer racked by a most platonic insomnia, o wake of finnegan, o animal charming and benign..."* ( Eco Umberto, 102, გვ 22, პარაგრაფი 4).

*" O Raimundo, O Camillo, you had only to cast your mind back to your visions and immediately you could reconstruct the great chain of being, in love and joy, because all that was disjointed in the universe was joined in a single volume in your mind, and Proust would have made you smile. "* ( Eco Umberto, 102, გვ 23, პარაგრაფი 1 ) .

ახლა კი პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა მინდა გავაგრძელო მსმენელ სუბიექტზე ორიენტირებული კატეგორიებით. მართალია, თავდაპირველად აღვნიშნე, რომ უმბერტო ეკოს ნაწარმოებში *"Foucault's Pendulum"*, აქცენტი მეტყველ სუბიექტზეა, მაგამ ეს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ ამ ტექსტს მსმენელი სუბიექტი არ მოეპოვება. უბრალოდ აღვნიშნე, რომ ამ ტიპის ნაწარმოებში მეტყველ სუბიექტსა და მსმენელ სუბიექტს შორის კავშირი ვერ დამყარდება იმ დონეზე, როგორც ეს მოხდება სხვა სტილის ნაწარმოებში, მაგ: საგაზეთო ტექსტში. მართალია, აქცენტი მეტყველ სუბიექტზეა, მაგრამ მსმენელი სუბიექტიც აუცილებლად ფიგურირებს ტექსტში. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ყოველივე დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის თეზაურუსზე და ფონურ ცოდნაზე.

ახლა მინდა, განვიხილო ნაწარმოები ადრესატზე დამოკიდებული პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით და ვნახოთ, რამდენად ფიგურირებენ ისინი ამ ტექსტში.

ადრესატზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა დავიწყოთ გამჭვირვალობის კატეგორიით. მისი შინაარსი და არსებობა განპირობებულია ადრესატით. (თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ არ არსებობს პრაგმატიკული კატეგორია, რომელიც მხოლოდ ერთი სუბიექტით იქნება განპირობებული.) როგორც გამონათქვამი, ისე გამონათქვამის რომელიმე ასპექტი გამჭვირვალეა იმდენად, რამდენადაც იგი გამჭვირვალეა ადრესატისთვის. გამჭვირვალობა ხომ გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ნათქვამი გასაგებია ადრესატისთვის. უმბერტო ეკოს *"Foucault's Pendulum"*-ი, ჩემი აზრით, ზოგისთვის შეიძლება გამჭვირვალე იყოს, ზოგისთვის კი — გაუმჭვირვალე; ჯერ მინდა ჩამოვყალიბო გამჭვირვალობის ფაქტორები,

ხოლო შემდეგ ავხსნა, თუ რატომ შეიძლება ზოგისთვის გამჭვირვალე იყოს, ზოგისთვის კი — გაუმჭვირვალე.

პირველი ფაქტორი არის ის, რომ ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია უნდა იყოს ერთნაირი ორივე მონაწილესთვის. ამ პირობის გარეშე გამჭვირვალობა ვერ იქნება.

გამჭვირვალობის შემდეგი ფაქტორია კომუნიკაციური სიტუაცია, რომელიც უნდა იყოს იდენტური ორივე მონაწილისათვის.

შემდეგი ფაქტორია კომუნიკანტთა თეზაურუსები, მათი ფონური ცოდნა, თუ სამყაროს ხატი ან უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, ან მათ შორის არ უნდა იყოს პრინციპული განსხვავება. ადრესანტის მიერ გამონათქვამში ხმარებულ სიტყვებს და მათ შეხამებებს არ უნდა ჰქონდეთ ისეთი მნიშვნელობა, რომელიც პრინციპულად განსხვავებულია იმ მნიშვნელობებისაგან, რომელსაც მას ადრესატი ანიჭებს.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ვერც ერთი პასუხობს გამჭვირვალობის კატეგორიას უმბერტო ეკოს შემთხვევაში და სწორედ აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ეს ნაწარმოები გაუმჭვირვალეა. თუმცა ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ტიპის ნაწარმოებს თავისი მკითხველი ჰყავს, რომლისთვისაც ნაწარმოები აბსურდული და გაუგებარი არ იქნება. ზოგ მკითხველს გააჩნია ის ფონისეული ცოდნა, რომელიც ემთხვევა ადრესანტისას და არ ვიქნები სწორი თუ ჩავთვლი, რომ ვერავინ გაიგებს ამ ნაწარმოებს, და ყველასთვის გაუმჭვირვალე იქნება; გაუმჭვირვალობა, — ეს ხომ არაკომუნიკაბურობის ნიშანია. იგი არის სამყაროს განსხვავებული ხედვის ასახვა. გაუმჭვირვალობა არის იქ, სადაც გვაქვს სუბიექტთა მარტოსულობა. როგორც ჩანს, გამჭვირვალობის კატეგორიის თვალსაზრისით, ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული ნაწარმოები ან სრულიად გამჭვირვალეა ან სრულიად — გაუმჭვირვალე, ყოველივე დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის ფონურ ცოდნასა და თეზაურუსზე.

ადრესატზე ორიენტირებული შემდეგი პრაგმატიკული კატეგორიის — ინფორმაციულობის კატეგორიის თვალსაზრისით, ეს ტექსტი შეიცავს ადრესატისთვის ახალს, ეს ახალი კი ემყარება იმას, რაც ცნობილია. მაგ: ცნობილია, რომ დედამიწა ბრუნავს, რომელსაც ემყარება ის, რომ *Foucault's Pendulum*-ი ხელს უწყობს დედამიწის ბრუნვას — "It proves the rotation of the

earth. Since the point of suspension doesn't move." ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ეს ნაწარმოები თანამედროვე დროის მკითხველისთვის ახალია და შესაძლებელია, რომ ყველა დონის მკითხველისათვის ეს ნაწარმოები ვერც გამჭვირვალე და ვერც ინფორმაციის მიმცემი ვერ იქნება. ზოგ მკითხველს კი გააჩნია ის ფონისეული ცოდნა, რომელიც ემთხვევა ადრესანტისას და არ ვიქნები სწორი, თუ ჩავთვლი, რომ ვერაინ გაიგებს ამ ნაწარმოებს.

ახლა მინდა, გადავიდეთ კიდევ ერთ პრაგმატიკულ კატეგორიაზე, რომელიც ასევე მსმენელ სუბიექტთან არის დაკავშირებული და, რომელიც არ უარყოფს იმას, რომ საქმე გვაქვს ადრესანტის მიერ სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვასთან. ეს არის ექსპრესიულობის კატეგორია; მისი ძირითადი მიზანია, ადრესატზე ზემოქმედების მოხდენა. ექსპრესიულობა ხომ მუდამ ორი ფუნქციური მომენტის შერწყმის შედეგია:

1. *ადრესანტის კომუნიკაციური ინტენცია (რა ზემოქმედება სურს მას მოახდინოს ადრესატზე).*
2. *ადრესანტის მიერ სამყაროს იმ ხატის გათვალისწინება, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისათვის. (ენუქიძე რ., 75.)*

იმისათვის, რომ მკითხველმა ანუ მსმენელმა სუბიექტმა გაიგოს ტექსტი, (ამ შემთხვევაში უმბერტო ეკოს "*Foucault's Pendulum*"-ი), მას უნდა ჰქონდეს მოლაპარაკესთან, ე. ი. მეტყველ სუბიექტთან საერთო წინასწარი ცოდნა:

1. *სამყაროს ცოდნა / the world vision / — მსმენელმა უნდა იცოდეს მოცემული ენის ყველა სიტყვა და სინტაქსურ წესთა ფუნქციობა, მოლაპარაკესთან უნდა ჰქონდეს ფაქტების საერთო ცოდნა; წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გაიგოს, მაგრამ სათანადოდ ვერ შეაფასოს ტექსტი. თუ მოლაპარაკესა და მსმენელს არა აქვთ გარემოს ერთნაირი ცოდნა, მაშინ საჭირო იქნება განმარტებები მოლაპარაკის მხრიდან.*

2. *სიტუაციის ცოდნა / situation vision /, რაც გულისხმობს მსმენელთან საუბრის დროისა და ადგილის, სიტუაციის სხვა მახასიათებლების ცოდნას. უმეტესად ამის შესრულება თავისთავად ხდება, მაგრამ უმბერტო ეკოს შემთხვევაში ეს შეუძლებელია.*
  
3. *ტექსტის ცოდნა / text vision /, რომელიც არის ცოდნა იმ ინფორმაციისა, რომელიც მიმდინარეობს უშუალოდ ენობრივი კონტექსტიდან, ამის გარეშე ვერ მოვახდენთ ტექსტის ინტერპრეტაციას.*
  
4. *ტექსტის წმინდა ენობრივ პირობათა ცოდნა, თუმცა ხშირად ისინი ბუნდოვანია და განუსაზღვრელი, მაგრამ ენის ცოდნა ნიშნავს ამ სპეციფიკურ ენობრივ პირობათა ცოდნასაც. (შენგელაია ნ., 83.)*

განხილვიდან გამომდინარე დავასკვნებ, რომ ნაწარმოები არაექსპრესიულია, რადგან ექსპრესიულობის ეს ორი ფუნქციური მომენტი ვერ ერწყმის ერთმანეთს. თუმცა უნდა აღინიშნოს კიდევ ერთხელ, რომ ყოველივე თქმული მაინც დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის ფონურ ცოდნასა და თეზაურუსზე. ზოგიერთისთვის შეიძლება ექსპრესიულიც იყოს ჩემს მიერ აღნიშნული ტექსტი, გამჭვირვალეც და ინფორმაციულიც, ან პირიქით.

### თავი III

## პოსტმოდერნისტი მწერლის – უმბერტო ეკოს შედარება რეალისტ მწერალ – ჩარლზ დიკენსთან პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით

ჩემი სადისერტაციო ნაშრომის *III თავში* მინდა, მოვახდინო უმბერტო ეკოს შედარება ერთ დიდ კლასიკოს მწერალთან, რომელიც მისგან წერის მანერითაც და მიმდინარეობითაც აბსოლუტურად განსხვავდება. შემდეგ კი ამ კლასიკოსი მწერლის ერთ-ერთი რომანი განვიხილო პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით. იგი ძალიან ცნობილი მწერალი ჩარლზ დიკენსია.

უმბერტო ეკო პოსტმოდერნისტი მწერალია. პოსტმოდერნიზმი კი ინტერნაციონალური მიმდინარეობაა, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ყველა თანამედროვე ხელოვნებაზე, რომლებიც მოდერნიზმს მისდევდნენ. ლიტერატურაში, განსაკუთრებით რომანში, პოსტმოდერნიზმი უარყოფს ტრადიციულ რეალიზმს. პოსტმოდერნისტი მწერალი რომანსა და ჟურნალისტიკას შორის ზღვარს აბუნდოვნებს. უმბერტო ეკო სწორედ ასეთი მიმდინარეობის წარმომადგენელია. მისი ნაწარმოები *"Foucault's Pendulum"* — ეს არის "semiotic murder mystery", რომელიც მნიშვნელობების მთელ რიგ ფენაშია გახვეული. • ( [www.umbertoeco.com](http://www.umbertoeco.com), 97.) ეს ნაწარმოები სავსეა ტექსტური ალუზიებით. მისი გმირები იძიებენ ტექსტს, როგორც რეალობას და რეალობას, როგორც ტექსტს. აღარ დავიწყებ იმის გამეორებას, თუ რომელი კატეგორია სჭარბობს ამ ტექსტში, რადგან ყოველივე ჩემი ნაშრომის II თავში, ჩემი აზრით, თვალნათლივ გამოვვეცი.

ახლა კი მინდა, კლასიკოს მწერალ დიკენსის ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით გამოვყო პრაგმატიკული კატეგორიები და გავავლო პარალელი უმბერტო ეკოსთან. ვნახოთ, თუ როგორ განსხვავებულად არის წარმოდგენილი ეს კატეგორიები ჩარლზ დიკენსის ჩემს მიერ შერჩეული ნაწარმოების ნაწყვეტში.

III თავის დასაწყისში უმბერტო ეკოს და იმ მიმდინარეობას შევეხე, რომელსაც იგი ეკუთვნის; ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ

თვალნათლივ დავინახოთ, როგორ განსხვავებულად არიან წარმოდგენილი პრაგმატიკული კატეგორიები სხვადასხვა ტიპის ტექსტებში, რაც ჩემი კვლევის ძირითად მიზანს შეადგენს.

თავდაპირველად, მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა ჩარლზ დიკენსის წერის მანერაზე, რათა წარმოდგენა შეგვექმნას მასზე და შემდეგ გადავიდეთ მისი ნაწარმოებიდან *"Great Expectations"*, შერჩეული ნაწევრების პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვაზე.

ჩარლზ დიკენსის შემოქმედების მეთოდს განსაზღვრავს რეალისტური და რომანტიკული საწყისების შერწყმა. მის შემოქმედებაში ერთმანეთს ენაცვლება ტრაგიკული და კომიკური, მკაცრი რეალისტური სურათი და ფანტასტიკა, უზუსტესი დახვეწილი აღწერა და გროტესკი, დრამატული სცენები და ეპიკური თხრობა. დიკენსის შემოქმედება გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიც არის; მისი სოციალური შეხედულებები მეტისმეტად სწორხაზოვანია თავისი ამოსავალი პრინციპებით. იმის გამო, რომ მწერალს სინამდვილე მარტოოდენ კეთილისა და ბოროტის შეჯახების ასპარეზად წარმოუდგენია, მისი პერსონაჟებიც მკვეთრად იყოფიან კეთილ და ბოროტ, დადებით და უარყოფით ტიპებად. დიკენსის ოპტიმიზმი ემყარება დიდაქტიკურ ტენდენციებს. თავისებურია მისი ენაც. იგი ხან ლირიკულია, ხან ამადლებულ-პათეტიკური; ემოციურია, მდიდარია იდიომებით, ხალხური თქმებით.

თავის ერთ-ერთ საუკეთესო რომანში, რომელიც მე განსახილველად ავირჩიე, *"Great Expectations"*-ში ჩარლზ დიკენსი ერთმანეთთან აერთებს დრამასა და სატირას, რათა გადმოგვცეს სრული ამბავი კომედიითა და პათოსით სავსე.

დიკენსის ნაწარმოები *"Great Expectations"* შედგება 59 თავისაგან. ჩემი ნაშრომისათვის განსახილველად ავიღებ მხოლოდ ხუთს, რადგან რაც ჩემი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, იმის გასარკვევად ხუთიც საკმარისი იქნება.

*"Great Expectations"*-ში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. უმბერტო ეკოს *"Foucault's Pendulum"*-ისაგან განსხვავებით, პირველივე ფრაზებიდან ყველაფერი გასაგებია. ამ ნაწარმოებში მეტყველი სუბიექტიცა და მსმენელი სუბიექტიც ერთნაირად აქტიურია. მათ შორის, შეიძლება ითქვას, სრული ჰარმონიაა.



მინდა, ამ ნაწარმოების ჩემს მიერ ამორჩეული თავების გაანალიზება მეტყველ სუბიექტზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიებით დავიწყო. აღარ დავიწყებ იმის გამეორებას, თუ რას წარმოადგენს თითოეული კატეგორია; უბრალოდ მინდა, განვიხილო, რამდენად სრულად არიან ისინი მოცემულნი დიკენსის *"Great Expectations"*-ის ჩემს მიერ ამორჩეულ თავებში. ვინაიდან მთელ ნაწარმოებს არ განვიხილავ, არამედ მხოლოდ რამდენიმე თავს, უპირანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ მე ვახდენ არსებული სრული ტექსტის დაშლას მეტატექსტებად, მაგრამ ტექსტის ძირითადი თემა შენარჩუნებულია; ამ მეტატექსტებს კი თავიანთი მიკროთემები გააჩნიათ, რომლებიც საერთო თემის გარშემო ერთიანდებიან. ეს ერთიანობა კი მეტატექსტის აზრობრივ მთლიანობასა და დამთავრებულობას ქმნის.

მეტყველ სუბიექტზე ორიენტირებული კატეგორიებიდან უმნიშვნელოვანეს პრაგმატიკულ კატეგორიად ითვლება ლოკაციის კატეგორია, რომელიც სამი კოორდინატით განისაზღვრება: "მე-აქ-ახლა". *"Great Expectations"*-ში აშკარად ჩანს, რომ მეტყველი სუბიექტი, რომელიც პირველ პირში საუბრობს, ახდენს მთელი ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას. საერთოდ ტრადიციული "მე" აისახებოდა გრამატიკულ სისტემაში, როგორც პირის ზმნური კატეგორიის ერთ-ერთი წევრი, და ნაცვალსახელთა სისტემის კომპონენტი (მე, შენ, ის). იმდენად, რამდენადაც "მე" ასახულია ზმნურ კატეგორიათა სისტემაში, მაშინ ლაპარაკი შეიძლება ზმნის პრაგმატულ კატეგორიებზე. უნდა ითქვას ისიც, რომ "მე" კოორდინატის როგორც შინაარსი, ისე გამოხატვა აღემატება იმ გამოხატვას, რომელიც ხდება ზმნის ფარგლებში. იმას, თუ ვინ ახდენს ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას, ზმნის გარდა, გვიჩვენებს ნაცვალსახელად წოდებული სიტყვა "მე", ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კოორდინატს არ გამოხატავს ექსპლიციტურად არც ზმნა და არც სიტყვა "მე", მას გამოხატავს გამონათქვამის მთელი შინაარსი. *"Great Expectations"*-ის შემთხვევაში ლოკაციის კატეგორიის პერსონალური ასპექტს გამოხატავს სიტყვა "მე", რომელსაც მთელი ტექსტის შინაარსიც უკავშირდება. ეს "მე" ჩართულია მთლიანად ტექსტში:

*" My father's family name being Pirrip, and my Christian name Philip, my infant tongue could make of both names nothing longer or more explicit than Pip. So, I called myself Pip, and came to be calld Pip."* ( Dickens Charles, 101, გვ 5, პარაგრაფი 1 ) .

როგორც ამ ფრაზიდან ჩანს, "მე" კოორდინატი თავად არის ჩართული ტექსტში და მთელი შინაარსიც მას უკავშირდება.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ასპექტს, ლოკალურსა და ტემპორალურს, ისინი იცვლებიან ყოველი ახალი ეპიზოდის დასაწყისში. მაგ: თავდაპირველად, მეტყველი სუბიექტი იმყოფებოდა ეკლესიის ეზოში, შემდეგ სახლში, მდინარის ნაპირას და ა. შ. მთელი ნაწარმოების მანძილზე ასევე ხან დილაა, ხან საღამო და ა. შ. მაგ:

*" At such a time I found out for certain, that this bleak place overgrown with nettles was the churchyard, and that Philip Pirrip, late of this parish, and also Georgiana wife of the above, were dead and buried; and that Alexander, Bartholomew, Abraham, Tobias, and Roger, infant children of the aforesaid, were also dead and buried; and that the dark flat wilderness beyond the churchyard, intersected with dykes and mounds and gates, with scattered cattle feeding on it, was the marshes; and that the low leaden line beyond was the river; and that the distant savage lair from which the wind was rushing, was the sea; and that the small bundle of shivers growing afraid of it all and beginning to cry, was Pip".* (Dickens Charles, 101, გვ 5, პარაგრაფი 3).

*" When I ran home from the churchyard, the forge was shut up, and Joe was sitting alone in the kitchen. Joe and I being follow-sufferers, and having confidences as such, Joe imparted a confidence to me, the moment I raised the latch of the door and peeped in at him opposite to it, sitting in the chimney corner. "* ( Dickens Charles, 101, გვ 10, პარაგრაფი 2 ) .

*" It was a rimy morning, and very damp. I had seen the damp lying on the outside of my little window, as if some goblin had been crying there all night, and using the window for a pocket-handkerchief. "* ( Dickens Charles, 101, გვ 17, პარაგრაფი 3 ) .

როგორც ჩანს, *"Great Expectations"*-ში ლოკაციის კატეგორია ორი ასპექტის მონაცვლეობით ხასიათდება.

ახლა მინდა, გადავიდეთ მოდალობის კატეგორიაზე და ვნახოთ, თუ შეიძლება მისი მისადაგება ამ ტექსტისადმი.

ორი სახის მოდალობიდან — სუბიექტურიდან და ობიექტურიდან, *"Great Expectations"*-ისადმი სუბიექტური მოდალობის მისადაგება შეიძლება, რომელიც ასახავს მეტყველი სუბიექტის ანუ ადრესანტის დამოკიდებულებას ტექსტში ასახული სიტუაციის მიმართ.

ჩემს მიერ დასახელებული ტექსტის ნაწყვეტებში მოდალობის გამოსატვის სხვადასხვა საშუალება გვხვდება, რომლებიც სხვადასხვა მეტატექსტში ასრულებენ მოდალობის ფუნქციას; მოდალობის გამომხატველი იმ საშუალებებიდან, რომლებიც ამ ფუნქციით წინადადებაშიც გამოიყენება, ამ ტექსტის ნაწყვეტშიც გამოჩნდა შემდეგი შორისდებულები:

*"O"* წინადადებაში :

*“ O! Don’t cut my throat, sir,’ I pleaded in terror. ‘ Pray don’t do it sir.”* ( Dickens Charles, 101, გვ 6, პარაგრაფი 4) .

*"Oh"* ნაწყვეტებში :

*“ Oh! Said he, coming back. ‘And is that your father alonger your mother?’”* (Dickens Charles, 101, გვ 7, წინადადება 9 ) .

*“ Oh-h! said I, looking at Joe. Hulks !”* ( Dickens Charles, 101, გვ 15, პარაგრაფი 10 ) .

*“ Oh ah! He returned, with something like a gruff laugh. Him? Yes, yes! He don’t want no wittles”.* ( Dickens Charles, 101, გვ 20, პარაგრაფი 7 ) .

*“ Every Christmas Day he presented himself, as a profound novelty with exavtly the same words, and carrying the two bottles like dumbbells. Every Christmas Day, Mrs. Joe*

*replied, as she now replied, 'Oh, Un – cle Pum – ble – chook! This is kind!' he retorted, as he now retorted, 'It's no more than your merits. And now are you all bobbish, and how's Sixpennorth of halfpence? Meaning me'.* (Dickens Charles, 101, გვ 25, პარაგრაფი 2 ).

"Ha" წინადადებაში :

*"Hah! Said Mrs. Joe, restoring Tickler to his station".* ( Dickens Charles, 101, გვ 11, პარაგრაფი 7 ).

"Ah" წინადადებაში :

*" Ah! Said Joe. There is another conwict off"* . ( Dickens Charles, 101, გვ 15, პარაგრაფი 2) .

ჩართული სიტყვები: "Well" ნაწყვეტებში :

*" Well, said Joe, glancing up at the Dutch clock, she's been on the Ram-page, this last spell, about five minutes, Pip. She's a-coming! Get behind the door, old chap, and have the jack-towel betwixt you".* ( Dickens Charles, 101, გვ 10, პარაგრაფი 7) .

*" Well, but I mean a four-footed Squeaker, said Mr. Pumblechook. If you had been born such, would you have been here now? Not you - - "* . ( Dickens Charles, 101, გვ 27, პარაგრაფი 6 ) .

"You know ", ნაწყვეტებში :

*" You know, Pip, said Joe, solemnly, with his last bite in his cheek, and speaking in a confidential voice, as if we two were quite alone, you and me is always friends, and I'd be the last to tell upon you, any time. But such a – he moved his chair, and looked about the floor between us, and then again at me – such a most uncommon bolt as that!"* ( Dickens Charles, 101, გვ 13, პარაგრაფი 10 ) .

*“ You know, old chap, said Joe, looking at me, and not at Mrs. Joe, with his bite still in his cheek, I Bolted, myself, when I was your age – frequent – and as a boy I’ve been among a many Bolters; but I never see your bolting equal yet, Pip, and it’s a mercy you ain’t Bolted dead”.* ( Dickens Charles, 101, გვ 13, პარაგრაფი 11 ) .

ტექსტის დონეზე კი მოდალობის გამოსატვის ძლიერ საშუალებებად მიჩნეულია მოდალური წინადადებები, მოდალური დასკვნა-რეზიუმეები:

*“Conscience is a dreadful thing, when it accuses man or boy; but when in the case of a boy, that secret burden co-operates whith another secret burden down the leg of his trousers, it is a great punishment.”* ( Dickens Charles, 101, გვ 14, პარაგრაფი 2 ) .

*“Oh, Heavens, it had come at last! He would find it eas weak, he would say it was weak, and I was lost! I held tight to the leg of the table, under the cloth, with both hands, and awaited my fate ”.* ( Dickens Charles, 101, გვ 28, პარაგრაფი 3 ) .

როგორც ჩანს, მოდალობის კატეგორია, დასახელებული ტექსტის ნაწყვეტისადმი, თავისი გამომხატველი საშუალებებით: შორისდებულებით, ჩართული სიტყვებით, მოდალური წინადადებებითა და მოდალური დასკვნა-რეზიუმეებით, ადვილი მისაყენებელია.

რაც შეეხება, შეფასებისა და ემოციურობის კატეგორიებს, ორივე მათგანი გვხვდება *“Great Expectations”*-ში.

დიკენსს, როგორც აღვნიშნე, სინამდვილე მარტოოდენ კეთილისა და ბოროტის შეჯახების ასპარეზად წარმოუდგენია; მისი პერსონაჟებიც იყოფიან ბოროტ და კეთილ, დადებით და უარყოფით ტიპებად. შეფასების კატეგორიაც ხომ ძირითადად ეყრდნობა იმას, რომ გამონათქვამის ლექსიკური ელემენტები შეიცავენ არა მარტო რეალობის უბრალო ნომინაციას, არამედ მის შეფასებასაც, ხოლო ეს შეფასება კი გულისხმობს კარგისა და ცუდის ოპოზიციას. ეს ოპოზიცია კი პრაგმატიკული ხასიათისაა და ასახავს მეტყველი სუბიექტის აქსეოლოგიურ დამოკიდებულებას რეალობისადმი.

ემოციურობის კატეგორიაც მუდამ სუბიექტს ახლავს, რადგან ემოციები განყენებულად არ არსებობენ. დიკენსის ენაც ხომ ემოციურია; ამდენად, ამ კატეგორიის მისი ნაწარმოებისადმი მისადაგება, შეცდომად არ ჩაითვლება.

დისტანტურობის კატეგორია, დიკენსის ჩემს მიერ არჩეული ნაწარმოებისადმი, ძალიანად ადვილი მისასადაგებელია. ვიცი, რომ ეს კატეგორია ასახავს მეტყველი სუბიექტის დაინტერესებულობას ტექსტის შინაარსით, იმას, თუ იგი პირადადაა ჩართული ტექსტში. დისტანტურობის დონე კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ფუნქციურ სტილს ეკუთვნის იგი. დისტანტურობის კატეგორია *"Great Expectations"*-ში მკაფიოდ არის გამოვლენილი, რადგან რაც ზემოთ ვთქვი, ყოველივე განხორციელებულია ამ ტექსტში.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ პრაგმატიკული კატეგორიების გამჭოლი სტატუსი მთელი ენობრივი სისტემის ფარგლებში — პრაგმატიკა ასახულია ყველა ენობრივი დონის ერთეულებში და ყველა ამ ერთეულის კატეგორიარულ სისტემაში. ისიც ვთქვით, რომ პრაგმატიკის სუბიექტურობა გულისხმობს არა მარტო ადრესანტის, არამედ ადრესატის სუბიექტურობასაც და ამდენად, გვაქვს პრაგმატიკულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემაც — ის კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ადრესატს, მის პოზიციასა და გავლენას ტექსტზე. საკომუნიკაციო ეფექტის მისაღწევად არ არის საკმარისი, რომ ტექსტი შეიცავდეს ლოკაციას, მოდალობას, შეფასებას და ა. შ. იგი უნდა იყოს ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე.

ახლა მოდით, ვნახოთ, რამდენად ექსპრესიული, ინფორმაციული და გამჭვირვალეა დიკენსის ნაწარმოები *"Great Expectations"*.

ინფორმაციულობის კატეგორიის შინაარსი კომუნიკაციური ლინგვისტიკის დღევანდელ ეტაპზე მთლიანად იფარება, ივსება იმ ფენომენით, რომელსაც წინადადების აქტუალური დანაწევრების ფენომენი ეწოდება. ცნობილია, რომ ყოველი წინადადება ხასიათდება ბინარული — სუბიექტ-პრედიკატული სტრუქტურით. სუბიექტისა და პრედიკატის ცნება უკვე თავის თავში გულისხმობს გარკვეულ ინფორმაციულობას. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა არის ახალი და რა არის ცნობილი იმისთვის, ვისაც მივმართავთ. სუბიექტი ემთხვევა ცნობილს და პრედიკატი ახალს. გაჩნდა ცნებები "თემა" და "რემა". "თემა" ნიშნავს სუბიექტს, "რემა" კი — პრედიკატს. ("სუბიექტი" და "პრედიკატი" ლათინური წარმოშობის სიტყვებია, "თემა" და "რემა" კი — ბერძნული.) სინტაქსური სტრუქტურისათვის სულერთია, რა იქნება ახალი და რა — ცნობილი. მაგრამ იმის მიხედვით, თუ ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება წინადადებას, განსხვავებული იქნება მისი

კომუნიკაციური სტრუქტურა. ცნობილია, რომ ყოველი პრაგმატიკული კატეგორია მუდამ მიუთითებს სუბიექტის (ან სუბიექტთა) როლზე და ამ როლის გავლენაზე არა წინადადების და, მითუმეტეს არა ცალკეული სიტყვის, არამედ მთლიანი ტექსტის ფარგლებში. ე. ი. ყოველი კატეგორია შინაგანად დაკავშირებულია ტექსტთან იმ მიზეზის გამო, რომ კომუნიკაცია ხდება არა წინადადების, არა ცალკეული სიტყვის, არამედ ტექსტის საშუალებით, ტექსტის ფარგლებში. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ როცა ლინგვისტური პრაგმატიკა რომელიმე ტრადიციულ კატეგორიას ითვისებს, ათვისების ეს აქტი თუ პროცესი დროულად ორ მომენტს გულისხმობს: ხდება ამ ცნების პრაგმატიზაცია, რაც ერთის მხრივ, გულისხმობს მის აქტივიზაციას, მასში სუბიექტის როლის დანახვას, ხოლო მეორეს მხრივ, — მის ტექსტოლოგიზაციას. წინადადების აქტუალური დანაწევრების შემთხვევაში კი ტექსტოლოგიზაცია ნიშნავს, რომ თემა-რემატული სტრუქტურა ძირითადად ახასიათებს არა წინადადებას, არამედ ტექსტს.

დიკენსის ჩემს მიერ არჩეული ნაწარმოები ინფორმაციულია იმდენად, რამდენადაც ჩემი აზრით, არ არსებობს ტექსტი, რომ იგი თავის თავში არ შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას. ტექსტი ინფორმაციულად მხოლოდ მაშინ კი არ უნდა ჩავთვალოთ თუ მასთან დაკავშირებით ზემოთ ნათქვამი სრულად განხორციელდა მასში, არამედ მაშინაც კი თუ სრულად არ განხორციელდა; ტექსტი ჩემი აზრით, ეს ხომ ერთი დიდი ინფორმაციაა.

ახლა მოდით, ვნახოთ, რამდენად გამჭვირვალეა ჩემს მიერ აღნიშნული ტექსტი. გამჭვირვალობის კატეგორიის შინაარსის დაწვრილებით განხილვას აღარ შევუდგები, იმიტომ რომ უკვე რამდენჯერმე განვიხილე. უბრალოდ მინდა, გავისენო, რა არის გამჭვირვალობა. იგი გულისხმობს, რომ მეტყველი სუბიექტის ნათქვამი გასაგებია ადრესატისთვის. ვინაიდან და რადგანაც, გამჭვირვალობას თავისი ფაქტორები გააჩნია და, თუ რომელიმე არ იქნება ტექსტში, ისე გამჭვირვალობა ვერ გვექნება, მაშინ მეტის თქმა ვფიქრობ, საჭირო აღარ არის, იმიტომ რომ ეს ტექსტიც უმბერტო ეკოს ტექსტის მსგავსად ნაწილობრივ გამჭვირვალე იქნება. ტექსტში ასახული ვერც რეფერენტული სიტუაცია, ვერც კომუნიკაციური სიტუაცია ერთნაირი ვერ იქნება ორივე სუბიექტისთვის, ვერც კომუნიკანტთა თეზაურუსები დაემთხვევა ერთმანეთს, ვერც ფონური ცოდნა და ვერც სამყაროს ხატი. მართალია დიკენსის დასახელებული ნაწარმოები ნაწილობრივ გამჭვირვალე იქნება

უმბერტო ეკოს მსგავსად, მაგრამ მისგან განსხვავებით, *"Great Expectations"*-ში თხრობა უფრო გასაგებია ყველა კატეგორიის მკითხველისთვის. მსმენელ სუბიექტს არ მოეთხოვება ძლიერი წინასწარი შემზადება, რომ ეს ნაწარმოები წაიკითხოს. მან თავისუფლად შეიძლება აირჩიოს იგი და დიდი ინტერესითაც წაიკითხოს.

ჩარლზ დიკენსის *"Great Expectations"*-ის განხილვისას ცალკე გამოვყოფდი კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორიას და ვიტყვოდი, რომ კომუნიკაციურობა მართლაც ეფექტურია, მიუხედავად იმისა, რომ გამჭვირვალობის კატეგორიის ვერც ერთი ფაქტორი ვერ განხორციელდა. დიკენსი ხომ კლასიკოსი მწერალია და ჩემი აზრით, იმსახურებს იმის თქმას, რომ არა მარტო ეს ნაწარმოები, არამედ მისი ყველა ნაწარმოები კომუნიკაციურობის თვალსაზრისით, ძალიან ეფექტურია.

პრაგმატიკულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემის შემდეგი კატეგორიაა ექსპრესიულობის კატეგორია. როგორც უკვე აღვნიშნე წინა თავებში, ექსპრესიულობის მიზანი, ადრესატზე ზემოქმედებაა. თუ მეტყველი სუბიექტი გამოხატავს რაიმესადმი სუბიექტურ დამოკიდებულებას, რაც დიკენსის *"Great Expectations"*-ში აშკარად ხდება, ანუ სუბიექტი თავად განიცდის ყოველივეს, რაც მის ირგვლივ ხდება. იგი თვითონ უკავშირდება იმ მოვლენებს, რაც კი ხდება. ასეთი დამოკიდებულების გამოხატვა კომუნიკაციური თვალსაზრისით, ეფექტურია — ხოლო ეფექტურია თუ ადრესანტი ჩაფიქრებულ ზეგავლენას ახდენს; დიკენსი თავისი ნაწარმოებით ზეგავლენას მართლაც ახდენს; ამ შემთხვევაში კომუნიკაციური ეფექტურობა ემყარება არა მარტო ადრესანტის კომუნიკაციურ ინტენციას, არამედ მის მიერ სამყაროს იმ ხატის გათვალისწინებასაც, რაც დამახასიათებელია ადრესატისათვის.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, დიკენსის აღნიშნული ნაწარმოები აშკარად ექსპრესიულია.

ჩემი ნაშრომის III თავში ჩემი მიზანი იყო, უმბერტო ეკო შემედარებინა ჩარლზ დიკენსისთვის წერის მანერითაც და მიმდინარეობითაც და პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით დიკენსის *"Great Expectations"*-ის განხილვის შემდეგ ამ ნაწარმოებსა და უმბერტო ეკოს *"Foucault's Pendulum"*-ს შორის მსგავსება ან განსხვავება აღმომეჩინა.



მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული კატეგორიებიდან უმბერტო ეკოს *"Foucault's Pendulum"*-ის მსგავსად, ლოკაციის კატეგორია გარკვეული ცვლილებებით ხასიათდება (ცვლილებებში იგულისხმება ლოკაციის კატეგორიის ორი ასპექტის, ტემპორალური და ლოკალური ასპექტების მონაცვლეობა) ჩარლზ დიკენსის *"Great Expectations"*-ში. მოდალობის კატეგორია უმბერტო ეკოსთან უფრო აქტიურად არის მოცემული, ვიდრე ჩარლზ დიკენსთან. ემოციურობის, შეფასების და დისტანტიურობის კატეგორიები კი ჩარლზ დიკენსთანაც ნათლად გვხვდება და უმბერტო ეკოსთანაც.

როგორც II თავში აღვნიშნე, მხატვრულ ტექსტში მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები არსებობენ და გვხვდებიან განურჩევლად მიმდინარეობისა; მეტყველი სუბიექტი, არა აქვს მნიშვნელობა, ტექსტში მოქმედება ადამიანის ცნობიერებაში ხდება, თუ საუბრისას, ყოველთვის ახდენს რაღაცის შეფასებას და თავის ემოციებსაც გამოხატავს ხოლმე, პირდაპირ თუ არა, იმპლიციტურად მაინც.

მსმენელ სუბიექტთან ანუ ადრესატთან დაკავშირებული კატეგორიებიდან, ჩარლზ დიკენსთან ინფორმაციულობისა და ექსპრესიულობის კატეგორიების მისადაგება სავსებით შესაძლებელია, გამჭვირვალობა ნაწილობრივ არის განხორციელებული; უმბერტო ეკოსთან კი ყოველივე დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის თეზაურუსსა და ფონურ ცოდნაზე. ზოგიერთისთვის მისი ნაწარმოები შეიძლება ექსპრესიულიც იყოს, გამჭვირვალეც და ინფორმაციულიც, ან პირიქით.

## თავი IV

### პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა საგაზეთო სტატიის მიხედვით

ჩემი სადისერტაციო ნაშრომის *IV თავში*, ტექსტის პრაგმატიკული კატეგორიები მინდა, განვიხილო საგაზეთო სტატიის მიხედვით.

საგაზეთო სტატია აღებული მაქვს ბრიტანეთის ყოველდღიური გაზეთიდან *"The Daily Telegraph"*, 2003 წლის 25 აპრილის ნომრიდან.

სტატიის სათაურია:

***"Britain's 'complacent' policy on Sars attacked as virus claims more victims"***.

ვიდრე საკუთრივ პრაგმატიკული კატეგორიების ამ დასახელებული სტატიის მიხედვით განხილვაზე გადავიდოდე, მინდა, ორიოდ სიტყვა ვთქვა საერთოდ სტატიის აგებულებაზე და მეტყველი სუბიექტის მიერ გასათვალისწინებელ მოთხოვნებზე.

სტატია შედგება აბზაცებისგან და ეს აბზაცები ქმნიან ტექსტს. თითოეული აბზაცი ერთმანეთთან თემატურად არის დაკავშირებული.

საერთოდ სტატიაში მეტყველი სუბიექტის სუბიექტური აზრი არ უნდა ჩანდეს. მსმენელმა სუბიექტმა ანუ მკითხველმა მისი სუბიექტური აზრი კი არ უნდა მოისმინოს, არამედ კონკრეტული მოვლენისა თუ ფაქტის შესახებ უნდა მიიღოს გარკვეული ინფორმაცია, ანუ შეიძლება ითქვას, მეტყველი სუბიექტის მიზანია რაღაც ამბავი მოგვითხროს ობიექტურად.

სტატიის დამწერმა ანუ ადრესანტმა (მეტყველმა სუბიექტმა) გარკვეული მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს. კერძოდ, მან არ უნდა ისაუბროს საკუთარ თავზე, უნდა ახსოვდეს, რომ ის წერს პუბლიკისთვის და არა მეგობრებისთვის. მისი აზრები საინტერესო მხოლოდ მაშინ გახდება, თუ იგი მათ ნათლად განიხილავს, გასართობად და სახალისოდ წარმოადგენს.

სტატიის დამწერი – მეტყველი სუბიექტი – ადრესანტი უნდა წერდეს საინტერესოდ. ხალხი ჟურნალ-გაზეთებს მოსაწყენად არ ყიდულობს. თუ მისი

სტატია საინტერესო არ იქნება, პუბლიკა მას არ წაიკითხავს და მის სტატიასაც აღარ დაბეჭდავენ. იმისათვის რომ ის იყოს საინტერესო, სტატიის დამწერმა – ადრესანტმა – მეტყველმა სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. *უნდა შეარჩიოს ისეთი სათაური, რომ მკითხველი ანუ ადრესატი ანუ მსმენელი სუბიექტი მიიზიდოს. სწორედ ეს არის ნებისმიერი სტატიის მიზანი. სტატია შეიძლება იყოს ოფიციალური (ფორმალური) ანდა არა ოფიციალური (არა ფორმალური). ეს დამოკიდებულია მსმენელ აუდიტორიაზე.*
2. *სტატია კარგად, საინტერესოდ უნდა იწყებოდეს, რომ მკითხველის ყურადღება მიიქციოს. მისი პირველი პარაგრაფი იმდენად საინტერესო უნდა იყოს, რომ მსმენელმა სუბიექტმა მისი წაკითხვა მოინდომოს.*
3. *უნდა გამოიყენოს კონკრეტული ფაქტები და სახეები და არა ზოგადი ცნებები და განზოგადებები.*
4. *უნდა გამოიყენოს სათანადო და საინტერესო სიტყვები და გამოთქმები, ზედსართავი სახელებისა და გამაძლიერებელი ზმნიზედების ჩართვით. ისეთი გაცვეთილი და პრიმიტიული სიტყვები, როგორებიცაა "nice", "good" "very" და ა.შ. სტატიაში მეტყველმა სუბიექტმა არ უნდა გამოიყენოს.*
5. *უნდა განაცვიფროს მკითხველი – მსმენელი სუბიექტი – ადრესატი, უნდა თქვას რაღაც ახალი.*
6. *უნდა იცოდეს, როდის დაასრულოს სტატია და დაასრულოს ხარისხიანად.*
7. *სტატიის დამწერს – მეტყველ სუბიექტს – ადრესანტს უნდა ახსოვდეს, ვისთვის წერს, ვინ არის იმ ტიპის ჟურნალის ან*

*გაზეთის მკითხველი, ვისთვისაც ის წერს; რა ასაკისაა? რა ეროვნების? რა არის მკითხველისთვის იმ თემის შესახებ ცნობილი, რაც სტატიაშია მოცემული, რისი ახსნა დაჭირდება მას.*

8. *სტატიის დამწერმა – მეტყველმა სუბიექტმა – ადრესანტმა უნდა იცოდეს, რის მიღწევას ცდილობს ის თავისი სტატიის დაწერით; მაგალითად ის ცდილობს, მკითხველი – მსმენელი სუბიექტი – ადრესატი დაარწმუნოს, რაღაც გააკეთოს; ცდილობს, რაღაც შეატყობინოს, ურჩიოს, გაართოს, თუ ყველაფერ ამის ერთად გაკეთებას ცდილობს.*

ადრესანტის – მეტყველი სუბიექტის – სტატიის დამწერის გასათვალისწინებელ მოთხოვნებთან ერთად მინდა ასევე გაჩვენოთ, თუ როგორი უნდა იყოს სტატიის მაკეტი: სტატიას უნდა ქონდეს სათაური და უნდა იყოს დაწერილი პარაგრაფებით. ზოგიერთი ჟურნალის ან გაზეთის სტატია შეიცავს ინსტრუქციების მთელ ნუსხას, რჩევათა ნუსხას, რაც გრაფიკულად გამოხატვას, პუნქტებად ჩამოწერას მოითხოვს.

სტატიის დამწერი – ადრესანტი – მეტყველი სუბიექტი უნდა შეეცადოს, რომ ისაუბროს ერთი თემის შესახებ, მაგალითად, 250 სიტყვიან სტატიაში; გააკეთოს შენიშვნები, შემდეგ აუცილებლად ერთი წინადადებით უნდა შეაჯამოს ის, რისი თქმაც უნდა. უნდა დაწეროს გეგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება ამ ერთ წინადადებაზე. სტატიის დანარჩენი ნაწილი ახსნის და იმის ილუსტრირებას გააკეთებს, რისი თქმაც მას უნდა.

სტატიის დამწერი – მეტყველი სუბიექტი – ადრესანტი უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ სტატია პასუხობს სათაურს და ყველაფერი სტატიაში მისი აზრის ადეკვატურია, მის მთავარ აზრს შეესაბამება.

თუ ჟურნალი ან გაზეთი მოითხოვს, რომ სტატიაში გამოყენებული უნდა იყოს 250 სიტყვა, ადრესანტმა არ უნდა დაწეროს 500, ასეთ შემთხვევაში მის სტატიას არ დაბეჭდავენ; შეამოწმებენ, წაიკითხავენ სტატიის მხოლოდ ნახევარს და ამისთვის ადრესანტი დაისჯება, შესაძლოა მკაცრადაც.

სტატიის დამწერმა – ადრესანტმა – მეტყველმა სუბიექტმა ჭორები და ვარაუდები ფაქტებად არ უნდა წარმოადგინოს. ასეთი უყურადღებობით მის

სტატიას მარტო უღირსად, არა ღირებულად და არა ზუსტად კი არ ჩათვლიან, როცა დაიბეჭდება, არამედ უკანონოდაც. ფაქტი და ჭორი ადრესანტმა უბრალოდ ერთი სიტყვის ან ფრაზის დამატებით უნდა განასხვავოს. მაგ: *the alleged murderer, the suspected Mafioso, I've heard it said that..., there is a rumour that..., the minister is said to have / rumoured to have / supposed, to have taken bribes.*

სტატიის პირველი აბზაცი, ან წინადადება ანუ შესავალი ერთ ან ერთზე მეტ მიზანს ემსახურება:

- *უნდა მიიზიდოს მკითხველის – მეტყველი სუბიექტის – ადრესატის ყურადღება და მოანდომოს მას სტატიის ბოლომდე წაკითხვა.*
- *გააგებინოს მკითხველს – ადრესანტს – მეტყველ სუბიექტს, რის შესახებ იქნება სტატია ( თემა).*
- *გააგებინოს მკითხველს – ადრესანტს – მეტყველ სუბიექტს, რის თქმას აპირებს სტატია (შინაარსი).*
- *გააგებინოს მკითხველს – მეტყველ სუბიექტს – ადრესანტს, როგორ იქნება სტატია ორგანიზებული (სტრუქტურა).*

სტატიის დასკვნას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მის შესავალს. ცუდმა დასკვნამ შეიძლება გააფუჭოს ყველაფერი. სტატიის დასკვნის ექვს ძირითად საშუალებას გთავაზობთ:

- 1) *დაბრუნება დასაწყისთან: დასკვნა ახდენს შესავლის პერიფრაზს.*
- 2) *მთელი სტატიის შეჯამება.*
- 3) *შეკითხვა.*

4) ციტატა.

5) გამოსახულება / სურათი, რაც დასასრულს განასახიერებს (მზის ჩასვლა, სიკვდილი), ან რაღაც ახლის დასაწყისს (განთიადი, ახალი სიცოცხლის დაბადება).

6) პატარა წინადადება, რაც მთელ სტატიაში განვითარებულ მოვლენებზე ან დასასრულის მიზანზე მიგვანიშნებს.

დასკვნაში შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი სიტყვები: *all in all, then, to sum up...* ([www.articles.com](http://www.articles.com), 91.)

ეს, რაც შეეხებოდა სტატიის აგებულებას და მეტყველი სუბიექტის გასათვალისწინებელ მოთხოვნებს, ახლა, კი ჩემს მიერ გასაანალიზებელ სტატიას წარმოგიდგინებ; ჯერ ვნახოთ, რამდენად ამართლებს იგი ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებს და შემდეგ განვიხილოთ იგი პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით.

ჩემს მიერ განსახილველად აღებული სტატია მართლაც მიიქცევს ადრესატის ყურადღებას; მისი სათაური ძალიან მიმზიდველია ("catchy"):

***"Britain's 'complacent' policy on Sars attacked as virus claims more victims".*** ("The Daily Telegraph", 99.)

მკითხველი ანუ ადრესანტი სათაურის წაკითხვისთანავე მონდომებს სტატიის წაკითხვას. პირველი პარაგრაფიც საინტერესოდ იწყება:

***"The Government's policy on Sars, the potentially fatal pneumonia virus, was severely criticised yesterday as thousands of schoolchildren and students returned from the Far East".*** ("The Daily Telegraph", 99.)

ყოველივეს წაკითხვის შემდეგ მკითხველი ანუ ადრესატი თავს კი არ დაანებებს კითხვას, არამედ ღრმად დაინტერესებული დაუყოვნებლივ გააგრძელებს კითხვას.

ამ სტატიაში მეტყველი სუბიექტის სუბიექტური აზრიც არ ჩანს. იგი ობიექტურად, ყოველგვარი ემოციის გარეშე მოგვითხრობს ვირუსული პნემონიის შესახებ.

აღნიშნულ სტატიაში პრიმიტიული და მოსაწყენი სიტყვები გამოყენებული არ არის, იგი სავსეა საინტერესო სიტყვებითა და გამოთქმებით:

*"to corral people", "immense allarm", "feeble", "complacent",* და ა. შ. (" The Daily Telegraph", 99.)

როგორც დავინახეთ, ჩემს მიერ ამორჩეული სტატია სავსებით ამართლებს ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებს.

ახლა კი მინდა, ეს სტატია ჯერ მეტყველ სუბიექტზე ანუ ადრესანტზე, ხოლო შემდეგ მსმენელ სუბიექტზე ანუ ადრესატზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განვიხილო, რადგან როგორც ვიცით, კომუნიკაციურ აქტში ჩვენ გვყავს არა ერთი სუბიექტი, არამედ ორი: მეტყველი სუბიექტი ანუ ადრესანტი და მსმენელი სუბიექტი ანუ ადრესატი და არსებობენ კატეგორიები, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან, და კატეგორიები, რომლებიც მსმენელ სუბიექტს უკავშირდებიან.

თუ გვსურს, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში გავაანალიზოთ რომელიმე ენობრივი მოვლენა და გავაანალიზოთ იგი პრაგმატიკულად და პრაგმატიკული აქტენტის დროს აქტენტი გავაკეთოთ მეტყველ სუბიექტზე, მაშინ გასაანალიზებელ ენობრივ მოვლენას უნდა მიუყვებოდეთ შემდეგი კატეგორიები:

*ლოკაციის კატეგორია,*

*მოდალობის კატეგორია,*

*შეფასების კატეგორია,*

*ემოციურობის კატეგორია,*


### *დისტანტურობის კატეგორია.*

სუთივე კატეგორიის გამოყენება ანალიზის დროს, თუ მხოლოდ რამდენიმე მათგანის, დამოკიდებულია თვით განსახილველი მომენტის რაგვარობაზე, იმაზე თუ ენობრივი სისტემის რომელ დონეს ეკუთვნის იგი. რაც უფრო მაღალია ეს დონე, მით უფრო შესაძლებელია, მივუსადაგოთ მას სუთივე ეს კატეგორია. თუ ტექსტის ანალიზს ვახდენთ – უნდა მივუსადაგოთ ყველა ეს კატეგორია. მაგრამ თუ ვახდენთ რომელიმე ლექსიკური ერთეულის, ლექსემის ან ლექსემათა ჯგუფის ანალიზს, ძნელი იქნება მივუსადაგოთ მას ლოკაციის ან მოდალობის კატეგორია, თუმცა არა მხოლოდ ლექსიკური ერთეულის ანალიზისასაა შეუძლებელი მთლიანად ყველა კატეგორიის მისადაგება, ტექსტის სტილს და დონესაც გააჩნია.

მინდა აღვნიშნო, რომ მეტყველი სუბიექტის საკითხს საგაზეთო ტექსტში, ცოტა სხვაგვარად უნდა მივუდგე. აღვნიშნავ, რომ მეტყველი სუბიექტი ამ ტექსტში პირადად არ ჩანს, თხრობა III პირში მიმდინარეობს. იგი მითითებულია სტატიის თავში. ჩემი აზრით, ამ ტექსტში გვაქვს ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და რამდენიმე მისი ქვე სუბიექტი. ახლა, მოდით გავერკვეთ, რას ნიშნავს ჩემს მიერ შემოტანილი ტერმინი ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტი?!

ცნობილია, რომ მეტყველი სუბიექტი არის ის, ვინც შექმნა ტექსტი და ვინც პირადადაც არის ჩართული ტექსტში. საგაზეთო სტილის ტექსტში ძირითადმა მეტყველმა სუბიექტმა შექმნა ანუ დაწერა ჩემს მიერ დასახელებული სტატია; მისი სახელი მითითებულია სტატიის თავში, ***Celia Hall ---- medical editor.*** საკუთრივ ტექსტში კი გამოყვანილია სხვა სუბიექტები, რომლებიც იცვლებიან, სწორედ ამათ მე ვუწოდებ მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტები. თითოეული მათგანი პირადად არის ჩართული ამ ტექსტში და თავის შეფასებას ახდენს სტატიაში აღნიშნულ პნევმონიის ვირუსზე. შემეძლია, ნათქვამი სქემითაც წარმოვადგინო:





ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, მინდა, განვიხილო პრაგმატიკული კატეგორიები ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე და პრაგმატიკული კატეგორიები ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. როგორც დავინახეთ, გვაქვს ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და მასთან დაკავშირებული ათი მისი ქვე სუბიექტი.

თავდაპირველად, საგაზეთო სტატიის ანალიზს, ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე პრაგმატიკული კატეგორიებით დავიწყო; ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან: პერსონალური ტემპორალური და ლოკალური, მხოლოდ პერსონალური არ ჩანს ტექსტში, თუმცა იგი არსებობს. მართალია ამ კატეგორიის სამი კოორდინატიდან: მე-აქ-ახლა, ჩვენ არ გვაქვს არც სიტყვა "მე", არც ე.წ. "პირველი პირი", მაგრამ ეს "მე", როგორც კოორდინატი ჩართულია მთელ ამ ტექსტში.

ტემპორალური ასპექტი სტატიის პირველივე პარაგრაფში გვხვდება:

***"The Government's policy on Sars, the potentially fatal pneumonia virus, was severely criticised yesterday..."*** ("The Daily Telegraph", 99.)

სოლო ლოკალური ასპექტს კი ტექსტის სათაურშივე მივაგნებთ:

***"Britain's 'complacent' policy on Sars attacked as virus claims more victims'.***  
("The Daily Telegraph", 99.)

აშკარაა, რომ მოქმედება ბრიტანეთში ხდება. როგორც ვნახეთ ლოკაციის კატეგორია პირველი შემთხვევისათვის ამგვარად ხორციელდება.

რაც შეეხება მოდალურ კატეგორიას ისევე და ისევე ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ საგაზეთო ტექსტი ამ მხრივ სრულიად განსხვავდება იმ ტექსტებისგან, რომლებიც წინა თავებში განვიხილეთ. საერთოდ, ერთმანეთისგან განარჩევენ სუბიექტურ და ობიექტურ მოდალობას. წინა თავებში აღვნიშნე, რომ ობიექტური მოდალობა მსატვრულ ტექსტს არ ახასიათებს. საგაზეთო ტექსტს კი იმ შემთხვევისთვის, რომელსაც ამჟერად განვიხილავ, სწორედ ობიექტური მოდალობა შეეფერება. ობიექტური მოდალობა, ეს ხომ გამონათქვამში ასახული სიტუაციის დამოკიდებულებაა რეალობასთან. ძირითადი მეტყველი სუბიექტიც თავის განცდებსა და ემოციებს სტატიაში არ გამოხატავს. იგი სრულიად ობიექტურად ასახავს ამა თუ იმ მოვლენასა და ფაქტს.

ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე განვიხილავ ემოციურობის, შეფასების და დისტანტურობის კატეგორიებსაც. ამ შემთხვევაში ემოციურობის კატეგორია საგაზეთო ტექსტს არ მიესადაგება, რადგან ძირითადი მეტყველი სუბიექტი ანუ წამყვანი ადრესანტი თავის ემოციებს სტატიაში არ გამოხატავს.

ვერც შეფასების კატეგორიას მივუსადაგებდი ამ სტატიას ძირითადი სუბიექტიდან გამომდინარე, რადგან მასში იგი იმას კი არ გვიჩვენებს, თვითონ როგორ აფასებს ტექსტში ნახსენებ პნევმონიის ვირუსის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, არამედ მხოლოდ გვატყობინებს ამ ინფორმაციას.

ვერც დისტანტურობის კატეგორიას ვერ მივუსადაგებდი, აღვნიშნული შემთხვევიდან გამომდინარე, ამ სტატიას, რადგან ძირითადი სუბიექტი პირადად არაა ჩართული მოცემულ ტექსტში.

ახლა განვიხილოთ პრაგმატიკული კატეგორიები ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან პერსონალური ასპექტიც შეიცვლება; თითოეული მათგანი პირადად არის ჩართული ტექსტში და თავისი აზრი და შეხედულებები გააჩნია არსებული სიტუაციის მიმართ. ტემპორალური ასპექტიც იცვლება, მაგ:

*“ The Government’s policy on Sars, the potentially fatal pneumonia virus, was severely criticised yesterday as thousands of schoolchildren and students returned from the Far East”. ( "The Daily Telegraph", 99.)*

*“ On Tuesday, the Department of Health advised people against travelling to Toronto, Beijing and the Chinese province of Shanxi as well as to Hong Kong and Guangdong in China but said that quarantining returning travellers from these places was not necessary at present”. ( "The Daily Telegraph", 99.)*

*“ The position was fully supported by the British Medical Association yesterday which warned against a public panic”. ( "The Daily Telegraph", 99.)*

ლოკალური ასპექტი კი უცვლელია. აღვნიშნავ, რომ ამ საგაზეთო სტატიაში გვაქვს სულ, ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და ათი მისი ქვე სუბიექტი. მინდა, ჩამოვთვალო ისინი:

1. *The Government’s policy*
2. *The World Health organisation*
3. *Dr. Liam Fox*
4. *The Public Health Act*
5. *The Liberal Democrates*
6. *Prof. Sir Liam Donaldson*
7. *A spokesman*
8. *The Department of Health*
9. *Dr. Julie Hall*

**10. Dr. Evan Harris**

ეს, რაც შეეხებოდა იმ ქვე სუბიექტებს, რომლებიც მე გამოვყავი.

ახლა კი, გადავიდეთ მოდალობის კატეგორიაზე. ორი სახის მოდალობიდან, ამ შემთხვევისთვის, სუბიექტურ მოდალობას მივუსადაგებდი ამ სტატიას; შეიძლება ითქვას, ამ საგაზეთო სტატიისადმი ორივე სახის მოდალობის მისადაგება შეიძლება. სუბიექტურს იმიტომ მივუსადაგებდი, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტები თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ ტექსტში ასახული სიტუაციის მიმართ. ობიექტურს იმიტომ მივუსადაგებდი, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი თავად არ არის ჩართული ტექსტში; მასში ნაჩვენებია გამონათქვამში ასახული სიტუაციის დამოკიდებულება რეალობასთან.

შეფასებისა და ემოციურობის კატეგორიების მიყენება დასახელებული საგაზეთო სტატიისადმი, ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რადგან თითოეული ქვე სუბიექტი თავისებურად აფასებს ტექსტში გამოხატულ სიტუაციას. მაგალითისთვის მოვიყვან ნაწევრებს ტექსტიდან:

**“ Dr. Fox accused the government of being "feeble", "complacent", and "irresponsible and said that existing legal powers should be used".** ( "The Daily Telegraph", 99.)

**“ A Spokesman for the Department of Health said that the system of notification was cumbersome and old fashioned. “ Doctors now phone us or e-mail us and we get an instant picture”.** ( "The Daily Telegraph", 99.)

თითოეული ქვე სუბიექტის მიერ მოვლენის შეფასებაში გარკვეული ემოცია დევს; და, ვინაიდან ემოციები განყენებულად არ არსებობენ და ისინი ამ ქვე სუბიექტებს ახლავს, სწორედ ამიტომ ვუსადაგებთ ემოციურობის კატეგორიას ამ საგაზეთო ტექსტს, მეორე შემთხვევის გათვალისწინებით. სწორედ ძირითად მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე სტატიისადმი დისტანტურობის კატეგორიის მისადაგებაც

სავსებით შესაძლებელია. ეს ქვე სუბიექტები ხომ პირადად არიან ჩართული ტექსტში.

ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს იმას, რომ საგაზეთო ტექსტში, პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან, უნდა განვიხილოთ არ მხოლოდ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, არამედ მასზე დამოკიდებული ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, შედეგი განსხვავებულია.

ახლა კი მინდა, დასახელებული საგაზეთო სტატიის მსმენელ სუბიექტზე ანუ ადრესატზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განვიხილათ გადავიდეთ. ცნობილია, რომ ადრესანტმა უნდა გაითვალისწინოს ადრესატი, ეს კი საკომუნიკაციო აქტის ეფექტურობის საფუძველია. ეფექტურობის მისაღწევად კი არ არის საკმარისი, რომ გამონათქვამი შეიცავდეს ლოკაციას, მოდალობასა და ა.შ. გამონათქვამი უნდა იყოს ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე.

საერთოდ, ნებისმიერი ტექსტი თავის თავში შეიცავს ინფორმაციულობას. გამონაკლისს არ წარმოადგენს დასახელებული სტატიაც. ისიც გარკვეული ინფორმაციის მატარებელია და ამდენად, ინფორმაციულია.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით ამ ტიპის საგაზეთო სტატია შეიძლება ითქვას ყველაზე გამჭვირვალეა, რადგან მასში გამჭვირვალობის ყველა ფაქტორი არის მოცემული; ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია შეიძლება ითქვას, ერთნაირია მთავარი მეტყველი სუბიექტისთვის, მისი ქვე სუბიექტებისთვის და ადრესატისთვის; კომუნიკაციური სიტუაცია იდენტურია; კომუნიკანტთა თეზაურუსები, ფონური ცოდნა და სამყაროს ხატიც ემთხვევა ერთმანეთს. რადგან ყველა ფაქტორი უკლებლივ არის განხორციელებული საგაზეთო ტექსტში, იგი აბსოლუტურად გამჭვირვალეა. კომუნიკაციური ეფექტიც უმაღლეს დონეზეა მიღწეული. მეტყველ სუბიექტსა და მსმენელ სუბიექტს შორის კავშირი აშკარად ჰარმონიულია.

რაც შეეხება ექსპრესიულობის კატეგორიას, დასახელებულ საგაზეთო ტექსტში ექსპრესიულობის ორი ფუნქციური მომენტი ერწყმის ერთმანეთს. ადრესანტი საგაზეთო სტატიის შემთხვევაში ჩაფიქრებულ ზეგავლენას ახდენს; კომუნიკაციური ეფექტურობაც ემყარება არა მარტო მის კომუნიკაციურ ინტენციას, არამედ მის მიერ სამყაროს იმ ხატის ადეკვატურ გათვალისწინებასაც, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისთვის.

როგორც ვნახეთ, საგაზეთო ტექსტი ინფორმაციული, გამჭვირვალე და ექსპრესიულია. ამ მხრივ კომუნიკაციაც ძალზე ეფექტურია.

## თავი V

### პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა სამეცნიერო სტატიების მიხედვით

ჩემი სადისერტაციო ნაშრომის V თავში პრაგმატიკული კატეგორიები მინდა, განვიხილო სამეცნიერო სტატიების მიხედვით.

ამ თავში ჩემი მიზანია, პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით სამეცნიერო სტატიების სხვადასხვა ტიპის განხილვა. ავარჩიე ისტორიული სამეცნიერო სტატია, სამეცნიერო სტატია შესრულებული ბიოლოგიის სფეროში და სამეცნიერო სტატია შესრულებული ლიტერატურის დარგში.

ვიღრე პრაგმატიკული კატეგორიების ამ ტიპის სტატიების მიხედვით განხილვას დავიწყებდე, მინდა, საერთოდ სამეცნიერო სტატიის აგებულებასა და მისი წერის მანერაზე ვთქვა ორიოდ სიტყვა.

სამეცნიერო სტატიები არც საიდუმლოებებით აღსავსე მოთხრობებია, რაც მკითხველების – მსმენელი სუბიექტების – ადრესატების გაოცებას იწვევს რაღაც აღმოჩენებით და არც ყოველ წარმატებულ თუ წარუმატებელ ექსპერიმენტებზე დაწერილი დღიურები. სამეცნიერო სტატიებში მთავარი აღმოჩენები სტატიის პირველივე ნაწილში კეთდება. სამეცნიერო სტატიის დამწერის ან დამწერების – მეტყველი სუბიექტის ან მეტყველი სუბიექტების – ადრესანტის ან ადრესანტების მიზანია, თავისი ან თავიანთი აღმოჩენები წარმოადგინოს ან წარმოადგინონ და დაარწმუნოს ან დაარწმუნონ მკითხველები – მსმენელი სუბიექტები – ადრესატები მონაცემთა სწორად გადმოცემაში. მაგ, ჟურნალის სამეცნიერო სტატიები იყოფა ნაწილებად; ასეთი სტატიების თითოეულ ნაწილს სპეციფიკური მიზანი აქვს. ყველა ჟურნალს აქვს ეგრეთწოდებული “შიდა სტილი” (“house style”). სამეცნიერო სტატიები, უმეტესად ჟურნალის სამეცნიერო სტატიები, უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- *სათაურს (title): კარგად შერჩეული სათაური კვლევის შესახებ იძლევა გარკვეულ ინფორმაციას. სამეცნიერო სტატიის შექმნაში მონაწილე ყველა ადამიანის სახელი სათაურის შემდეგ უნდა*

იყოს ჩვეულებრივ ჩამოწერილი. პირველად სახელდებიან ის მეცნიერები, რომლებმაც საქმის უმეტესი ნაწილი შეასრულეს; ბოლოს კი – სხვები.

- რეზიუმეს ( abstract, summary ): სამეცნიერო სტატიის ამ ნაწილში მეტყველმა სუბიექტმა – ადრესანტმა ექსპერიმენტული საკითხი, ზოგადი მეთოდები, მთავარი აღმოჩენები და ექსპერიმენტთა მნიშვნელობა მოკლედ უნდა აღწეროს. ამ ნაწილის ლიმიტია 250 სიტყვა.
- შესავალს ( Introduction ): სამეცნიერო სტატიის ამ ნაწილში მთავარი ექსპერიმენტული საკითხი და ამ საკითხის შესახებ არსებული ინფორმაცია არის წარმოდგენილი. ასევე გამოყენებულია მართებული და უკვე ცნობილი ციტატები, რომლებიც სტატიის ბოლოს ჩამოტანილი შენიშვნების ნაწილშია ჩამოთვლილი. შესავლის მიზანია, მკითხველები – მსმენელი სუბიექტები – ადრესატები მიახვედროს, რა არის სამეცნიერო სტატიის შემქმნელთა – მეტყველ სუბიექტთა – ადრესანტთა პიპოთეზა და მათი კვლევის მიზანი.
- მასალასა და მეთოდებს ( materials and methods ): სამეცნიერო სტატიის ამ ნაწილში ყოველი ექსპერიმენტული პროცედურა და რეაქტივი ( რეაგენტი ) საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი სხვა მკვლევართათვის, რათა მოახდინონ აღმოჩენათა რეპროდუცირება. ეს ნაწილი უნდა იყოს ზუსტი და სრული იმისათვის, თუ უნდა მოხდეს აღმოჩენათა რატიფიკაცია, რათა შემდგომში სხვა მკვლევართა მიერ გაფართოვდეს.
- შედეგებს ( results ): სამეცნიერო სტატიის ამ ნაწილში ფაქტებია წარმოდგენილი, რაც სხვა მეცნიერებს მსჯელობის საშუალებას აძლევს. აღმოჩენები აღწერილია სიტყვებით და ილუსტრირებულია რიცხვებითა და ცხრილებით. რიცხვები



ფაქტების უფრო ადვილად წარმოდგენისთვის გამოიყენება; ამას მოყვება ახნა-განმარტებები, რასაც “ ლეგენდები “ ეწოდება.

- დისკუსია / განხილვას ( discussion ) : სამეცნიერო სტატიის ამ ნაწილში მეტყველმა სუბიექტებმა – ადრესანტებმა შეიძლება, წარმოადგინონ რაიმე მოდელი ან იდეა, რაც მათი აზრით ყველაზე უკეთ შეეფერება მათ მიერ აღწერილ ფაქტებს. ზოგიერთი ჟურნალი ორ ნაწილს – შედეგებისა და დისკუსიის ნაწილს აერთიანებს და ერთ ნაწილად წარმოადგენს. როცა ეს ორი ნაწილი ცალცალკეა წარმოდგენილი, მსმენელი სუბიექტი – ადრესატი – მკითხველი ადვილად განასხვავებს აღწერილ ფაქტებსა და მეტყველი სუბიექტების – ადრესანტების ან მეტყველი სუბიექტის ანუ ადრესანტის მიერ ამ ფაქტებზე გამოთქმულ აზრს.
- ჩამოტანილი შენიშვნების ნაწილს ( references ) : მეცნიერული პროგრესი არსებულ ცოდნასა და წარსულში ჩატარებულ აღმოჩენებზეა დაფუძნებული, რაც ნებისმიერ ახალ ნაშრომში ციტატებად არის მოყვანილი. ციტატები ერთადაა თავმოყრილი სამეცნიერო სტატიის ბოლოს. ზოგიერთი ჟურნალი მოითხოვს ციტატების ანბანის მიხედვით განლაგებას, ზოგიერთი კი – სტატიაში გამოჩენის რიგის მიხედვით. ([www.visionlearning.com/library/module\\_viewer](http://www.visionlearning.com/library/module_viewer), 98.)

ეს გახლდათ სამეცნიერო სტატიის ფორმატი, თუ როგორ უნდა იყოს ის აგებული და რამდენი ნაწილისგან უნდა შედგებოდეს. მინდა, დავსძინო, რომ სამეცნიერო სტატიების კითხვისას ერთ-ერთ ყველაზე დიდ დაბრკოლებას მათში გამოყენებული მეცნიერული ტერმინოლოგია წარმოადგენს.

ახლა კი, რაც შეეხება ჩემს მიერ განსახილველად არჩეულ სამეცნიერო სტატიებს; ჯერ ვნახოთ, არის თუ არა ზემოხსენებული მოთხოვნები მათში გათვალისწინებული და შემდეგ, განვიხილოთ ისინი პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით.

ბიოლოგიის დარგში შესრულებული სამეცნიერო სტატია არჩეული მაქვს ინტერნეტ ვებ გვერდიდან [:www.scientificarticles.com/www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.scientificarticles.com/www.aarpmagazine.org/health/living_longer_science)

სტატიის სათაური მეტყველ სუბიექტს – ადრესანტს საინტერესოდ შეურჩევია. ის კვლევის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას იძლევა. სტატიის სათაურია :

**“ *Living longer: Science* ”.** ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

სტატიის შემქმნელის – ადრესანტის – მეტყველი სუბიექტის სახელიც სათაურის შემდეგ არის მითითებული :

***Joe Treen, September and October 2006.***  
([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

ადრესანტის – მეტყველი სუბიექტის სახელს მოსდევს სამეცნიერო სტატიის შემდეგი ნაწილი რეზიუმე. მასში მართლაც მოკლედ არის აღწერილი ექსპერიმენტული საკითხი და არ არის დარღვეული რეზიუმეს სიტყვების რაოდენობის ლიმიტი – 250 სიტყვაზე მეტი არაა გამოყენებული; დასახელებული სამეცნიერო სტატიის რეზიუმეს ნაწილი 38 სიტყვისაგან შედგება:

**“ *In the last few years, researchers have made some amazing discoveries about how and why we age. Here’s what they have learned and why we may be on the brink of truly being able to extend life*”.** ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

სამეცნიერო სტატიის შემდეგი ნაწილი – შესავალი, ჩემი აზრით, ამ დასახელებულ სტატიაში აშკარად წარმოდგენილია. შესავალში მკითხველი – მსმენელი სუბიექტი – ადრესატი, მიხვდება, თუ რაზეა საუბარი:

**“ *Ordinarily, no one would compare Edward Rondthaler to a naked mole rat. The idea is preposterous. Ed is charming, gregarious man of many interests who writes songs***

*and children's stories and a weekly letter to the editor for his newspaper in Croton-on-Hudson, New York. Naked mole rats are bizarre East African rodents that live underground in beelike colonies and, depending on your point of view, are ugly, hideously ugly, or cute in the way bulldogs or Shar-Peis can be cute. But Ed and naked mole rats do, in fact, have one thing uncommon: longevity. Naked mole rats live ten times longer than any other mammal their size – up to 30 years. Ed is 101”.* ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

ახლა, რაც შეეხება სამეცნიერო სტატიის შემდეგ ნაწილს, რომელსაც მასალისა და მეთოდების ნაწილი ქვია, ჩემი აზრით, ეს ნაწილიც მოცემულია ამ სამეცნიერო სტატიაში. მეტყველი სუბიექტი – ადრესანტი საკმაოდ დეტალურად აღწერს მასში დასმულ საკითხს, თუ რა განაპირობებს ადამიანის ან ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მაგალითისთვის მოვიყვან ნაწყვეტებს სტატიიდან:

*“ Ed is a perfect model. Like most of the 55,000 centenarians in the United States, he comes from a long-lived family. His father and three of his grandparents all lived into their 80s; his sister, Jane, is 91. a paragon of good living, he has never smoked, keeps his weight down, and has avoided all but the occasional social drink his entire life. He never formally exercised, but he did walk a hilly mile to and from the commuter train for 47 years. (He didn't give up his typographic-design business until he was 83.)”* ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

*“ I think, a lot of living to 100 years old is due to luck”, says comparative biologist Steven Austad, Ph.D., a leading longevity expert at the University of Texas Health Science Center in San Antonio”.* ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

ეს, რაც შეეხებოდა სამეცნიერო სტატიის მასალისა და მეთოდების ნაწილს, შემდეგი – შედეგების ნაწილიც, ჩემი აზრით, აშკარად მოცემულია ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში. მასში თვალნათლივ არის წარმოდგენილი სხვადასხვა მეცნიერთა და მკვლევართა კვლევის შედეგები. მაგ:

*“Right now the message is that there seem to be lots of different ways to be long-lived,” says biologist Austad. There is one way to be a long-lived mouse and another way to be a long-lived bat and another way to be a long-lived python”.* ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

*“For all the research, the best way to be a long-lived human like Ed Rondthaler seems relatively uncomplicated: eat an antioxidant-rich diet, avoid obvious environmental pollution such as cigarettes, get lots of exercise, and find ways to cope with stress. Some would have you believe that the key to longevity is in a pill bottle, Sprott says. My view is that it’s not there. All of those medicines and vitamins that are supposed to make you live a long time are modern-day snake oil. The real key is diet and exercise. We don’t have anything that comes out of a pill bottle that does a better job”.* ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

სამეცნიერო სტატიის შემდეგი ნაწილი – დისკუსია/განხილვის ნაწილიც, ჩემი აზრით მოცემულია ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში. მეტყველი სუბიექტები – ადრესანტები აშკარად წარმოადგენენ თავიანთ იდეებს, რაც მათი აზრით ყველაზე უკეთ შეეფერება მათ მიერ აღწერილ ფაქტებს. მაგ:

*“ I think, a lot of living to 100 years old is due to luck”, says comparative biologist Steven Austad, Ph.D., a leading longevity expert at the University of Texas Health Science Center in San Antonio”.* ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

*“ Right now the message is that there seem to be lots of different ways to be long-lived,” says biologist Austad. There is one way to be a long-lived mouse and another way to be a long-lived bat and another way to be a long-lived python”.* ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

*“ For all the research, the best way to be a long-lived human like Ed Rondthaler seems relatively uncomplicated: eat an antioxidant-rich diet, avoid obvious environmental pollution such as cigarettes, get lots of exercise, and find ways to cope with stress. Some would have you believe that the key to longevity is in a pill bottle, Sprott says. My view is*

*that it's not there. All of those medicines and vitamins that are supposed to make you live a long time are modern-day snake oil. The real key is diet and exercise. We don't have anything that comes out of a pill bottle that does a better job".*  
 ([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

სამეცნიერო სტატიის შემდეგი ნაწილი – ჩამოტანილი შენიშვნების ნაწილი ზემოთ დასახელებულ სტატიაში არაა წარმოდგენილი. ამ სამეცნიერო სტატიის ბოლოს არანაირი შენიშვნა არაა მოცემული.

როგორც დავინახეთ, ჩემს მიერ პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განსახილველად არჩეულ ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ჩემს მიერვე წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიის ყველა მოთხოვნა არაა გათვალისწინებული, მასში სამეცნიერო სტატიის ყველა ნაწილია წარმოდგენილი გარდა ერთისა – ჩამოტანილი შენიშვნების ნაწილისა.


ეს რაც შეეხებოდა, ბიოლოგიური სამეცნიერო სტატიის აგებულებას, ჩვენ დავინახეთ აკმაყოფილებდა, თუ არა დასახელებული სამეცნიერო სტატია სამეცნიერო სტატიის გასათვალისწინებელ მოთხოვნებს; ის ნაწილობრივ აკმაყოფილებდა.

ახლა კი გადავიდეთ, აღნიშნული სამეცნიერო სტატიის პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვაზე და ვნახოთ, რამდენად ინფორმაციული, გამჭვირვალე და ექსპრესიულია ამ ტიპის სამეცნიერო სტატია, ვგულისხმობ, ბიოლოგიის დარგში შესრულებულ სამეცნიერო სტატიას.

როგორც ვიცით, კომუნიკაციურ აქტში ჩვენ გვყავს არა ერთი, არამედ ორი სუბიექტი: მეტყველი სუბიექტი ანუ ადრესანტი და მსმენელი სუბიექტი ანუ ადრესატი და როგორც რამდენჯერმე აღმინიშნავს ჩემი სადისერტაციო ნაშრომის მსვლელობისას, არსებობენ მეტყველ სუბიექტთან ანუ ადრესანტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები და მსმენელ სუბიექტთან ანუ ადრესატთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები. სწორედ ამიტომ, ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო სტატიას ჯერ მეტყველი სუბიექტთან, ხოლო შემდეგ, მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განვიხილავ.

საგაზეთო სტატიის მსგავსად ამ სამეცნიერო სტატიაშიც გვაქვს ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და რამდენიმე მისი ქვე სუბიექტი.

ძირითადმა მეტყველმა სუბიექტმა შექმნა ტექსტი, ის მითითებულია სტატიის თავში, **Joe Treen**, თხრობა III პირში მიმდინარეობს, საკუთრივ ტექსტში კი გამოყვანილნი არიან კიდევ სხვა სუბიექტები, რომელთაც მე ქვე სუბიექტები ვუწოდებ, თითოეული მათგანი პირადად არის ჩართული ამ ტექსტში და თავის აზრს გამოხატავს, თავის კვლევის შედეგებს გვამცნობს სტატიაში დასმულ საკითხზე, რა განაპირობებს ადამიანის ან ცხოველის დიდხანს სიცოცხლეს. საგაზეთო სტატიის მსგავსად ამ სამეცნიერო სტატიაშიც შემიძლია ნათქვამი სქემითაც წარმოვადგინო:



ვინაიდან ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაშიც, საგაზეთო სტატიის მსგავსად, ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და ათი მისი ქვე სუბიექტია, პრაგმატიკული კატეგორიებს ჯერ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე განვიხილავ და შემდეგ მისი ქვე სუბიექტებიდან – გამომდინარე.

ზემოთ დასახელებული სამეცნიერო სტატიის ანალიზს ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე პრაგმატიკული კატეგორიებით დავიწყო.

ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან: პერსონალური, ტემპორალური და ლოკალური, პერსონალური ასპექტი ტექსტში ჩანს, მართალია ძირითადი მეტყველი სუბიექტი მესამე პირში მოგვითხრობს, მაგრამ იგი ჩართულია მთელ ტექსტში და მთელ ტექსტს გასდევს. სწორედ ძირითადი მეტყველი სუბიექტი იწყებს თხრობას და მსმენელ სუბიექტებს, ანუ ადრესატებს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის სტატიაში დასმულ საკითხზე – სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. მაგ:

*“ Ordinarily, no one would compare Edward Rondthaler to a naked mole rat. The idea is preposterous. Ed is charming, gregarious man of many interests who writes songs and children’s stories and a weekly letter to the editor for his newspaper in Croton-on-Hudson, New York. Naked mole rats are bizarre East African rodents that live underground in beelike colonies and, depending on your point of view, are ugly, hideously ugly, or cute in the way bulldogs or Shar-Peis can be cute. But Ed and naked mole rats do, in fact, have one thing in common: longevity. Naked mole rats live ten times longer than any other mammal their size – up to 30 years. Ed is 101.”*  
([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

რაც შეეხება ლოკაციის კატეგორიის მეორე – ტემპორალურ ასპექტს ისევ და ისევ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ის აშკარად თვალნათლივ არის წარმოდგენილი. ის სტატიის სათაურის ქვემოთ გვხვდება:

*By Joe Treen, September & October 2006.*

([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

როგორც დავინახეთ, ლოკაციის კატეგორიის ტემპორალური ასპექტი ამ სამეცნიერო სტატიაში ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე სათაურის შემდეგ გვხვდება.

რაც შეეხება, ლოკალურ ასპექტს ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ის ჩემი აზრით ამ სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილი არაა. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ლოკაციის კატეგორიის მხოლოდ ორი ასპექტია წარმოდგენილი –



პერსონალური და ტემპორალური. ლოკალური ასპექტი ამ შემთხვევისათვის, მასში წარმოდგენილი არაა.

მოდალობის კატეგორიასთან დაკავშირებით ისევ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ვიტყვდი, რომ საგაზეთო სტატიის მსგავსად, ამ სამეცნიერო სტატიასაც, სწორედ ობიექტური მოდალობა შეეფერება. წინა თავებში აღვნიშნე, რომ ობიექტური მოდალობა მხატვრულ ტექსტს არ ახასიათებს. ობიექტური მოდალობა, ეს ხომ ტექსტში ასახული სიტუაციის დამოკიდებულებაა რეალობასთან. ძირითადი მეტყველი სუბიექტი, ჩემი აზრით, თავის განცდებსა და ემოციებს წინამდებარე სტატიაში არ გამოხატავს. იგი სრულიად ობიექტურად აღარებს ერთმანეთს ადამიანსა და ცხოველს, მათ შორის განსხვავებასაც მე ვოვლი, რომ ზომიერად ობიექტურად წარმოგვიდგენს. მაგ:

*“ Ordinarily, no one would compare Edward Rondthaler to a naked mole rat. The idea is preposterous. Ed is charming, gregarious man of many interests who writes songs and children’s stories and a weekly letter to the editor for his newspaper in Croton-on-Hudson, New York. Naked mole rats are bizarre East African rodents that live underground in beelike colonies and, depending on your point of view, are ugly, hideously ugly, or cute in the way bulldogs or Shar-Peis can be cute. But Ed and naked mole rats do, in fact, have one thing in common: longevity. Naked mole rats live ten times longer than any other mammal their size – up to 30 years. Ed is 101.”*  
([www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104.)

ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე განვიხილავ ემოციურობის, შეფასებისა და დისტანტიურობის კატეგორიებსაც. ამ შემთხვევაში ემოციურობის კატეგორია ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიას არ მიესადაგება, რადგან ძირითადი მეტყველი სუბიექტი ანუ წამყვანი ადრესანტი თავის ემოციების გამოხატვისაგან სტატიაში თავს იკავებს და, ჩემი აზრით, საკმაოდ ობიექტურად მიყავს თხრობა, მსმენელ სუბიექტებს ანუ ადრესატებს სტატიაში დასმულ საკითხზე – სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ანუ იმაზე, თუ რა განაპირობებს ადამიანის ან ცხოველის დიდხანს სიცოცხლეს, უქმნის გარკვეულ წარმოდგენას.



ვერც შეფასების კატეგორიას მივუსადაგებდი ამ სამეცნიერო სტატიას ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, რადგან მასში იგი იმას კი არ გვიჩვენებს, თვითონ როგორ აფასებს ტექსტში დასმულ საკითხს, არამედ პატარა შესავალს უკეთებს სტატიას და შემდეგ სხვადასხვა მკვლევართა და მეცნიერთა კვლევის შედეგებსა და აზრებს წარმოგიდგენს.

რაც შეეხება დისტანტურობის კატეგორიას, ჩემი აზრით, ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ამ კატეგორიის მისადაგება დასახელებული სამეცნიერო სტატიისადმი სავსებით შესაძლებელია, რადგან ძირითადი მეტყველი სუბიექტი ანუ ადრესანტი პირადადაა ჩართული ტექსტში.

ახლა კი, განვიხილოთ პრაგმატიკული კატეგორიები ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან პერსონალური და ტემპორალური ასპექტები შეიცვლება, ხოლო ლოკალური ასპექტი კი ამ შემთხვევაშიც არ გვაქვს წარმოდგენილი. ძირითადი მეტყველი სუბიექტის თითოეული ქვე სუბიექტი პირადად არის ჩართული ტექსტში და თავისი აზრი და შეხედულებები გააჩნია ტექსტში დასმულ საკითხზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გვაქვს ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და ათი მისი ქვე სუბიექტი:

ძირითადი მეტყველი სუბიექტია ამ სტატიის შემქმნელი **Joe Trean**

მისი ქვე სუბიექტები კი არიან:

ეს, რაც შეეხებოდა მთავარ ადრესანტთან დაკავშირებულ პრაგმატიკულ კატეგორიებს, როგორც დავინახეთ, ამ შემთხვევიდან გამომდინარე, ემოციურობის, შეფასების, დისტანტურობის, მოდალობის კატეგორიების მისადაგება სავსებით შესაძლებელია დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატიისადმი, ვინაიდან ლოკაციის კატეგორიის მართლ ერთი ასპექტია წარმოდგენილი, ეს კატეგორია, ჩემი აზრით, არა სრულად არის მოცემული წინამდებარე სტატიაში.

ახლა, გადავიდეთ მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების ამ ლიტერატურული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვაზე და შემდეგ კი ვნახოთ, რამდენად ინფორმაციული, გამჭვირვალე და ექსპრესიულია წინამდებარე სტატია.

წინამდებარე სტატიაში მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტად მე ტომას სტერნზ ელიოტი მივიჩნევ, იმიტომ რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი სწორედ ამ მწერლის შემოქმედებას მიმოიხილავს და მისი სტატიაც მიზნად ისახავს, განსაზღვროს ტრადიციის როლი მის შემოქმედებაში; აგრეთვე მოგვცეს დახასიათება თავად ელიოტის დამოკიდებულებისა ტრადიციის გაგებასთან, რამდენადაც ელიოტისეული გაგება ტრადიციისა ძირეულად განსხვავდება ადრინდელ პოეტთა კონცეპციებისაგან.

მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე ლოკაციის ამ დასახელებული სტატიისადმი მისადაგება, ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია. ამ კატეგორიის სამი ასპექტიდან – პერსონალური, ლოკალური და ტემპორალური, მხოლოდ პერსონალური და ტემპორალურია მოცემული და ამიტომ ლოკაციის კატეგორია ამ შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. ლოკაციის კატეგორიის პერსონალური ასპექტი ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე ხან I პირშია წარმოდგენილი, ხან III- ში, მაგ:

*“ მე ვგულისხმობ, რომ ეს არის პრინციპი ესთეტიური და არა მხოლოდ ისტორიული კრიტიციზმისა...” ( “ცისკარი”, 106, გვ 127).*

*“ ელიოტის აზრით, პოეტის ნოვატორობას მხოლოდ მაშინ ექნება ფასი, თუ იგი შესძლებს თავად ტრადიციის ნოვატორულად აღორძინებას...” ( “ცისკარი”, 106, გვ 129).*

*“ ელიოტის აზრით, ჩვენს ცივილიზაციაში პოეტი უნდა იყოს რთული...” ( “ცისკარი”, 106, გვ 129).*

მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან – ტომას სტერნზ ელიოტიდან გამომდინარე, ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში, ლოკაციის კატეგორიის ტემპორალური ასპექტის არსებობაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ელიოტი მეოცე საუკუნეში დაიბადა და ამ საუკუნეშივე მოღვაწეობდა, მისი ნამუშევრები მეოცე საუკუნეში შეიქმნა; სტატიაში თანამედროვე ეპოქა – მეოცე საუკუნე ნახსენებია არა ერთხელ:

*“ტომას სტერნზ ელიოტი მართებულად მიეკუთვნება თანამედროვე ეპოქის უდიდეს შემოქმედთა რიცხვს...”* ( “ცისკარი”, 106, გვ 127).

*“XX საუკუნეში შეიქმნა მაგ. ელიოტის “ოთხი კვარტეტი”... ( “ცისკარი”, 106, გვ 128).*

*“ მეოცე საუკუნის ადამიანი უკვე სხვაგვარად აღიქვამს “ფაუსტს”, მაგრამ არა იმის გამო, რომ იგი გეოგრაფიულად ამა თუ იმ ქვეყანაში იმყოფება, ან იმიტომ, რომ კალენდარულად მისი დაბადება XX საუკუნეში მოხდა, არამედ იმიტომ რომ არსებობს მეოცე საუკუნის პოეზია და ფილოსოფია და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება სწორი, თანადროული აღქმა წარსულის მემკვიდრეობისა, თუ იგი ორგანულად შეისისხლხორცებს თანამედროვე კულტურას, რომელიც ჰქმნის ერთ მთლიან წყობას წარსულის კულტურასთან ერთად.”* ( “ცისკარი”, 106, გვ 128).

ეს, რაც შეეხებოდა ლოკაციის კატეგორიას მთავარი ადრესანტის – ზვიად გამსახურდიას, ქვე სუბიექტის – ტომას სტერნზ ელიოტიდან გამომდინარე, როგორც დავინახეთ, ეს კატეგორია ამ შემთხვევაშიც არასრულად არის წარმოდგენილი, იმიტომ რომ მისი მხოლოდ ორი ასპექტი – პერსონალური და ტემპორალურია მოცემული ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში, ლოკალური ასპექტი ამ შემთხვევიდან გამომდინარე მასში წარმოდგენილი არაა.

შეფასებისა და ემოციურობის კატეგორიებთან დაკავშირებით ვიტყვოდი, რომ ორივე კატეგორია მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია. ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტი – ელიოტი მსჯელობს და გარკვეულ შეფასებებს აკეთებს მთავარი ადრესანტის მიერ სტატიის სათაურშივე დასმულ საკითხზე – ტრადიციის გაგებაზე ელიოტის შემოქმედებაში:

*“ელიოტის აზრით, არ არსებობს ტრადიცია, როგორც ძველის, გარდასული ჟამის კუთვნილება. პოეტი იმდენად ცოცხლად უნდა განიცდიდეს ტრადიციას,*

*რომ აქციოს იგი თანამედროვეობად. ამით პოეტი თავისუფლდება დროისაგან, იგი დროზე მაღლა დგება და ეზიარება უდროობის, უჟამობის შეგრძნებას, რომელიც არის ამავე დროს ისტორიის ჭეშმარიტი შეგრძნება.* ( “ცისკარი”, 106, გვ 127).

*“ ელიოტის აზრით, კრიტიკოსმა სწორედ ტრადიციის როლის გაგებით უნდა დაგვანახოს, თუ რაში მდგომარეობს ნოვატორობა ამა თუ იმ პოეტისა. მავე დროს კრიტიკოსი უნდა იყოს ღირებულებათა დიდი გადამფასებელი, თავისი თაობის პოზიციებიდან, რა თქმა უნდა.”* ( “ცისკარი”, 106, გვ 128).

ხოლო რაც შეეხება ემოციურობის კატეგორიას, ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე, აღვნიშნავ, რომ ელიოტი ემოციების თავისებურ გაგებას წარმოგვიდგენს. მას მიაჩნია, რომ ახალ პოეზიაში უნდა მოხდეს ემოციის იმპერსონალური გარდაქმნა, ანუ პოეტმა უნდა მიაღწიოს იმპერსონალურობას, ე. ი. პიროვნებისგან განთავისუფლებას შემოქმედებაში. მისი აზრით, ადრინდელ პოეზიაში ჭარბად არის პიროვნული განცდები, ახალი პოეზია კი უფრო და უფრო უნდა ცდილობდეს იმპერსონალური გახადოს ლექსის ემოციური შინაარსი; პოეტმა კი არ უნდა შექმნას ახალი ემოციები, არამედ უნდა აიღოს ჩვეულებრივი ემოციები და გარდაჰქმნას ისინი პოეზიად. ამ გაგებით, პოეტი თავის “პიროვნებას” კი არ გადმოსცემს, არამედ იმ განსაკუთრებულ მედიუმს, რომელიც დგას მისი პიროვნების მიღმა და, რომელსაც გააჩნია სრულიად მოულოდნელი კომბინაციები წარმოსახვათა და განცდათა... პოეტი ვერ მიაღწევს იმპერსონალურობას, თავის თავის დათმობის გარეშე, მან უნდა შესწიროს თავისი პიროვნება ნაწარმოებს, რომელსაც ჰქმნის... ( “ცისკარი”, 106).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტის მიხედვით დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილ ემოციურობის კატეგორიას, მე მარტო ემოციურობისას ვერ დავარქმევდი; ჩემი აზრით უფრო სწორი იქნება, თუ ამ შემთხვევისათვის ამ კატეგორიისთვის შემოვიტანო ახალ სახელწოდებას: იმპერსონალური ემოციურობის კატეგორია; ელიოტი ხომ თავადვე ამბობს:

*“ ხელოვნებაში ემოცია იმპერსონალურია”. ( “ცისკარი”, 106, გვ 129).*

ანუ მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე, დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიას ემოციურობის კატეგორია კი არ მიუხსადაგე, არამედ იმპერსონალური ემოციურობის კატეგორია. თუ რას ნიშნავს სიტყვა იმპერსონალური ზემოთ განვმარტე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს არის პიროვნებისაგან განთავისუფლება შემოქმედებაში, ანუ პოეტმა თავის თავი უნდა შესწიროს ნაწარმოებს, რომელსაც ჰქმნის.

ახლა, გადავიდეთ მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტთან დაკავშირებული შემდეგი პრაგმატიკული კატეგორიების დასახელებული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვაზე. ესენია: მოდალობის და დისტანტურობის კატეგორიები.

ორი სახის მოდალობიდან – სუბიექტურიდან და ობიექტურიდან, აღნიშნული შემთხვევიდან გამომდინარე წინამდებარე სტატიას სუბიექტურ მოდალობას მიუხსადაგებდი. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტი – ტომას სტერნზ ელიოტი ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში თავის სუბიექტურ აზრებსა და შეხედულებებს წარმოგვიდგენს ძირითადი მეტყველი სუბიექტის მიერ სტატიის სათაურშივე დასმულ საკითხზე – ტრადიციის გაგებაზე ელიოტის შემოქმედებაში. საკუთარი აზრის უფრო ნათლად წარმოსადგენად, მაგალითისათვის მოვიყვან ნაწყვეტებს საკუთრივ სტატიიდან:

*“ყოველ თაობას, ყოველ ინდივიდუალობას ხელოვნების ჭვრეტისას შემოაქვს საკუთარი კატეგორიები დაფასებისა, ხელოვნებას უყენებს თავის საკუთარ მოთხოვნებს, აქვს თავისებური მიდგომა... ამიტომ კრიტიკა ისევე აუცილებელია, როგორც სუნთქვა”. ( “ცისკარი”, 106, გვ 128)*

ამ ნაწყვეტში, ჩემი აზრით, კარგად ჩანს ელიოტის – მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტის სუბიექტური აზრი. შემოგთავაზებთ კიდევ სხვა ნაწყვეტს:

*“პოეზია არ არის ფილოსოფიის, რელიგიის ან თეოლოგიის შემცვლელი (Substitute); მას საკუთარი ფუნქცია აქვს. მაგრამ რამდენადაც ეს ფუნქცია ემოციონალურია და არა ინტელექტუალური, ამიტომ შეუძლებელია მისი გადმოცემა ინტელექტისმიერი ტერმინოლოგიით”... (( “ცისკარი”, 106, გვ 129)*

ჩემი აზრით, ეს ნაწყვეტიც ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტის – ელიოტის პოეზიისადმი მისებურ გაგებაზე, ე. ი. სუბიექტურ შეხედულებაზე მეტყველებს.

ვინაიდან და რადგანაც, მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტი პირადად არის ჩართული წინამდებარე სტატიაში მიმდინარე თხრობაში, დისტანტურობის კატეგორიის მისადმი მისადაგება სავსებით შესაძლებელია.

როგორც განხილვიდან დავინახეთ, ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიებიდან ამ დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატიისადმი შესაძლებელია შემდეგი კატეგორიების მისადაგება: ლოკაციის (ნაწილობრივ, იმიტომ რომ ამ კატეგორიის სამივე ასპექტი არაა წარმოდგენილი ამ შემთხვევისათვის წინამდებარე სტატიაში), სუბიექტური მოდალობის, დისტანტურობის და შეფასების; ემოციურობის კატეგორიას ცოტა სხვაგვარად მივუძღვი ისევ და ისევ თავად მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტის ემოციურობაზე შეხედულებიდან გამომდინარე. ამ კატეგორიას მე მარტო ემოციურობის ნაცვლად იმპერსონალური ანუ პიროვნების მიღმა ემოციურობის კატეგორია ვუწოდებ იმიტომ რომ თავად ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტს – ელიოტს, ჰქონდა ასეთი შეხედულება ემოციურობაზე წინამდებარე სტატიაში.

მთავარ ადრესანტთან და მის ქვე სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების ამ დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვის შემდეგ მინდა, გადავიდეთ მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების იგივე სტატიის მიხედვით განხილვაზე.

ინფორმაციულობის თვალსაზრისით წინამდებარე სამეცნიერო სტატია ინფორმაციულია, როგორც ყველა ტიპის ტექსტი, ის თავის თავში შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, ამ შემთხვევაში ინფორმაციას ელიოტის შემოქმედებაში ტრადიციის გაგებაზე.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით, დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიას, ისევე როგორც ზემოთ განხილულ სამეცნიერო სტატიების ორ ტიპს – ბიოლოგიურსა და ისტორიულს, ასევე გაუმჭვირვალედ მივიჩნევდი. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ არც მასშია გამჭვირვალობის არც ერთი ფაქტორი მოცემული; კერძოდ, ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირი ვერ იქნება ვერც მთავარი ადრესანტისათვის, ვერც მისი



ქვე სუბიექტისათვის, ვერც ადრესატისათვის ან ადრესატებისათვის; ვერც კომუნიკაციური სიტუაცია იქნება იდენტური მათთვის; ვერც კომუნიკანტთა თეზაურუსები, ფონური ცოდნა და სამყაროს ხატი ვერ დაემთხვევა ერთმანეთს; იმიტომ რომ მთავარი ადრესანტი იქნება, მისი ქვე სუბიექტები იქნებიან, თუ კიდევ მათი ქვე სუბიექტები ან ადრესატები, თითოეული მათგანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას მოღვაწეობს, ერთნაირი ვერც სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი ექნებათ, და ვერც ერთსა და იმავე დროს მოუწევთ მოღვაწეობა. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ადრესატთა სხვადასხვა ტიპი არსებობს, ისევე როგორც ზემოთ განხილულ სამეცნიერო სტატიები, ეს სამეცნიერო სტატიაც ზოგისთვის შეიძლება გასაგები იყოს, ზოგისთვის ცოტათი გაუგებარი აღმოჩნდეს; ანუ იმათთვის, ვინც ელიოტის შემოქმედებას კარგად არ იცნობენ, ზოგიერთმა ადგილმა შეიძლება, მათი დაბნევა გამოიწვიოს; თუმცა სტატია ინფორმაციულობის თვალსაზრისით აშკარად გარკვეული ინფორმაციის მიმწოდებელი იქნება ყველა ტიპის მკითხველისთვის, მაგრამ გამჭვირვალე ვერ იქნება. ასე რომ მე ამ ტიპის სამეცნიერო სტატიასაც გაუმჭვირვალედ მივიჩნევდი.

რაც შეეხება ექსპრესიულობის კატეგორიას, დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ექსპრესიულობის ორი ფუნქციური მომენტი ჩემი აზრით, ერწყმის ერთმანეთს; მთავარი ადრესანტი – სტატიის შემქმნელი, ინტენციურ ზეგავლენას ახდენს ადრესატზე. ის სტატიაში აბსოლუტურად დახვეწილად და თანმიმდევრულად მსჯელობს მის მიერვე დასმულ საკითხზე, ტრადიციის გაგებაზე ელიოტის შემოქმედებაში; მართალია, ელიოტის შემოქმედებიდან, ელიოტის ანუ თავისი ქვე სუბიექტის აზრებს წარმოგვიდგენს, თუმცა ნათლად ახდენს შემდეგ თავისი ქვე სუბიექტის ნააზრევის განმარტებას, რათა მკითხველამდე, ანუ ადრესატამდე სათქმელი თვალსაჩინოდ მიიტანოს. გამოკვლევიდან გამომდინარე, წინამდებარე ისტორიული სამეცნიერო სტატია, ისევე როგორც ისტორიული სამეცნიერო სტატია, მე ექსპრესიულად მივიჩნიე.

სამეცნიერო სტატიის ამ ტიპის შემთხვევაში, ვგულისხმობ იმას, რომ ეს ლიტერატურული სამეცნიერო სტატიაა, მინდა დავსძინო, რომ მასში აქცენტი ძირითად მეტყველ სუბიექტზე და მის ქვე სუბიექტზეა და რა თქმა უნდა ამ სტატიაში მათთან დაკავშირებული კატეგორიები სჭარბობს, თუმცა ბიოლოგიურ სამეცნიერო სტატიისგან განსხვავებით და ისტორიული სამეცნიერო სტატიის მსგავსად ეს ლიტერატურული სამეცნიერო სტატია

ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და ექსპრესიულია, მაშინ როდესაც ბიოლოგიური სამეცნიერო სტატია ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და არა ექსპრესიულად მივიჩნე.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ლიტერატურული სამეცნიერო სტატია მთავარი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე, დანარჩენი ორი სამეცნიერო სტატიისგან იმით განსხვავდება, რომ ემოციურობის კატეგორიას წინამდებარე სტატიაში მათგან განსხვავებულად მივუღექი; მასში იმპერსონალური (პიროვნების მიღმა) ემოციურობის კატეგორიაა წარმოდგენილი და არა მხოლოდ ემოციურობის.

## დასკვნა

ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პრაგმატიკული კატეგორიების განხილვა იურიდიულ, მხატვრულ (პოსტმოდერნისტულ და რეალისტურ), საგაზეთო და სამეცნიერო ტექსტების მიხედვით.

პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განვიხილეთ ორი სახის იურიდიული ტექსტი: საქართველოს კონსტიტუცია — კანონი სახელმწიფოს შესახებ (ინგლისური ვერსია) და კანონი საქართველოს ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ (ასევე ინგლისური ვერსია), ანუ შეიძლება ითქვას შევადარე ისინი ერთმანეთს), მხატვრული (კლასიკოს მწერალ, ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებ *'Great Expectation'*-იდან ხუთი თავი, პოსტმოდერნისტ მწერალ, უმბერტო ეკოს ნაწარმოებ *"Foucault's Pendulum"*- იდან აღებული ორი თავი, მათ შორის განსხვავებების მოძებნით), საგაზეთო სტატია და სამეცნიერო სტატიები – ისტორიული, ბიოლოგიური და ლიტერატურული (ასევე მათ შორის განსხვავებების მოძებნით) .

პირველ რიგში, გავმიჯნე თავად კატეგორიები; გამოვყავი პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან და პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც მსმენელ სუბიექტს უკავშირდებიან. შემდეგ დავიწყო ზემოთ აღნიშნულ ტექსტებში ამ კატეგორიების პრევალირება–ნაკლებობის დადგენა; იმის კვლევა, რომელი სტილის ტექსტი აღმოჩნდებოდა ყველაზე ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე (ესენი ხომ იმ პრაგმატიკულ კატეგორიებს მიეკუთვნებიან, რომლებიც მსმენელ სუბიექტზე არიან ორიენტირებულნი); ჩემს ნაშრომში ყოველივე ამის განხილვასა და ახსნა-განმარტებას შევეცადე.

შესავალში მთელი რიგი მასალის გამოყენებით მივყვეთ თანმიმდევრობას და თავდაპირველად გავარკვიე, თუ რა არის სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა; გავარკვიე, თუ რა არის პრაგმატიკული კატეგორია, ანუ რომელი კატეგორიები მიეკუთვნებიან პრაგმატიკას და შემდეგ ისინი განვიხილეთ აღნიშნული ტექსტების მიხედვით. ჩავრთე სხვადასხვა ლინგვისტოა განმარტებები პრაგმატიკის თაობაზე.

განგმარტე, რომ ყოველი მეცნიერება ან მეცნიერების ცალკეული დარგი არსებობს იმდენად, რამდენადაც მას გააჩნია საკუთარი კატეგორიარული აპარატი. კომუნიკაციური მოდელის შექმნასა და კონსტიტუირებაში კომუნიკაციური აქტის კომპონენტებთან ერთად (ადრესანტი, ადრესატი, რეფერენციული სიტუაცია და ა.შ. ) მონაწილეობს ენის სისტემა, ხოლო მთელი ენობრივი სისტემის განსახიერებად უნდა ჩაითვალოს ენობრივი ნიშანი, რომლის სამ განზომილებად თანამედროვე ლინგვისტიკას მიაჩნია სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული განზომილებანი. როცა ვამბობთ, რომ თანამედროვე ლინგვისტიკას საფუძვლად უდევს ნიშნის ცნება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფ. დე სოსიურმა შეიმუშავა ეს სამი განზომილება — ისინი პირველად ამერიკელმა ფილოლოგმა პირსმა წამოაყენა. პირველი ეტაპი, ეს იყო სინტაქტიკური აზროვნება, მას მოჰყვა სემანტიკური, ხოლო შემდგომ პრაგმატიკული ეტაპები. ე. ი. მე-20 საუკუნის ლინგვისტიკა – ეს არის სემიოტიკური ლინგვისტიკა, მის თეორიულ საფუძველს კი წარმოადგენს ნიშნის ცნება. სემიოტიკის ზემოთ დასახელებული სამი ასპექტის მიმართება ნიშნისადმი და საერთოდ ენისადმი, შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: სინტაქტიკა გამოჰყოფს მიმართებებს ენობრივ ერთეულებს შორის; სემანტიკა ადგენს ენობრივი ერთეულების მიმართებას აღსანიშნი ობიექტის მიმართ; პრაგმატიკა კი იხილავს ენობრივ ერთეულებს მათ მიმართებაში იმ პირთან ან პირებთან, რომლებიც ამ ერთეულებს იყენებენ კომუნიკაციის პროცესში. ენობრივი ნიშნის ამ სამი განზომილებიდან ტექსტის შემთხვევაში განმსაზღვრელი როლი პრაგმატიკულ განზომილებას უნდა მიეკუთვნოს ( ლებანიძე გ., 78 ). ვასაბუთებ იმასაც, თუ რატომ უნდა მიეკუთვნოს განმსაზღვრელი როლი ტექსტის შემთხვევაში პრაგმატულ განზომილებას.

თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვით, ენას საფუძვლად ორი ძირითადი მომენტი უდევს:

*1. ენა არის ნიშანთა სისტემა;*

*2. მას აქვს დონეობრივი სტრუქტურა.*

იყო დრო, როცა ნიშნად ითვლებოდა მხოლოდ სიტყვა (მაგალითად სოსიურთან); შემდეგ მოხდა ნიშნის ცნების "ექსპანსია" და ნიშნად მიჩნეულ იქნა წინადადება. სიტყვა იქნა მიჩნეული არასრულ, ხოლო წინადადება, სრულ ნიშნად. შემდეგ სრული ნიშანი აღმოჩნდა ტექსტი. სემიოტიკური ლინგვისტიკა მიიღტვოდა და დღესაც მიიღტვის იმისკენ, რომ თავისი განხილვისა და კვლევის უმთავრეს ობიექტად აქციოს ჭეშმარიტად სრული ნიშანი; დღეს კი ასეთად ითვლება ტექსტი.

შესავალშივე საჭიროდ მივიჩნეე ზოგადად ტექსტთა კლასიფიცირების მოხდენა, ვინაიდან და რადგანაც ჩემს სადისერტაციო შრომაში ჩემი კვლევის მიზანი პრაგმატიკული კატეგორიების სხვადასხვა ტიპის ტექსტების მიხედვით განხილვა იყო. შემოვიტანე ტერმინები: *ჯანრი, რეგისტრი, ტექსტის ტიპი*.

ჩემს ნაშრომში ჩავრთე ჩემს მიერ მოპოვებული დასახელებულ ტერმინთა შესახებ სხვადასხვა მკვლევართა მიერ გაკეთებული განმარტებები.

ჯანრისა და რეგისტრის კატეგორიების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია გავაერთიანე და ამ ტერმინებს ერთი მარტივი ახსნა მოვუძებნე.

*რეგისტრი* არის ენის ფუნქციონალური ტიპი. იგი შეიცავს არასალიტერატურო ენას, რომელსაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გამოიყენებენ. მაგ, შეიცავს წირვის დროს მლოცველთა მიერ გამოყენებულ ენას, სპორტული კომენტატორების მიერ ფეხბურთის მატჩის დეტალური აღწერისას გამოყენებულ ენას, მკვლევართა მიერ გამოყენებულ ენას. მეცნიერულ რეგისტრებად შეიძლება, ჩაითვალოს სხვადასხვა ჟანრი: სტატია, მოხსენება, კონფერენციის ქრონიკა.

*ჯანრი* კი შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ტექსტის ტიპთა კონფიგურაცია. იგი შეიცავს ორივეს – სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის ვარიანტებს. მაგ, მოკლე მოთხრობებს, რომანებს, სონეტებს, ინფორმაციონალურ მოხსენებებს ( გაზეთებში ან ჟურნალებში ), ტექნიკურ სახელმძღვანელოებს, შეთავაზებებს. მოთხრობის ჟანრი შეიძლება სხვადასხვა რეგისტრებში გამოვლინდეს: საყოფაცხოვრებოში, მხატვრულში, პუბლიკაციურში.

ასევე დავამატე, რომ ჩემს მიერ პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განსახილველად არჩეული ტექსტები:

1. იურიდიული ტექსტები, ჩემი აზრით, მიეკუთვნება ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, იურიდიული ტექსტების შემთხვევაში კი შეიცავს არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას იურიდიულ ტექსტებს იმიტომ ვერ მივაკუთვნებდი, რომ მათში გამოყენებული ენა შეიძლება გასაგები არ იყოს ორივესთვის – ადრესანტისა და ადრესატისთვის; შეიძლება ბუნდოვანი, გაუგებარი იყოს.
2. უმბერტო ეკოს “Foucault’s Pendulum” – იც ჩემი აზრით, მიეკუთვნება ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, უმბერტო ეკოს შემთხვევაში კი შეიცავს სალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას უმბერტო ეკოს აღნიშნული ნაწარმოების თარგმნილ ვარიანტს იმიტომ ვერ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა შეიძლება გასაგები არ იყოს ორივესთვის – ადრესანტისა და ადრესატისთვის, შეიძლება ბუნდოვანი და გაუგებარი იყოს.
3. ჩარლზ დიკენსის “Great Expectations”, ჩემი აზრით მიეკუთვნება ორივეს – რეგისტრისა და ჟანრის კატეგორიას. ჩარლზ დიკენსის ამ ნაწარმოებს რეგისტრის კატეგორიას იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ ნაწარმოებში გამოყენებული ენა, ჩემი აზრით, გასაგები იქნება და არა ბუნდოვანი, ორივესთვის – ადრესანტისა და ადრესატისთვის. ჟანრის კატეგორიას კი იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ ეს კატეგორია, როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, ჩარლზ დიკენსის შემთხვევაში კი შეიცავს სალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს.
4. საგაზეთო სტატია, ჩემი აზრით, მიეკუთვნება ორივეს - რეგისტრისა და ჟანრის კატეგორიას. აღნიშნულ სტატიას რეგისტრის კატეგორიას იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა, ჩემი აზრით, გასაგები იქნება და არა ბუნდოვანი ორივესთვის –

ადრესანტისა და ადრესატისთვის. ჟანრის კატეგორიას კი იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ რომ ეს კატეგორია, როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, აღნიშნული საგაზეთო სტატიის შემთხვევაში კი შეიცავს არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს.

5. სამეცნიერო სტატია, კერძოდ, ლიტერატურული სამეცნიერო სტატია, ანუ სამეცნიერო სტატია გაკეთებული ლიტერატურის დარგში, ჩემი აზრით მიეკუთვნება ორივეს - რეგისტრისა და ჟანრის კატეგორიას. ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, ლიტერატურული სამეცნიერო სტატიის შემთხვევაში კი შეიცავს სალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას ჩემს მიერ არჩეულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიას იმიტომ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა ჩემი აზრით, გასაგები იქნება და არა ბუნდოვანი, ორივესთვის – ადრესანტისა და ადრესატისთვის. ისტორიული სამეცნიერო სტატია, ჩემი აზრით მიეკუთვნება ჟანრის კატეგორიას. ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, ისტორიული სამეცნიერო სტატიის შემთხვევაში კი შეიცავს არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას ისტორიულ სამეცნიერო სტატიას იმიტომ ვერ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა შეიძლება გასაგები არ იყოს ორივესთვის – ადრესანტისა და ადრესატისთვის, შეიძლება ბუნდოვანი და გაუგებარი იყოს, დატვირთული ისტორიული ქრონოლოგიითა და ტერმინებით, რაც ჩემი აზრით, უფრო ისტორიულად განათლებულ მკითხველს მოითხოვს. სამედიცინო დარგში (სფეროში) შექმნილი სამეცნიერო სტატია, ჩემი აზრით მიეკუთვნება ჟანრის კატეგორიას. ჟანრის კატეგორიას, იმიტომ რომ ეს კატეგორია როგორც უკვე აღვნიშნე, შეიცავს სალიტერატურო და არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს, სამედიცინო დარგში (სფეროში) შექმნილი სამეცნიერო სტატიის შემთხვევაში კი შეიცავს

*არასალიტერატურო ტექსტის სახესხვაობებს. რეგისტრის კატეგორიას სამედიცინო დარგში (სფეროში) შექმნილ სამეცნიერო სტატიას იმიტომ ვერ მივაკუთვნებდი, რომ მასში გამოყენებული ენა შეიძლება გასაგები არ იყოს ორივესთვის – ადრესანტისა და ადრესატისთვის, შეიძლება ბუნდოვანი და გაუგებარი იყოს, დატვირთული მთელი რიგი სამედიცინო ტერმინებით, რაც ჩემი აზრით, უფრო მედიცინაში გათვითცნობიერებულ მკითხველს მოითხოვს.*

ახლა კი მინდა, ჩემს ნაშრომში გამოკვლეული ყოველი საკითხი შევაჯამო და ერთიანად, შეჯამებული სახით წარმოვადგინო.

ნაშრომი დაყოფილია *ხუთ თავად*.

*პირველ თავში* პრაგმატიკული კატეგორიები განვიხილე იურიდიული ტექსტების მაგალითზე. იურიდიულ ტექსტებად ავიღე საქართველოს კონსტიტუციის ინგლისური ვერსია და საქართველოს კანონი ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ, ასევე ინგლისური ვერსია. თავდაპირველად, განვიხილე საქართველოს კონსტიტუცია, შემდეგ კი შევადარე იგი კანონს ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ.

ჩემს მიერ დასახელებულ იურიდიულ ტექსტებში აქცენტი მსმენელ სუბიექტსა და მასზე ორიენტირებულ კატეგორიებზეა. მეტყველი სუბიექტი დაფარულია, მაგრამ არსებობს, ან არსებობდა, სხვაგვარად ტექსტი ვერ შეიქმნებოდა. აღნიშნული ორივე კანონი ინფორმაციულია, და არაექსპრესიული; გამჭვირვალობის თვალსაზრისით, კი ორივე ტექსტი ნაწილობრივ გამჭვირვალეა მეტ-ნაკლებობის ფონზე. საქართველოს კონსტიტუციასთან შედარებით, კანონი საქართველოს ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ, უფრო რთული აგებულებისაა; მასში მრავლადაა სპეციფიკური სიტყვები და ტერმინები:

*"export", "import", "gas supply", "gas storage", "transit", "transportation licensee", "Executive Board of the Georgian Wholesale Electricity Market", "Technical Standards", "Market Rules", "Import Licensee", "Export Licensee"* და ა. შ. ([www.parliament.ge/Legal\\_Acts/Constitution/consem.html](http://www.parliament.ge/Legal_Acts/Constitution/consem.html), 100.)



ტექსტი საქართველოს კონსტიტუციისა უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე მეორე კანონი, რადგან ეს უფრო მოითხოვს წინასწარ შემზადებას, გადატვირთულია მთელი რიგი სპეციფიკური ტერმინებით, რაც უმეტესწილად ენერგეტიკის სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვისაა ცნობილი. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი ადრესატისთვის უფრო გასაგებადაა წარმოდგენილი, ვიდრე კანონი საქართველოს ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი, მიუხედავად გამჭვირვალობის ყველა ფაქტორის განუხორციელებლობისა, უფრო მეტად განჭვირვალედ ჩავთვალე, ვიდრე მეორე კანონი და ვინაიდან ვერც ერთი კანონი ვერ პასუხობს გამჭვირვალობის ყველა ფაქტორს, ორივე მათგანი ნაწილობრივ გამჭვირვალედ მივიჩნეე, როგორც უკვე აღვნიშნე, მეტ-ნაკლებობის ფონზე.

იურიდიული ტექსტების შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული ორივე ტექსტი არის კანონი, ვიფიქრე, რომ კანონის ძალაში გატარებას, კარგი კი არა, ალბათ აუცილებელიც იქნებოდა, მინიჭებოდა კატეგორიარული სტატუსი; ყველა კანონი ხომ იქმნება, ყალიბდება, მაგრამ იგი ვერ იმოქმედებს, თუ ძალაში არ იქნება გატარებული; მას ძალა არ ექნება და ყოველგვარი განხილვა ამო იქნება; სხვა კატეგორიების მსგავსად მოხდება მისი პრაგმატიზაცია, შესწავლილ იქნება სხვა სტილის ტექსტების კი არა, იურიდიული ტექსტების ფარგლებში და ორივე სუბიექტზე – მეტყველ და მსმენელ სუბიექტებზე, ანუ ადრესანტებსა და ადრესატებზე იქნება ორიენტირებული. მაშინ იურიდიული ტექსტების შემთხვევაში, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, კანონის ძალაში გატარების კატეგორია იქნება.

იურიდიულ ტექსტებში ჩემი გამოკვლევებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აქცენტი მსმენელ სუბიექტსა და მასთან დაკავშირებულ პრაგმატულ კატეგორიებზეა. თუმცა, მართალია, მეტყველი სუბიექტი იურიდიულ ტექსტებში დაფარულია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის არსებობს ან არსებობდა; სხვაგვარად ტექსტი ვერ შეიქმნებოდა.

*მეორე თავში* პრაგმატიკული კატეგორიები განვიხილე ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსის, ისტორიკოსის, ლიტერატორის, სემიოტიკოსის, კრიტიკოსისა და ესთეტიკოსის უმბერტო ეკოს ნაწარმოებიდან *"Foucault's Pendulum"*, პირველი ორი თავის მაგალითზე. მინდა დავსძინო, რომ განვიხილე

ამ ნაწარმოების არა ორიგინალი, მწერლის მიერ იტალიურ ენაზე შექმნილი ვარიანტი, არამედ ინგლისურად ნათარგმნი ვერსია; თარგმანი შესრულებულია უილიამ ვივერის მიერ.

აღნიშნულ ნაწარმოებში მეტყველი სუბიექტი აქტიურადაა წარმოდგენილი. ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი და ცხადია, მეტყველი სუბიექტი აქტიურად არის ჩაბმული კომუნიკაციის პროცესში. თუმცა იმასაც აღვნიშნავ, რომ მართალია, როცა ადამიანი ამ ნაწარმოების კითხვას დაიწყებს, ისეთი განცდა დაეუფლება, თითქოს ვერაფერი გაიგო და ამდენად, მეტყველ სუბიექტსა და მსმენელ სუბიექტს შორის იქნება შეუთავსებლობა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ტექსტი იქმნება იმისთვის, რომ ვიღაცამ წაიკითხოს; ყველა სახის ნაწარმოებს თავისი მკითხველი ჰყავს, ყოველივე დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის ფონურ ცოდნასა და თეზაურუსზე.

მეტყველ სუბიექტზე ორიენტირებული კატეგორიებიდან უმბერტო ეკოს *"Foucault's Pendulum"*-ს ხუთივე მივუსადაგე და მაგალითებიც მოვიყვანე. მსმენელ სუბიექტზე ორიენტირებულ კატეგორიებთან დაკავშირებით კი საბოლოოდ მაინც მივიჩნიე, რომ დასახელებულ ტექსტში ყველაფერი დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის ფონურ ცოდნასა და თეზაურუსზე. ზოგიერთისთვის შეიძლება ექსპრესიულიც იყოს ჩემს მიერ აღნიშნული ტექსტი, გამჭვირვალეც და ინფორმაციულიც, ზოგიერთისთვის კი — პირიქით. ჩემი აზრით, მკითხველი სათანადოდ უნდა შეემზადოს ამ ნაწარმოების წაკითხვისათვის, რაც მას ნაკლებად მიიზიდავს (რა თქმა უნდა, ყველას არა).

უმბერტო ეკოს ნაწარმოებში მაინც მეტყველ სუბიექტზე ორიენტირებული კატეგორიები სჭარბობს, ვინაიდან მეტყველი სუბიექტი უფრო აქტიურია; მსმენელი სუბიექტი ამ ნაწარმოებს მოეპოვება მხოლოდ სათანადო შემზადებით, ფონური ცოდნითა და თეზაურუსით.

*მესამე თავში* ჯერ მოვახდინე უმბერტო ეკოს შედარება კლასიკოს მწერალ ჩარლზ დიკენსთან, ხოლო შემდეგ პრაგმატიკული კატეგორიები განვიხილე დიკენსის ერთ-ერთი რომანიდან *"Great Expectation"*, ხუთი თავის მიხედვით, ბოლოს კი პრაგმატიკული კატეგორიების თვალსაზრისით, ამ

ნაწარმოებსა და უმბერტო ეკოს *"Foucault's Pendulum"*-ს შორის მსგავსების ან განსხვავების აღმოჩენას შევეცადე.

მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული კატეგორიებიდან უმბერტო ეკოს აღნიშნული ნაწარმოების მსგავსად, ლოკაციის კატეგორია გარკვეული ცვლილებებით ხასიათდება (ცვლილებებში ვიგულისხმე ამ კატეგორიის ორი ასპექტის — ტემპორალური და ლოკალური ასპექტების მონაცვლეობა) ჩარლზ დიკენსის *"Great Expectation"*-ში. მოდალობის კატეგორია უმბერტო ეკოსთან უფრო აქტიურად არის წარმოდგენილი, ვიდრე ჩარლზ დიკენსთან, რადგან *"Foucault's Pendulum"*-ი უფრო კარგად დაიყო მოდალურ მეტატექსტებად, რომლებსაც თავიანთი მიკროთემები გააჩნიათ. ემოციურობის, შეფასების და დისტანტიურობის კატეგორიები ჩარლზ დიკენსთანაც ნათლად გვხვდება და უმბერტო ეკოსთანაც.

იმასაც აღვნიშნავ, რომ მხატვრულ ტექსტში მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული კატეგორიები არსებობენ და გვხვდებიან განურჩევლად მიმდინარეობისა; მეტყველი სუბიექტი, არა აქვს მნიშვნელობა, ტექსტში მოქმედება ადამიანის ცნობიერებაში ხდება, თუ საუბრისას, იგი ყოველთვის ახდენს რაღაცის შეფასებას და თავის ემოციებსაც გამოხატავს ხოლმე, თუ პირდაპირ არა, იმპლიციტურად მაინც.

მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებული კატეგორიებიდან, ჩარლზ დიკენსთან ინფორმაციულობისა და ექსპრესიულობის კატეგორიების მისადაგება სავსებით შესაძლებელია, გამჭვირვალობა ნაწილობრივ არის განხორციელებული; უმბერტო ეკოსთან კი ყოველივე დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის თეზაურუსსა და ფონურ ცოდნაზე. ზოგიერთისთვის მისი ნაწარმოები შეიძლება ექსპრესიულიც იყოს, ინფორმაციულიც და გამჭვირვალეც; ზოგიერთისთვის კი — პირიქით.

ჩარლზ დიკენსის *"Great Expectation"*-ის განხილვისას ცალკე გამოვყავი კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორია, იმიტომ რომ კომუნიკაციურობა მართლაც ეფექტურია, მიუხედავად იმისა, რომ გამჭვირვალობის ვერც ერთი ფაქტორი ვერ განხორციელდა; დიკენსი ხომ კლასიკოსი მწერალია და ალბათ, არ შეეცდები, თუ აღვნიშნავ, რომ არა მხოლოდ ეს დასახელებული ნაწარმოები, არამედ მისი ყველა ნაწარმოები კომუნიკაციურობის თვალსაზრისით, ძალიან ეფექტურია.

*მეოთხე თავში* პრაგმატიკული კატეგორიები განვიხილეთ საგაზეთო სტატიის მიხედვით.

საკუთრივ პრაგმატიკული კატეგორიების საგაზეთო სტატიის მიხედვით განხილვაზე გადასვლამდე საერთოდ სტატია დავახასიათო, განვმარტო, თუ როგორი აგებულება აქვს მას და მეტყველი სუბიექტის გასათვალისწინებელ მოთხოვნებზე წარმოვადგინო. პრაგმატიკული კატეგორიები, როგორც სხვა სტილის ტექსტებში, ისე საგაზეთო სტატიაში ჯერ მეტყველ სუბიექტთან, ხოლო შემდეგ მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებით განვიხილო.

მეტყველი სუბიექტის საკითხს საგაზეთო ტექსტში შემდეგნაირად მივუდექი:

აღვნიშნე, რომ მეტყველი სუბიექტი ტექსტში პირადად არ ჩანს, თხრობა III პირში მიმდინარეობს; ადრესანტი მითითებულია სტატიის თავში; საგაზეთო ტექსტში გამოვყავი ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და რამდენიმე მისი ქვე სუბიექტი; პრაგმატიკული კატეგორიებიც განვიხილეთ ცალკე — ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, და ცალკე — ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე.

საგაზეთო სტატიის განხილვას ვიწყებ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე პრაგმატიკული კატეგორიებით.

ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან მხოლოდ პერსონალური ასპექტი არ ჩანს ტექსტში, თუმცა აღვნიშნე, რომ იგი არსებობს. ტემპორალური და ლოკალური ასპექტები კი საკუთრივ სტატიაში გვხვდება.

მოდალურ კატეგორიასთან დაკავშირებით ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე აღვნიშნავ, რომ საგაზეთო ტექსტი ამ მხრივ სრულიად განსხვავდება იმ ტექსტებისაგან, რომლებიც წინა თავებში განვიხილეთ. საგაზეთო ტექსტს იმ შემთხვევისთვის, რომელსაც ახლა განვიხილავ, ობიექტურ მოდალობას მივუსადაგებდი, რადგან სტატიაში ძირითადი მეტყველი სუბიექტი სრულიად ობიექტურად ასახავს მოვლენებს. იგი თავის განცდებსა და ემოციებს სტატიაში არ გამოხატავს.

ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, საგაზეთო ტექსტს ვერც ემოციურობის, ვერც შეფასების და ვერც დისტანტურობის კატეგორია ვერ მიესადაგება, იმიტომ რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი პირადად არ არის ჩართული ტექსტში.

ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, პრაგმატიკული კატეგორიები სხვაგვარად მიესადაგება საგაზეთო ტექსტს.

ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან აღნიშნული შემთხვევისათვის, პერსონალური ასპექტიც შეიცვლება; თითოეული მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტთაგანი პირადად არის ჩართული ტექსტში და თავისი აზრი და შეხედულებები გააჩნია ტექსტში არსებული სიტუაციის მიმართ. და ტემპორალური ასპექტიც იცვლება. ლოკალური ასპექტი კი უცვლელია. იმასაც აღვნიშნავ, რომ ჩემს მიერ არჩეულ საგაზეთო სტატიაში გამოვყავი ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და ათი მისი ქვე სუბიექტი; თითოეული მათგანი დასახელებულია ნაშრომის მეოთხე თავში.

ორი სახის მოდალობის კატეგორიიდან — სუბიექტურიდან და ობიექტურიდან, აღნიშნული შემთხვევისათვის სუბიექტური მოდალობა მივუსადაგე ჩემს მიერ განსახილველად არჩეულ სტატიას. ასე რომ, შეიძლება ითქვას, საგაზეთო სტატიისადმი ორივე სახის მოდალობის მისადაგება შეიძლება. სუბიექტური მოდალობა მივუსადაგე იმიტომ, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტები თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატევენ ტექსტში ასახული სიტუაციის მიმართ. ობიექტური მოდალობა კი — იმიტომ, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი თავად არ არის ჩართული ტექსტში, იგი სრულიად ობიექტურად ასახავს სიტუაციას.

ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, უბრალოდ ვიტყვი, დაწვრილებით განხილვას აღარ შევუდგები, რომ შეფასების, ემოციურობის და დისტანტურობის კატეგორიები თავისუფლად მივუსადაგე აღნიშნულ საგაზეთო სტატიას, ვინაიდან ისინი პირადად არიან ჩართული ტექსტში და ამდენად მოვლენის შეფასებასაც ახდენენ და თავიანთ ემოციებსაც გამოხატავენ.

ასე რომ, საგაზეთო ტექსტში პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან, განვიხილე არა მხოლოდ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, არამედ მასზე დამოკიდებული ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე.

მსმენელ სუბიექტზე ორიენტირებულ პრაგმატიკულ კატეგორიებთან დაკავშირებით ვიტყვდი, რომ საგაზეთო ტექსტისთვის სამივე კატეგორიის — ინფორმაციულობის ექსპრესიულობის და გამჭვირვალობის — მისადაგებაა შესაძლებელი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ სხვა სტილის ტექსტებთან

შედარებით, რომლებიც მე განვიხილე, საგაზეთო ტექსტი ყველაზე ინფორმაციული, გამჭვირვალე და ექსპრესიულია. ამ მხრივ, კომუნიკაციაც ყველაზე ეფექტურია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ დიკენსს, რომელთანაც კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორია ცალკე გამოვყავი.

*მეხუთე თავში* პრაგმატიკული კატეგორიები განვიხილე სამეცნიერო სტატიების მიხედვით; კერძოდ, ისტორიული, ლიტერატურული და ბიოლოგიური სამეცნიერო სტატიების მიხედვით.

პრაგმატიკული კატეგორიების ამ ტიპის სტატიების მიხედვით განხილვის დაწყებამდე, საერთოდ სამეცნიერო სტატიის აგებულებასა და მისი წერის მანერაზე ვამბობ ორიოდ სიტყვას; რა ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს სამეცნიერო სტატია. თითოეულ ნაწილს ვასახელებ და ვახასიათებ.

ბიოლოგიის დარგში შესრულებული სამეცნიერო სტატია არჩეული მაქვს ინტერნეტ ვებ გვერდიდან: [www.scientificarticles.com](http://www.scientificarticles.com) / [www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science), 104. სტატიის სათაურია: *“Living Longer: Science”*. ამ სტატიის განხილვიდან გამომდინარე, აღვნიშნე რომ მასში სამეცნიერო სტატიის ყველას მოთხოვნა არაა გათვალისწინებული, მასში სამეცნიერო სტატიის ყველა ნაწილია წარმოდგენილი გარდა ერთისა – ჩამოტანილი შენიშვნების ნაწილისა.

ეს რაც შეეხებოდა, ბიოლოგიური სამეცნიერო სტატიის აგებულებას, ჩვენ დავინახეთ აკმაყოფილებდა თუ არა დასახელებული სამეცნიერო სტატია სამეცნიერო სტატიის გასათვალისწინებელ მოთხოვნებს, ის ნაწილობრივ აკმაყოფილებდა.

შემდეგ გადავედი ამ სამეცნიერო სტატიის პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვაზე. საგაზეთო სტატიის მსგავსად ამ სამეცნიერო სტატიაშიც გვაქვს ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და რამდენიმე მისი ქვე სუბიექტი.

ძირითადმა მეტყველმა სუბიექტმა შექმნა ტექსტი, ის მითითებულია სტატიის თავში, *Joe Treen*, თხრობა III პირში მიმდინარეობს, საკუთრივ ტექსტში კი გამოყვანილნი არიან კიდევ სხვა სუბიექტები, რომელთაც მე ქვე სუბიექტები ვუწოდებ, თითოეული მათგანი პირადად არის ჩართული ამ

ტექსტში და თავის აზრს გამოხატავს, თავის კვლევის შედეგებს გვამცნობს სტატიაში დასმულ საკითხზე, რა განაპირობებს ადამიანის ან ცხოველის დიდხანს სიცოცხლეს. საგაზეთო სტატიის მსგავსად ამ სამეცნიერო სტატიაშიც ნათქვამი სქემითაც წარმოვადგინე.

ვინაიდან ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაშიც, საგაზეთო სტატიის მსგავსად ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და ათი მისი ქვე სუბიექტია, პრაგმატიკული კატეგორიები ჯერ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე განვიხილეთ და შემდეგ მისი ქვე სუბიექტებიდან – გამომდინარე.

ზემოთ დასახელებული სამეცნიერო სტატიის ანალიზს ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე პრაგმატიკული კატეგორიებით ვიწყებ.

ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან: პერსონალური, ტემპორალური და ლოკალური, პერსონალური ასპექტი ტექსტში ჩანს, მართალია ძირითადი მეტყველი სუბიექტი მესამე პირში მოგვეთხრობს, მაგრამ იგი ჩართულია მთელ ტექსტში და მთელ ტექსტს გასდევს. სწორედ ძირითადი მეტყველი სუბიექტი იწყებს თხრობას და მსმენელ სუბიექტებს, ანუ ადრესატებს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის სტატიაში დასმულ საკითხზე – სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. მინდა დავსძინო, რომ ჩემს მიერ გამოკვლეულ ყოველ საკითხს განსახილველად არჩეული ტექსტებიდან მოყვანილი მაგალითებით უფრო ნათლად წარმოვადგენ.

რაც შეეხება ლოკაციის კატეგორიის მეორე – ტემპორალურ ასპექტს ისევ და ისევ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ის აშკარად თვალნათლივ არის წარმოდგენილი. ის სტატიის სათაურის ქვემოთ გვხვდება.

რაც შეეხება ლოკალურ ასპექტს ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ ის ამ სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილი არაა. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ლოკაციის კატეგორიის მხოლოდ ორი ასპექტია წარმოდგენილი – პერსონალური და ტემპორალური. ლოკალური ასპექტი ამ შემთხვევისათვის, მასში წარმოდგენილი არაა.

რაც შეეხება მოდალობის კატეგორიას ისევ და ისევ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე. საერთოდ ერთმანეთისგან განარჩევენ სუბიექტურ და ობიექტურ მოდალობას. წინა თავებში აღვნიშნე, რომ

ობიექტური მოდალობა მხატვრულ ტექსტს არ ახასიათებს. ამ სამეცნიერო სტატიასაც, საგაზეთო სტატიის მსგავსად, იმ შემთხვევისათვის, რომელსაც ამჟღერად განვიხილავ, სწორედ ობიექტური მოდალობა შეეფერება. ობიექტური მოდალობა, ეს ხომ ტექსტში ასახული სიტუაციის დამოკიდებულებაა რეალობასთან. ძირითადი მეტყველი სუბიექტი, ჩემი აზრით, თავის განცდებსა და ემოციებს წინამდებარე სტატიაში არ გამოხატავს. იგი სრულიად ობიექტურად აღარებს ერთმანეთს ადამიანსა და ცხოველს, მათ შორის განსხვავებასაც მე ვთვლი, რომ ზომიერად ობიექტურად წარმოგვიდგენს.

ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე განვიხილეთ ემოციურობის, შეფასებისა და დისტანტიურობის კატეგორიებიც. ამ შემთხვევაში ემოციურობის კატეგორია ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიას არ მიესადაგება, რადგან ძირითადი მეტყველი სუბიექტი ანუ წამყვანი ადრესანტი თავის ემოციების გამოხატვისაგან სტატიაში თავს იკავებს და, ჩემი აზრით, საკმაოდ ობიექტურად მიყავს თხრობა, მსმენელ სუბიექტებს ანუ ადრესატებს სტატიაში დასმულ საკითხზე – სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ანუ იმაზე, თუ რა განაპირობებს ადამიანის ან ცხოველის დიდხანს სიცოცხლეს, უქმნის გარკვეულ წარმოდგენას.

ვერც შეფასების კატეგორია მიუუსადაგე ამ სამეცნიერო სტატიას ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, რადგან მასში იგი იმას კი არ გვიჩვენებს, თვითონ როგორ აფასებს ტექსტში დასმულ საკითხს, არამედ პატარა შესავალს უკეთებს სტატიას და შემდეგ სხვადასხვა მკვლევართა და მეცნიერთა კვლევის შედეგებსა და აზრებს წარმოგვიდგენს.

რაც შეეხება დისტანტიურობის კატეგორიას, მივიჩნევ, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ამ კატეგორიის მისადაგება დასახელებული სამეცნიერო სტატიისადმი სავსებით შესაძლებელია, რადგან ძირითადი მეტყველი სუბიექტი ანუ ადრესანტი პირადადაა ჩართული ტექსტში.

შემდეგ განვიხილეთ პრაგმატიკული კატეგორიები ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან პერსონალური და ტემპორალური ასპექტები შეიცვლება, ხოლო ლოკალური ასპექტი კი ამ შემთხვევაშიც არ გაქვს წარმოდგენილი. ძირითადი მეტყველი სუბიექტის თითოეული ქვე სუბიექტი პირადად არის ჩართული ტექსტში და თავისი აზრი და შეხედულებები



გააჩნია ტექსტში დასმულ საკითხზე. მთავარი ადრესანტის თითოეული ქვე სუბიექტი ჩემი სადისერტაციო ნაშრომის მეხუთე თავში ჩამოთვლილია.

ორი სახის მოდალობიდან, ამ შემთხვევისათვის, სუბიექტური მოდალობა მიუუსადაგე ამ სამეცნიერო სტატიას; მივიჩნიე, რომ საგაზეთო სტატიის მსგავსად ამ სამეცნიერო სტატიისადმი ორივე სახის მოდალობის მიყენებაა შესაძლებელი. სუბიექტური იმიტომ მიუუსადაგე, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტები თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ ტექსტში ასახული სიტუაციის მიმართ. ობიექტური კი იმიტომ მიუუსადაგე რომ მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი თავადაც ჩართულია ტექსტში, ის თავის ემოციების გამოხატვისაგან და გარკვეული შეფასებების კეთებისაგან სტატიაში თავს იკავებს და, ჩემი აზრით, საკმაოდ ობიექტურად მიყავს თხრობა, მსმენელ სუბიექტებს ანუ ადრესატებს სტატიაში დასმულ საკითხზე – სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ანუ იმაზე, თუ რა განაპირობებს ადამიანის ან ცხოველის დიდხანს სიცოცხლეს, უქმნის გარკვეულ წარმოდგენას.

შეფასების კატეგორიის მისადაგება დასახელებული სამეცნიერო სტატიისადმი ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებლად მივიჩნიე, რადგან თითოეული ქვე სუბიექტი თავისებურად აფასებს ტექსტში დასმულ საკითხს და ამ საკითხზე თავისებური შეხედულებები და აზრები გააჩნია.

ემოციურობის კატეგორიის სამეცნიერო სტატიისადმი მისადაგება ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, ისევე როგორც ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, შეუძლებლად მივიჩნიე. მიუხედავად იმისა, რომ ემოციები განყენებულად არ არსებობენ და ისინი ყველა ადამიანშია, მაინც ვერ მიუუსადაგე ეს კატეგორია დასახელებულ სამეცნიერო სტატიას, იმიტომ რომ სამეცნიერო სტატიებში, ჩემი აზრით, კვლევის შედეგებია ნაჩვენები და ფაქტების დემონსტრირება ხდება ყოველგვარი ემოციების გარეშე.

ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე სამეცნიერო სტატიისადმი შემდეგი კატეგორიის – დისტანტურობის კატეგორიის მისადაგება სავსებით შესაძლებლად მივიჩნიე, იმიტომ რომ ეს ქვე სუბიექტები ხომ პირადად არიან ჩართული ტექსტში.

ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს იმას, რომ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში, ისევე როგორც საგაზეთო სტატიაში, მეტყველ სუბიექტთან ანუ ადრესანტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, არამედ მისი ქვე სუბიექტებიდან გამომდინარეც.

შემდეგ, გადავდივარ მსმენელ სუბიექტზე ანუ ადრესატზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიების დასახელებული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვაზე.

საერთოდ, ნებისმიერი ტექსტი თავის თავში შეცავს ინფორმაციულობას, ამ მხრივ სამეცნიერო სტატიის დასახელებული ტიპი – სტატია რომელიც ბიოლოგიის დარგშია (სფეროშია) შექმნილი, გამონაკლისს არ წარმოადგენს. ისიც გარკვეულწილად ინფორმაციის მატარებელია და ამდენად, ინფორმაციულად მივიჩნევ.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით, დასახელებული სამეცნიერო სტატია მე გაუმჭვირვალედ ჩავთვალე. იმიტომ, რომ მასში ჩემი აზრით, გამჭვირვალობის არცერთი ფაქტორი არაა მოცემული. კერძოდ, ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირი ვერ იქნება მთავარი ადრესანტის, მისი ქვე სუბიექტებისათვის და ადრესატისათვის; ვერც კომუნიკაციური სიტუაცია იქნება იდენტური მათთვის, ვერც კომუნიკანტთა თეზაურუსები, ფონური ცოდნა და სამყაროს ხატი ვერ დაემთხვევა ერთმანეთს; იმიტომ რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს მოღვაწეობს, მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი ვერანაირად ვერ იქნება მსგავსი. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ ადრესატთა სხვადასხვა ტიპი არსებობს, ზოგისთვის ეს სამეცნიერო სტატია შეიძლება გასაგები იყოს, ზოგისთვის აბსოლიტურად ბუნდოვანი აღმოჩნდეს, ანუ იმათთვის, ვინც ბიოლოგიის სფეროში კარგად არ არიან ჩახედულნი სტატიაში ასეთი ტერმინებით გაჯერებულმა ადგილებმა შეიძლება მათი დაბნევა გამოიწვიოს, თუმცა სტატია ინფორმაციულობის თვალსაზრისით აშკარად გარკვეული ინფორმაციის მიმწოდებელი იქნება ყველა ტიპის მკითხველისთვის, მაგრამ გამჭვირვალე ვერ იქნება. ასე რომ მე ამ ტიპის სამეცნიერო სტატიას გაუმჭვირვალედ მივიჩნევდი.

რაც შეეხება ექსპრესიულობის კატეგორიას, დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ექსპრესიულობის ორი ფუნქციური მომენტი მთლად ვერ ერწყმის

ერთმანეთს; შესაძლოა ადრესანტი ჩაფიქრებულ ზეგავლენას ახდენს ადრესატზე, მაგრამ მთლად ვერ ამოწურავს დასმულ საკითხს, ანუ დასმულ საკითხზე ერთ ამოხსნას ვერ პოულობს; საკითხი ერთია: რა განაპირობებს ადამიანის ან ცხოველის დიდხანს სიცოცხლეს და პასუხი კი – მრავალი; სხვადასხვა მკვლევართა კვლევის შედეგებია წარმოდგენილი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა თითქოს პრობლემა მაინც სრულად გადაჭრილი არაა; ანუ ყველა წარმოდგენილი მკვლევარი თავის აზრს გეთავაზობს და ისინი ერთ საერთო დასკვნამდე მაინც ვერ მიდიან. ისევ ძირითადი მეტყველი სუბიექტი ასკვნის საბოლოოდ.

კომუნიკაციური ეფექტურობა ვერ ემყარება ვერც ადრესანტის კომუნიკაციურ ინტენციას და ვერც მის მიერ სამყაროს იმ ხატის ადეკვატურ გათვალისწინებას, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისთვის. ასე რომ დასახელებული სამეცნიერო სტატია არა ექსპრესიულია. ჩემი კვლევიდან გამომდინარე ის მხოლოდ ინფორმაციულია, არა ექსპრესიული და გაუმჭვირვალე.

სამეცნიერო სტატიის ამ ტიპის შემთხვევაში, ვგულისხმობ იმას, რომ ეს ბიოლოგიური სამეცნიერო სტატიაა, მინდა დავამატო, რომ მასში აქცენტი ძირითად მეტყველ სუბიექტზე და მის ქვე სუბიექტებზეა; თუმცა არ უარყოფ იმ ფაქტსაც, რომ საერთოდ ტექსტი იქმნება იმისთვის, რომ ვიღაცამ წაიკითხოს, ანუ ყველა ტექსტს ჰყავს თავისი ადრესატი, ხოლო ის თუ როგორ არიან პრაგმატიკული კატეგორიები მასში წარმოდგენილი, ზემოთ თვალნათლივ გამოვაგლინე. ამ თავში ჩემი მიზანი იყო, სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო სტატია პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განმეხილა და შემდეგ მათი ერთმანეთთან შედარება მომეხდინა.

ბიოლოგიური სამეცნიერო სტატიის პრაგმატიკული კატეგორიების განხილვის შემდეგ, გადავდივარ ისტორიული სამეცნიერო სტატიის განხილვაზე, რომელიც ასევე ინტერნეტიდან მაქვს ამორჩეული შემდეგი ვებ გვერდიდან: [www.historicalrenewal.com/articles/women\\_church\\_history](http://www.historicalrenewal.com/articles/women_church_history), 105. სტატიის სათაური: **“Women in the history of the Church”**.

ამ სამეცნიერო სტატიის პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვის დაწყებამდე, ისევე როგორც ბიოლოგიური სტატიის, გამოვიკვლიე, ჩემს ნაშრომში წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიის გასათვალისწინებელი მოთხოვნები მასში წარმოდგენილი იყო თუ არა.

თავდაპირველად, აღვნიშნავ, რომ საერთოდ, ისტორიის ჟანრში შესრულებული ნამუშევრები, სტატია იქნება ეს, წიგნი, ნახატი, თუ ლექსი, გარკვეულ ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა. მეტყველი სუბიექტები ანუ სტატიის შემქმნელები, ამ შემთხვევაში ისტორიული სამეცნიერო სტატიის შემქმნელები, სხვადასხვა ისტორიული ლიტერატურის გამოყენებით ქმნიან სტატიას.

წინა სამეცნიერო სტატიაში, კერძოდ, ბიოლოგიურ სამეცნიერო სტატიაში ძირითადი მეტყველი სუბიექტის მიერ სტატიაში დასმულ საკითხზე სხვადასხვა მკვლევართა ანუ როგორც მე მათ განხილვისას ვუწოდებ, ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტთა კვლევის შედეგები და მათი აზრებია წარმოდგენილი. ჩემ მიერ პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განსახილველად არჩეულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიაში კი, გვყავს ძირითადი მეტყველი სუბიექტი, რომელსაც მიყავს თხრობა და სხვადასხვა რელიგიურ თუ ისტორიულ წიგნებსა და სამეცნიერო სტატიებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ქალთა საქმიანობაზე და როლზე ეკლესიის ისტორიაში, ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტები, რომელთა ნამუშევრებსაც ის იყენებს და კიდევ მათი ქვე სუბიექტები, რომლებიც მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტთა წიგნებში არიან გამოყვანილნი.

სტატია ორი ნაწილისაგან შედგება. მეტყველი სუბიექტი ანუ ადრესანტი მითითებულია სათაურის ქვემოთ.

ისტორიული სამეცნიერო სტატიის აგებულების გამოკვლევიდან გამომდინარე, დავინახე, რომ სამეცნიერო სტატიის ფორმატი, ბიოლოგიური სამეცნიერო სტატიის მსგავსად, მასშიც დარღვეულია; სამეცნიერო სტატიის ყველა ნაწილი არაა წარმოდგენილი.

ისტორიული სამეცნიერო სტატიის აგებულების გამოკვლევის შემდეგ, გადავდივარ მისი პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვაზე.

დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიაში გვყავს მთავარი მეტყველი სუბიექტი, ის ვინც შექმნა სტატია, მისი ქვე სუბიექტები, რომელთა ნამუშევრებსაც იყენებს ძირითადი მეტყველი სუბიექტი და კიდევ მათი ქვე სუბიექტები, რომლებიც ამ მეორად მეტყველ სუბიექტთა წიგნებში არიან გამოყვანილნი. აქედან გამომდინარე, ამ დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიას ჯერ ძირითად მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განვიხილავ, შემდეგ მის ქვე

სუბიექტებთან დაკავშირებულ პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით და ბოლოს, ამ ქვე სუბიექტების ქვე სუბიექტების მიხედვით.

ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიაში ლოკაციის კატეგორიის პერსონალური ასპექტი აშკარად მოცემულია, ის სტატიის დაწყებამდე, სათაურის ქვემოთ გვხვდება. მას მიყავს თხრობა, თუმცა მთავარი ადრესანტი პირველ პირში არ საუბრობს. თხრობა III პირში მიმდინარეობს და იგი სტატიაში მის მიერვე წარმოდგენილ თემაზე – ქალები ეკლესიის ისტორიაში, ისტორიული ფაქტების მოშველიებით მოგვითხრობს.

პირველი შემთხვევიდან გამომდინარე, ლოკაციის კატეგორიის ტემპორალური და ლოკალური ასპექტები ამ დასახელებულ სტატიაში არაა მოცემული, არც ის ჩანს, თუ სად დაწერა ეს სტატია მთავარმა ადრესანტმა და არც ის თუ როდის დაწერა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან: პერსონალური, ტემპორალური და ლოკალური, მხოლოდ პერსონალურია მოცემული, ისიც არაა პირდაპირ, შეიძლება ითქვას, რომ ეს კატეგორია მთავარი ადრესანტიდან გამომდინარე არაა წარმოდგენილი ამ დასახელებულ სტატიაში.

პირველი შემთხვევიდან გამომდინარე, არც ემოციურობის და არც დისტანტურობის კატეგორიები არაა წარმოდგენილი ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში. ემოციურობის კატეგორია იმიტომ არაა წარმოდგენილი, რომ ეს სტატია ისტორიულია და მასში ძირითადი მეტყველი სუბიექტის არანაირი ემოცია არ ჩანს, ის უბრალოდ ისტორიული ფაქტების დემონსტრირებას ახდენს. დისტანტურობის კატეგორია იმიტომ არაა წარმოდგენილი ამ სტატიაში, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი პირადად არაა ჩართული იმ ფაქტებში, რომლებსაც იგი გადმოგვცემს, ის უბრალოდ მოგვითხრობს ქალებზე ეკლესიის ისტორიაში და იმ დროს წარმოგვიდგენს, როდესაც ის არც დაბადებული იქნებოდა და ვერც პირადად მიიღებდა მონაწილეობას სტატიაში აღწერილ ისტორიულ ფაქტებში.

რაც შეეხება შეფასების კატეგორიას, ისევ და ისევ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ვიტყვით, რომ ის წარმოდგენილია ამ დასახელებულ სტატიაში, იმიტომ რომ სტატიის შესავალში მთავარი ადრესანტი იმ მასალის წარმოგვიდგენისას, რომელიც ეკლესიის ისტორიაში ქალების როლზე მოგვითხრობს, ახდენს გარკვეულ შეფასებას, რომელი

უფრო უკეთ გადმოგვცემს ამ საკითხს და სხვებთან შედარებით უპირატესობას *Ruth A. Tucker-ისა* და *Walter Liefeld-ის* წიგნს *“The Daughters of the Church”*-ს ანიჭებს.

მთავარი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ორი სახის მოდალობის კატეგორიიდან, სუბიექტურიდან და ობიექტურიდან, დასახელებულ სტატიას ობიექტურს მიუვსადაგებდი, იმიტომ რომ მასში მთავარი ადრესანტის პირადი აზრი თავისივე სტატიაში დასმულ საკითხზე არაა გამოთქმული იმ მიზეზით, რომ სტატია ისტორიულია და მასში მისი დამწერის პირადი აზრები კი არა ფაქტებია მთავარი.

მთავარი ადრესანტიდან გამომდინარე პრაგმატიკული კატეგორიების ისტორიული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვისას, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მოდალობისა და შეფასების კატეგორიებია მასში წარმოდგენილი.

შემდეგ გადავდივარ მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტებთან დაკავშირებულ კატეგორიების დასახელებული ისტორიული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვაზე.

დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიაში მთავარი მეტყველი სუბიექტის ხუთი ქვე სუბიექტია: *Rosemary Ruether, Rosemary Keller, Sharon K. Elkins, Ruth Tucker* და *Walter Liefeld*, რომელთა ისტორიულ ნაშრომებსაც ასახელებს მთავარი ადრესანტი. ამათგან ორი – *Ruth Tucker* და *Walter Liefeld-ი*, აქტიურად მივიჩნიე, იმიტომ რომ სწორედ მათი წიგნის მიხედვით მოგვითხრობს ძირითადი მეტყველი სუბიექტი ქალების როლზე ეკლესიის ისტორიაში. ხოლო დანარჩენები – *Rosemary Ruether, Rosemary Keller, Sharon K. Elkins*, კი – პასიურად, იმიტომ რომ მთავარი ადრესანტი მათ უბრალოდ ასახელებს.

ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, მათთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიებიდან მხოლოდ მოდალობისა და ლოკაციის (ისიც არა სრულად) არის მოცემული დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიაში.

ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან: პერსონალური, ლოკალური და ტემპორალური, პერსონალურის გარდა, ისიც არა პირდაპირაა მოცემული, არცერთი არაა წარმოდგენილი ამ სტატიაში იმ შემთხვევისათვის, რომელსაც ახლა განვიხილავ. პერსონალური ასპექტი წარმოდგენილია არა პირდაპირ,

თუმცა რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ თვითონ არ ჩანს და პირადად არაა ჩართული ტექსტში, არც ის ჩანს რომელ წელს და სად შექმნეს ამ სუბიექტებმა *Ruth Tucker* – მა და *Walter Liefeld* – მა თავიანთი წიგნი *“The Daughters of the Church”*. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ლოკაციის კატეგორია სრულად არაა წარმოდგენილი, ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე ამ დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიაში, რადგან ამ კატეგორიის მხოლოდ ერთი ასპექტი - პერსონალურია მოცემული.

ემოციურობის და შეფასების კატეგორიები იმიტომ არაა წარმოდგენილი ამ შემთხვევისათვის წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი, რომ მთავარი სუბიექტების ქვე სუბიექტთა არანაირი ემოცია და შეფასება არ ჩანს მათ მიერ შექმნილ, სტატიაში დასახელებულ წიგნში.

დისტანტურობის კატეგორიას იმიტომ ვერ მივუსადაგებდი ამ დასახელებულ სტატიას ამ შემთხვევისათვის, რომ მთავარი ადრესანტების ქვე სუბიექტები პირადად არ არიან ჩართული თავიანთ წიგნში. მათ სხვადასხვა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შექმნეს თავიანთი წიგნი.

რაც შეეხება მოდალობის კატეგორიას, ამ შემთხვევისათვის, ორი სახის მოდალობიდან – ობიექტურიდან და სუბიექტურიდან, ობიექტური მივუსადაგე ამ დასახელებულ სტატიას, იმიტომ რომ მასში ნახსენებ წიგნში, მისი შემქმნელები ობიექტურად მოგვითხრობენ ისტორიულ ფაქტებს, რომლებსაც შემდეგ წინამდებარე სტატიის შემქმნელი – მთავარი ადრესანტი იყენებს თავის სტატიაში.

ეს, რაც შეეხებოდა მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტებთან დაკავშირებულ პრაგმატიკული კატეგორიების ისტორიული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვას, შემდეგ გადავდივარ ამ ქვე სუბიექტთა კიდევ ქვე სუბიექტებთან დაკავშირებულ პრაგმატიკული კატეგორიების იგივე სტატიის მიხედვით განხილვაზე.

ამ დასახელებულ ისტორიულ სტატიაში მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტების კიდევ 44 ქვე სუბიექტია. თითოეული მათგანი დასახელებულია წინამდებარე ნაშრომში. ისინი პირადად არიან ჩართულნი ამ დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიაში; ანუ ლოკაციის კატეგორიის პერსონალური ასპექტი მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტების კიდევ ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე აშკარად მოცემულია მასში და გარკვეული

ცვალებადობით ხასიათდება. ამავე კატეგორიის მეორე და მესამე – ლოკალური და ტემპორალური ასპექტებიც იცვლებიან ამ შემთხვევიდან გამომდინარე. ყოველივე ამის უფრო ნათლად საჩვენებლად მომყავს ნაწყვეტები საკუთრივ სტატიდან.

რაც შეეხება, ემოციურობისა და შეფასების კატეგორიებს მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტების კიდევ ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, არცერთი მათგანი არაა მოცემული ამ დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიაში. აღვნიშნავ, რომ მასში და არა მხოლოდ მასში, საერთოდ ისტორიულ სტატიებში ხდება ისტორიული ფაქტების დასახელება და აღწერა, მათში არანაირი ემოცია და შეფასება არ შეინიშნება.

ვინაიდან და რადგანაც, ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტთა ქვე სუბიექტები პირადად არიან ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ჩართულნი, დისტანტურობის კატეგორიის მისადაგება ამ შემთხვევისათვის, სავსებით შესაძლებლად მივიჩნე.

ორი სახის მოდალობიდან – სუბიექტურიდან და ობიექტურიდან, აღნიშნული შემთხვევიდან გამომდინარე, ობიექტური მივუსადაგე ამ დასახელებულ ისტორიულ სამეცნიერო სტატიას, რადგან, ჩემი აზრით, საკმაოდ ობიექტურად ხდება ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მკითხველებამდე ანუ ადრესატებამდე მიტანა.

ადრესანტებთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების დასახელებული ისტორიული სამეცნიერო სტატიის განხილვის შემდეგ, მსმენელ სუბიექტებთან ანუ ადრესატებთან დაკავშირებული კატეგორიების იგივე სტატიის მიხედვით განხილვაზე გადავდივარ.

ისევე როგორც ყველა ტიპის ტექსტი თავის თავში შეიცავს გარკვეულ ინფორმაციულობას, ეს ისტორიული სამეცნიერო სტატიაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ის, რა თქმა უნდა, გარკვეული ისტორიული ინფორმაციის მომწოდებელია; ანუ სამეცნიერო სტატიის ეს ტიპი ინფორმაციულად ითვლება.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით, დასახელებული სამეცნიერო სტატია მე გაუმჭვირვალედ მივიჩნე. იმიტომ რომ მასში ჩემი აზრით, გამჭვირვალობის არცერთი ფაქტორი არაა მოცემული. კერძოდ, ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირი ვერ იქნებოდა მთავარი ადრესანტისათვის, მისი ქვე სუბიექტებისთვის, ამ ქვე სუბიექტთა კიდევ ქვე



სუბიექტებისთვის და ადრესატისთვის, ვერც კომუნიკაციური სიტუაცია იქნებოდა იდენტური მათთვის, ვერც კომუნიკანტთა თეზაურუსები, ფონური ცოდნა და სამყაროს ხატი ვერ დაემთხვეოდა ერთმანეთს; იმიტომ რომ მთავარი ადრესანტი იქნება, მისი ქვე სუბიექტები იქნებიან, თუ კიდევ მათი ქვე სუბიექტები ან ადრესატები, თითოეული მათგანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას მოღვაწეობს, ერთნაირი ვერც სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი ექნებოდათ, და ვერც ერთსა და იმავე დროს მოუწევდათ მოღვაწეობა. იმასაც აღვნიშნავ, რომ ადრესატთა სხვადასხვა ტიპი არსებობს, ზოგისთვის ეს სამეცნიერო სტატია შეიძლება გასაგები იყოს, ზოგისთვის აბსოლიტურად ბუნდოვანი, ან ცოტათი გაუგებარი აღმოჩნდეს, ანუ იმათთვის, ვინც ისტორიას და რელიგიას კარგად არ იცნობენ, კარგად არ არიან ჩახედულნი ისტორიულ ან რელიგიურ საკითხებში, სტატიაში ასეთი ტერმინებით გაჯერებულმა ადგილებმა შეიძლება მათი დაბნევა გამოიწვიოს, თუმცა სტატია ინფორმაციულობის თვალსაზრისით აშკარად გარკვეული ინფორმაციის მიმწოდებელი იქნება ყველა ტიპის მკითხველისთვის, მაგრამ გამჭვირვალე ვერ იქნება. ასე რომ მე ამ ტიპის სამეცნიერო სტატია გაუმჭვირვალედ მივიჩნე.

რაც შეეხება ექსპრესიულობის კატეგორიას, დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში ექსპრესიულობის ორი ფუნქციური მომენტი ჩემი აზრით, ერწყმის ერთმანეთს; ადრესანტი ჩაფიქრებულ ზეგავლენას ახდენს ადრესატზე. სტატიაში აბსოლიტურად ამომწურავი ინფორმაციაა მოცემული ქალების შესახებ ეკლესიის ისტორიაში. მთავარი მეტყველი სუბიექტი მის მიერ შერჩეული ქვე სუბიექტების *Ruth Tucker* – ისა და *Walter Liefeld* – ის წიგნის *“The Daughters of the Church”* მიხედვით მოგვითხრობს სტატიაში მის მიერვე დასმულ საკითხზე. გამოკვლევებიდან გამომდინარე, წინამდებარე ისტორიული სამეცნიერო სტატია მე ექსპრესიულად მივიჩნე.

სამეცნიერო სტატიის ამ ტიპის შემთხვევაში, ვგულისხმობ იმას, რომ ეს ისტორიული სამეცნიერო სტატიაა, დავსძენ, რომ მასში აქცენტი ძირითად მეტყველ სუბიექტზე, მის ქვე სუბიექტებზე და კიდევ მათ ქვე სუბიექტებზეა და რა თქმა უნდა ამ სტატიაში მათთან დაკავშირებული კატეგორიები სჭარბობს, თუმცა ბიოლოგიურ სამეცნიერო სტატიისგან განსხვავებით, ეს ისტორიული სამეცნიერო სტატია ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და

ექსპრესიულია, მაშინ როდესაც ბიოლოგიური სამეცნიერო სტატია ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და არა ექსპრესიულად მივიჩნე.

ისტორიული სამეცნიერო სტატიის პრაგმატიკული კატეგორიების განხილვის შემდეგ გადავდივარ ლიტერატურული სამეცნიერო სტატიის პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვაზე.

ლიტერატურული სამეცნიერო სტატია ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ “ცისკრის” ( 106 ) 1971 წლის 4 აპრილის ნომრიდან ამოვარჩე. ეს ჟურნალი ქართულ ენაზე გამოდიოდა და შესაბამისად სტატიაც ქართულ ენაზეა. ესაა **ზვიად გამსახურდიას** ლიტერატურული სამეცნიერო სტატია სათაურით: **“ტრადიციის გაგება ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში”**.

დასახელებული სამეცნიერო სტატიის პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვის დაწყებამდე, ვიკვლევ, არის თუ არა წინამდებარე ნაშრომში ნახსენები სამეცნიერო სტატიის გასათვალისწინებელი მოთხოვნები მასში წარმოდგენილი და შემდეგ განვიხილავ მას პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით.

თავდაპირველად, ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიების თაობაზე ჩემს აზრს წარმოვადგენ; ჩემი აზრით, ლიტერატურული სამეცნიერო სტატიები სამეცნიეროც არის და მხატვრული ლიტერატურის ჟანრსაც მიეკუთვნება, იმიტომ რომ მათში ძირითადად მხატვრული ლიტერატურის შედევრები განიხილება სამეცნიერო ენით. ზემოთ განხილულ საგაზეთო სტატიას, ბიოლოგიურ და ისტორიულ სამეცნიერო სტატიებს მხატვრულ ლიტერატურასთან არავითარი კავშირი არ აქვთ, ხოლო ლიტერატურული სამეცნიერო სტატია კი მხატვრული ლიტერატურის ჟანრს მიეკუთვნება. ეს არის პირველი ძირითადი განსხვავება ჩემ ნაშრომში პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განსახილველად არჩეულ სტატიებს შორის – საგაზეთო და სამეცნიერო; საკუთრივ სამეცნიერო სტატიებს შორის.

ამის შემდეგ კი ვიკვლევ, რამდენად არის სამეცნიერო სტატიის გასათვალისწინებელი მოთხოვნები დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში გათვალისწინებული.

გამოკვლევიდან გამომდინარე დავასკეენი, რომ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში, ჩემს მიერვე წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიის ყველა მოთხოვნა არაა გათვალისწინებული; მასში სამეცნიერო სტატიის ყველა ნაწილია

წარმოდგენილი გარდა რეზიუმესი და შედეგების ნაწილისა; ანუ სამეცნიერო სტატიის ფორმატი ამ წინამდებარე სტატიაშიც დარღვეულია.

ეს, რაც შეეხებოდა ზოგადად სამეცნიერო სტატიის აგებულებას, წინამდებარე ნაშრომში დავინახეთ, თუ რამდენად აკმაყოფილებდა დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატია სამეცნიერო სტატიის გასათვალისწინებელ მოთხოვნებს; დავინახეთ, რომ ეს მოთხოვნები მასში დარღვეულია, სრულად არ არის გათვალისწინებული.

ამის შემდეგ გადავდივარ დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატიის პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვაზე.

ამ დასახელებულ სამეცნიერო სტატიაში, ჩემი აზრით, გვყავს ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი, რომელმაც შექმნა წინამდებარე სტატია და მისი ერთი ქვე სუბიექტი, რომელზეც საუბარია მასში.

წინამდებარე სტატიაში მთავარი ადრესანტი არის ზვიად გამსახურდია, მან დაწერა ეს სტატია, ხოლო მისი ქვე სუბიექტია ტომას სტერნზ ელიოტი, რომლის შემოქმედებასაც მიმოიხილავს მთავარი ადრესანტი.

პრაგმატიკულ კატეგორიებს განვიხილავ ჯერ მთავარი ადრესანტიდან გამომდინარე, ხოლო შემდეგ მისი ქვე სუბიექტიდან გამომდინარე.

ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან: პერსონალური, ლოკალური და ტემპორალური, მხოლოდ პერსონალურია წარმოდგენილი, თხრობა ხან პირველ პირში მიმდინარეობს, ხან III პირში და ითვლება, რომ მთავარი ადრესანტი სტატიის ბოლომდე გასდევს ტექსტს და მასში თავისი ქვე სუბიექტის იდეების გარდა საკუთარსაც წარმოგვიდგენს. ყოველივე ამის უფრო ნათელსაყოფად მომყავს ნაწყვეტები სტატიიდან.

ისევ და ისევ ამ შემთხვევიდან გამომდინარე, სტატიაში არც ის არის ნაჩვენები სად და არც ის, თუ როდის ხდება მასში წარმოდგენილი რეფერენტული სიტუაცია.

მოდალობის კატეგორიის ორი ტიპიდან – სუბიექტური და ობიექტური, ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ამ დასახელებულ სტატიას სუბიექტური მივუსადაგე, იმიტომ რომ მასში მთავარი ადრესანტის სუბიექტური აზრებიც ნათლად არის წარმოდგენილი. ამის ნათელსაყოფად კვლავ მომყავს ნაწყვეტები სტატიიდან.

დასახელებულ სამეცნიერო სტატიას მიუხედავად ემოციურობისა და შეფასების კატეგორიები ისევ და ისევ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, იმიტომ რომ მთავარი მეტყველი სუბიექტი მთელი სტატიის ფარგლებში გარკვეულ შეფასებებს ახდენს და ადამიანის ემოციებზეც თვითონვე ლაპარაკობს.

მთავარი ადრესანტიდან გამომდინარე, დისტანტურობის კატეგორიაც მიუხედავად ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიას, იმიტომ რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი პირადადაა ჩართული ტექსტში.

როგორც დავინახეთ, ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, ემოციურობის, შეფასების, დისტანტურობის, მოდალობის კატეგორიების მისადაგება სავსებით შესაძლებელია დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატიისადმი, ვინაიდან ლოკაციის კატეგორიის მარტო ერთი ასპექტია წარმოდგენილი, ეს კატეგორია, ჩემი აზრით, არა სრულად არის მოცემული წინამდებარე სტატიაში.

შემდეგ გადავდივარ მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვაზე.

წინამდებარე სტატიაში მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტად მე ტომას სტერნზ ელიოტი მივიჩნე, იმიტომ რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი სწორედ ამ მწერლის შემოქმედებას მიმოიხილავს და მისი სტატიაც მიზნად ისახავს, განსაზღვროს ტრადიციის როლი მის შემოქმედებაში; აგრეთვე მოგვცეს დახასიათება თავად ელიოტის დამოკიდებულებისა ტრადიციის გაგებასთან, რადგან ელიოტისეული გაგება ტრადიციისა ძირეულად განსხვავდება ადრინდელ პოეტთა კონცეპციებისაგან.

მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე ლოკაციის ამ დასახელებული სტატიისადმი მისადაგება, ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია. ამ კატეგორიის სამი ასპექტიდან – პერსონალური, ლოკალური და ტემპორალური, მხოლოდ პერსონალური და ტემპორალურია მოცემული და ამიტომ ლოკაციის კატეგორია ამ შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. ლოკაციის კატეგორიის პერსონალური ასპექტი ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე ხან I პირშია წარმოდგენილი, ხან III- ში.

მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან – ტომას სტერნზ ელიოტიდან გამომდინარე, ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში, ლოკაციის კატეგორიის ტემპორალური ასპექტის არსებობაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ელიოტი მეოცე საუკუნეში დაიბადა და ამ საუკუნეშივე მოღვაწეობდა, მისი ნამუშევრები მეოცე საუკუნეში შეიქმნა; სტატიაში თანამედროვე ეპოქა – მეოცე საუკუნე ნახსენებია არა ერთხელ. ყოველივე თქმულის დასადასტურებლად მომყავს ნაწყვეტები სტატიიდან.

ეს, რაც შეეხებოდა ლოკაციის კატეგორიას მთავარი ადრესანტის – ზვიად გამსახურდიას, ქვე სუბიექტის – ტომას სტერნზ ელიოტიდან გამომდინარე, როგორც დავინახეთ ეს კატეგორია ამ შემთხვევაშიც არასრულად არის წარმოდგენილი, იმიტომ რომ მისი მსოფლიო ორი ასპექტი – პერსონალური და ტემპორალურია მოცემული ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში, ლოკალური ასპექტი ამ შემთხვევიდან გამომდინარე მასში წარმოდგენილი არაა.

შეფასებისა და ემოციურობის კატეგორიებთან დაკავშირებით ვიტყვოდი, რომ ორივე კატეგორია მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია. ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტი – ელიოტი მსჯელობს და გარკვეულ შეფასებებს აკეთებს მთავარი ადრესანტის მიერ სტატიის სათაურშივე დასმულ საკითხზე – ტრადიციის გაგებაზე ელიოტის შემოქმედებაში.

რაც შეეხება ემოციურობის კატეგორიას, ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე, აღვნიშნავ რომ ელიოტი ემოციების თავისებურ გაგებას წარმოგვიდგენს. მას მიაჩნია, რომ ახალ პოეზიაში უნდა მოხდეს ემოციის იმპერსონალური გარდაქმნა, ანუ პოეტმა უნდა მიაღწიოს იმპერსონალურობას, ე. ი. პიროვნებისგან განთავისუფლებას შემოქმედებაში.

აქედან გამომდინარე, მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტის მიხედვით დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილ ემოციურობის კატეგორიისთვის, მე მარტო ემოციურობისა არ დამირქმევია; ამ შემთხვევისათვის ამ კატეგორიისთვის შემოვიტანე ახალი სახელწოდება: იმპერსონალური ემოციურობის კატეგორია.

ე. ი. მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე, დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიას ემოციურობის კატეგორია კი არ

მიუხსადაგე, არამედ იმპერსონალური ემოციურობის კატეგორია. თუ რას ნიშნავს სიტყვა იმპერსონალური მეხუთე თავში განვმარტე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს არის პიროვნებისაგან განთავისუფლება შემოქმედებაში, ანუ პოეტმა თავის თავი უნდა შესწიროს ნაწარმოებს, რომელსაც ჰქმნის.

ორი სახის მოდალობიდან – სუბიექტურიდან და ობიექტურიდან, აღნიშნული შემთხვევიდან გამომდინარე წინამდებარე სტატიას სუბიექტური მოდალობა მიუხსადაგე. იმიტომ, რომ მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტი – ტომას სტერნზ ელიოტი ამ დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში თავის სუბიექტურ აზრებსა და შეხედულებებს წარმოგვიდგენს ძირითადი მეტყველი სუბიექტის მიერ სტატიის სათაურშივე დასმულ საკითხზე – ტრადიციის გაგებაზე ელიოტის შემოქმედებაში. საკუთარი აზრის უფრო ნათლად წარმოსადგენად, მაგალითისათვის ნაწევრები მომყავს საკუთრივ სტატიიდან.

ვინაიდან და რადგანაც, მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტი პირადად არის ჩართული წინამდებარე სტატიაში მიმდინარე თხრობაში, დისტანტურობის კატეგორიის მისადმი მიყენება სავსებით შესაძლებლად მივიჩნე.

როგორც განხილვიდან დავინახეთ, ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიებიდან ამ დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატიისადმი შესაძლებელია შემდეგი კატეგორიების მისადაგება: ლოკაციის (ნაწილობრივ, იმიტომ რომ ამ კატეგორიის სამივე ასპექტი არაა წარმოდგენილი ამ შემთხვევისათვის წინამდებარე სტატიაში), სუბიექტური მოდალობის, დისტანტურობის და შეფასების; ემოციურობის კატეგორიას ცოტა სხვაგვარად მივუდექი ისევ და ისევ თავად მთავარი ადრესანტის ქვე სუბიექტის ემოციურობაზე შეხედულებიდან გამომდინარე. ამ კატეგორიას მე მარტო ემოციურობის ნაცვლად იმპერსონალური ანუ პიროვნების მიღმა ემოციურობის კატეგორია ვუწოდე იმიტომ რომ თავად ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტს – ელიოტს, ჰქონდა ასეთი შეხედულება ემოციურობაზე წინამდებარე სტატიაში.

მთავარ ადრესანტთან და მის ქვე სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების ამ დასახელებული ლიტერატურული სამეცნიერო სტატიის მიხედვით განხილვის შემდეგ, გადავიდვარ მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიების იგივე სტატიის მიხედვით განხილვაზე.

ინფორმაციულობის თვალსაზრისით წინამდებარე სამეცნიერო სტატია ინფორმაციულია, როგორც ყველა ტიპის ტექსტი, ის თავის თავში შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, ამ შემთხვევაში ინფორმაციას ელიოტის შემოქმედებაში ტრადიციის გაგებაზე.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით, დასახელებულ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატია, ისევე როგორც ზემოთ განხილული სამეცნიერო სტატიების ორ ტიპი – ბიოლოგიური და ისტორიული, ასევე გაუმჭვირვალედ მივიჩნე. იმიტომ რომ, რომ არც მასშია გამჭვირვალობის არც ერთი ფაქტორი მოცემული; კერძოდ, ტექსტში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირი ვერ იქნებოდა ვერც მთავარი ადრესანტისათვის, ვერც მისი ქვე სუბიექტისათვის, ვერც ადრესატისათვის ან ადრესატებისათვის; ვერც კომუნიკაციური სიტუაცია იქნებოდა იდენტური მათთვის; ვერც კომუნიკანტთა თეზაურუსები, ფონური ცოდნა და სამყაროს ხატი ვერ დაემთხვეოდა ერთმანეთს; იმიტომ რომ მთავარი ადრესანტი იქნებოდა, მისი ქვე სუბიექტები იქნებოდნენ, თუ კიდევ მათი ქვე სუბიექტები ან ადრესატები, თითოეული მათგანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას მოღვაწეობს, ერთნაირი ვერც სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი ექნებოდათ, და ვერც ერთსა და იმავე დროს მოუწევდათ მოღვაწეობა. იმასაც დავსძენ, რომ ადრესატთა სხვადასხვა ტიპი არსებობს, ისევე როგორც ზემოთ განხილულ სამეცნიერო სტატიები, ეს სამეცნიერო სტატიაც ზოგისთვის შეიძლება გასაგები იყოს, ზოგისთვის ცოტათი გაუგებარი აღმოჩნდეს; ანუ იმათთვის, ვინც ელიოტის შემოქმედებას კარგად არ იცნობენ, ზოგიერთმა ადგილმა შეიძლება მათი დაბნევა გამოიწვიოს, თუმცა სტატია ინფორმაციულობის თვალსაზრისით აშკარად გარკვეული ინფორმაციის მიმწოდებელი იქნება ყველა ტიპის მკითხველისთვის, მაგრამ გამჭვირვალე ვერ იქნება. ასე რომ მე ამ ტიპის სამეცნიერო სტატიაც გაუმჭვირვალედ მივიჩნე

რაც შეეხება ექსპრესიულობის კატეგორიას, გამოკვლევებიდან გამომდინარე, წინამდებარე ისტორიული სამეცნიერო სტატია, მე ექსპრესიულად მივიჩნე. მთავარი ადრესანტი – სტატიის შემქმნელი, ინტენციურ ზეგავლენას ახდენს ადრესატზე. ის სტატიაში აბსოლუტურად დახვეწილად და თანმიმდევრულად მსჯელობს მის მიერვე დასმულ საკითხზე, ტრადიციის გაგებაზე ელიოტის შემოქმედებაში; მართალია, ელიოტის შემოქმედებიდან, ელიოტის ანუ თავისი ქვე სუბიექტის აზრებს

წარმოგვიდგენს, თუმცა ნათლად ახდენს შემდეგ თავისი ქვე სუბიექტის ნაზრვის განმარტებას, რათა მკითხველამდე, ანუ ადრესატამდე სათქმელი თვალსაჩინოდ მიიტანოს.

სამეცნიერო სტატიის ამ ტიპის შემთხვევაში, ვგულისხმობ იმას, რომ ეს ლიტერატურული სამეცნიერო სტატიაა, დავსძენ, რომ მასში აქცენტი ძირითად მეტყველ სუბიექტზე და მის ქვე სუბიექტზეა და რა თქმა უნდა, ამ სტატიაში მათთან დაკავშირებული კატეგორიები სჭარბობს, თუმცა ბიოლოგიურ სამეცნიერო სტატიისგან განსხვავებით და ისტორიული სამეცნიერო სტატიის მსგავსად ეს ლიტერატურული სამეცნიერო სტატია ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და ექსპრესიულია, მაშინ როდესაც ბიოლოგიური სამეცნიერო სტატია ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და არა ექსპრესიულად მივიჩნე.

ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ეს ლიტერატურული სამეცნიერო სტატია მთავარი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე, დანარჩენი ორი სამეცნიერო სტატიისგან იმით განსხვავდება, რომ ემოციურობის კატეგორიას წინამდებარე სტატიაში მათგან განსხვავებულად მიუვლექი; მასში იმპერსონალური (პიროვნების მიღმა) ემოციურობის კატეგორიაა წარმოდგენილი და არა მხოლოდ ემოციურობის.



## კვლევის საბოლოო შედეგები

ჩემი სადისერტაციო თემის მიზანი იყო პრაგმატიკული კატეგორიები განმეხილა სხვადასხვა სტილის ტექსტების მაგალითზე — *იურიდიულ, მხატვრულ, საგაზეთო, სამეცნიერო ტექსტების მაგალითზე*, გამემიჯნა პრაგმატიკული კატეგორიები — გამომეყო მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული და მსმენელ სუბიექტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები; ასევე დამედგინა, ზემოთ აღნიშნულ ტექსტებში პრაგმატიკული კატეგორიების პრევალირება-ნაკლებობა და კიდევ გამერკვია, რომელი სტილის ტექსტი აღმოჩნდებოდა ყველაზე ინფორმაციული, გამჭვირვალე და ექსპრესიული.

ჩემი კვლევიდან გამომდინარე დავადგინე, რომ ჩემს მიერ განხილულ იურიდიულ ტექსტებში (არა მარტო ამ ტექსტებში, საერთოდ, იურიდიულ ტექსტებში) აქცენტი მსმენელ სუბიექტსა და მასზე ორიენტირებულ პრაგმატიკულ კატეგორიებზეა. მეტყველი სუბიექტი დაფარულია, მაგრამ არსებობს. დასახელებული ორივე კანონი ინფორმაციულია, არაექსპრესიული; გამჭვირვალობის თვალსაზრისით კი ორივე ტექსტი ნაწილობრივ გამჭვირვალეა მეტ-ნაკლებობის ფონზე. შემოვიტანე აზრი, რომ კანონის ძალაში გატარებას მიენიჭოს კატეგორიალური სტატუსი, რადგან კანონის ძალაში გატარების გარეშე კანონს ძალა არ ექნება და მის განხილვასაც აზრი დაეკარგება.

მეტყველ სუბიექტზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიებიდან უმბერტო ეკოს *"Foucault's Pendulum"*-ს ხუთივე მივუსადაგე და მაგალითებიც მოვიყვანე. მსმენელ სუბიექტზე ორიენტირებულ კატეგორიებთან დაკავშირებით კი საბოლოოდ მაინც მივიჩნიე, რომ დასახელებულ ტექსტში ყველაფერი დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის ფონურ ცოდნასა და თეზაურუსზე. ზოგიერთისთვის შეიძლება ექსპრესიულიც იყოს ჩემს მიერ აღნიშნული ტექსტი, გამჭვირვალეც და ინფორმაციულიც, ზოგიერთისთვის კი — პირიქით. ჩემი აზრით, მკითხველი სათანადოდ უნდა შეემზადოს ამ ნაწარმოების წაკითხვისათვის, რაც მას ნაკლებად მიიზიდავს (რა თქმა უნდა, ყველას არა).

უმბერტო ეკოს ნაწარმოებში მაინც მეტყველ სუბიექტზე ორიენტირებული კატეგორიები სჭარბობს, ვინაიდან მეტყველი სუბიექტი უფრო აქტიურია; მსმენელი სუბიექტი ამ ნაწარმოებს მოეპოვება მხოლოდ სათანადო შემზადებით, ფონური ცოდნითა და თეზაურუსით.

ჩარლზ დიკენსის *"Great Expectation"*-ში *"Foucault's Pendulum"*-ის მსგავსად, მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული კატეგორიებიდან, ლოკაციის კატეგორია გარკვეული ცვლილებებით ხასიათდება (ცვლილებებში იგულისხმება ლოკაციის კატეგორიის ორი ასპექტის, ტემპორალური და ლოკალური ასპექტების მონაცვლეობა). ორი სახის მოდალობიდან — სუბიექტურიდან და ობიექტურიდან, *"Great Expectation"*-ისადმი სუბიექტური მოდალობის მისადაგება შეიძლება, რომელიც ასახავს მეტყველი სუბიექტის ანუ ადრესანტის დამოკიდებულებას ტექსტში ასახული სიტუაციის მიმართ.

სუბიექტური მოდალობის კატეგორია უმბერტო ეკოსთან უფრო აქტიურად არის მოცემული, ვიდრე ჩარლზ დიკენსთან. ემოციურობის, შეფასების და დისტანტიურობის კატეგორიები კი ჩარლზ დიკენსთანაც ნათლად გვხვდება და უმბერტო ეკოსთანაც.

ჩარლზ დიკენსის *"Great Expectation"*-ის განხილვისას ცალკე გამოვყავი კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორია, იმიტომ რომ კომუნიკაციურობა მართლაც ეფექტურია, მიუხედავად იმისა, რომ გამჭვირვალობის ვერც ერთი ფაქტორი ვერ განხორციელდა; დიკენსი ხომ კლასიკოსი მწერალია და ალბათ, არ შევცდები, თუ აღვნიშნავ, რომ არა მხოლოდ ეს დასახელებული ნაწარმოები, არამედ მისი ყველა ნაწარმოები კომუნიკაციურობის თვალსაზრისით, ძალიან ეფექტურია.

მხატვრულ ტექსტში მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული კატეგორიები არსებობენ და გვხვდებიან განურჩევლად მიმდინარეობისა; მეტყველი სუბიექტი, არა აქვს მნიშვნელობა, ტექსტში მოქმედება ადამიანის ცნობიერებაში ხდება, თუ საუბრისას, ყოველთვის ახდენს რაღაცის შეფასებას და თავის ემოციებსაც გამოხატავს ხოლმე, პირდაპირ თუ არა, იმპლიციტურად მაინც.

მსმენელ სუბიექტთან ანუ ადრესატთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიებიდან, ჩარლზ დიკენსისათვის ინფორმაციულობისა და ექსპრესიულობის კატეგორიების მისადაგება საესეებით შესაძლებელია,

გამჭვირვალობა ნაწილობრივ არის განხორციელებული; უმბერტო ეკოსთან კი ყოველივე დამოკიდებულია მკითხველის კატეგორიაზე, მის თეზაურუსსა და ფონურ ცოდნაზე. ზოგიერთისთვის მისი ნაწარმოები შეიძლება ექსპრესიულიც იყოს, გამჭვირვალეც და ინფორმაციულიც.

საგაზეთო ტექსტში, პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან, უნდა განვიხილოთ არ მხოლოდ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, არამედ მასზე დამოკიდებული ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, ზემოთ ნახსენებ ტექსტებთან შედარებით შედეგი განსხვავებულია.

საგაზეთო სტატიის განხილვას ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე პრაგმატიკული კატეგორიებით ვიწყებ.

ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან მხოლოდ პერსონალური ასპექტი არ ჩანს ტექსტში, თუმცა აღვნიშნე, რომ იგი არსებობს. ტემპორალური და ლოკალური ასპექტები კი საკუთრივ სტატიაში გვხვდება.

მოდალურ კატეგორიასთან დაკავშირებით ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე აღვნიშნავ, რომ საგაზეთო ტექსტი ამ მხრივ სრულიად განსხვავდება იმ ტექსტებისაგან, რომლებიც წინა თავებში განვიხილე. ამ შემთხვევისთვის, რომელსაც მე განვიხილავე, საგაზეთო ტექსტს ობიექტურ მოდალობას მივუსადაგებდი, რადგან ძირითადი მეტყველი სუბიექტი სტატიაში სრულიად ობიექტურად ასახავს მოვლენებს. იგი თავის განცდებსა და ემოციებს სტატიაში არ გამოხატავს.

ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, საგაზეთო ტექსტს ვერც ემოციურობის, ვერც შეფასების და ვერც დისტანტურობის კატეგორია ვერ მიესადაგება, იმიტომ რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი პირადად არ არის ჩართული ტექსტში.

ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, პრაგმატიკული კატეგორიები სხვაგვარად მიესადაგება საგაზეთო ტექსტს.

ლოკაციის კატეგორიის სამი ასპექტიდან აღნიშნული შემთხვევისათვის, პერსონალური ასპექტიც შეიცვლება; თითოეული მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტთაგანი პირადად არის ჩართული ტექსტში და თავისი აზრი და შეხედულებები გააჩნია ტექსტში არსებული სიტუაციის მიმართ. და ტემპორალური ასპექტიც იცვლება. ლოკალური ასპექტი კი – უცვლელია. იმასაც აღვნიშნავ, რომ ჩემს მიერ არჩეულ საგაზეთო სტატიაში გამოვყავი

ერთი ძირითადი მეტყველი სუბიექტი და ათი მისი ქვე სუბიექტი; თითოეული მათგანი დასახელებულია ნაშრომის მეოთხე თავში.

ორი სახის მოდალობის კატეგორიიდან — სუბიექტურიდან და ობიექტურიდან, აღნიშნული შემთხვევისათვის სუბიექტური მოდალობა მივუსადაგე ჩემს მიერ განსახილველად არჩეულ სტატიას. ასე რომ, შეიძლება ითქვას, საგაზეთო სტატიისადმი ორივე სახის მოდალობის მისადაგება შეიძლება. სუბიექტური მოდალობა იმიტომ მივუსადაგე, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტები თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატევენ ტექსტში ასახული სიტუაციის მიმართ. ობიექტური მოდალობა კი — იმიტომ, რომ ძირითადი მეტყველი სუბიექტი თავად არ არის ჩართული ტექსტში, იგი სრულიად ობიექტურად ასახავს სიტუაციას.

ძირითადი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე, უბრალოდ ვიტყვი, დაწვრილებით განვიხილავს აღარ შევუდგები, რომ შეფასების, ემოციურობის და დისტანტურობის კატეგორიები თავისუფლად მიუყენე აღნიშნულ საგაზეთო სტატიას, ვინაიდან ისინი პირადად არიან ჩართული ტექსტში და ამდენად მოვლენის შეფასებასაც ახდენენ და თავიანთ ემოციებსაც გამოხატავენ.

ასე რომ, საგაზეთო ტექსტში პრაგმატიკული კატეგორიები, რომლებიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდებიან, განვიხილე არა მხოლოდ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, არამედ მასზე დამოკიდებული ქვე სუბიექტებიდან გამომდინარე.

მსმენელ სუბიექტზე ორიენტირებული პრაგმატიკული კატეგორიებიდან საგაზეთო ტექსტისთვის სამივე კატეგორიის — ინფორმაციულობის ექსპრესიულობის და გამჭვირვალობის — მისადაგებაა შესაძლებელი.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ სხვა სტილის ტექსტებთან შედარებით, რომლებიც მე განვიხილე, საგაზეთო ტექსტი ყველაზე ინფორმაციული, გამჭვირვალე და ექსპრესიულია. ამ მხრივ, კომუნიკაციაც ყველაზე ეფექტურია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ დიკენსს, რომელთანაც კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორია ცალკე გამოვყავი.

სამეცნიერო სტატიებში, ისევე როგორც საგაზეთო სტატიაში, მეტყველ სუბიექტთან ანუ ადრესანტთან დაკავშირებული პრაგმატიკული კატეგორიები უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ძირითადი მეტყველი სუბიექტიდან გამომდინარე, არამედ მისი ქვე სუბიექტებიდან გამომდინარეც.

სამეცნიერო სტატიების შემთხვევაში, აქცენტი ძირითად მეტყველ სუბიექტზე და მის ქვე სუბიექტებზეა; თუმცა არ უარყოფთ იმ ფაქტსაც, რომ საერთოდ ტექსტი იქმნება იმისთვის, რომ ვიღაცამ წაიკითხოს, ანუ ყველა ტექსტს ჰყავს თავისი ადრესატი, ხოლო ის თუ როგორ არიან პრაგმატიკული კატეგორიები მასში წარმოდგენილი მთელ ნაშრომში თვალნათლივ გამოვავლინე.

ჩემს სადისერტაციო ნაშრომში პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიის პირველი ტიპი – ბიოლოგიური სამეცნიერო სტატია ინფორმაციულად, არაექსპრესიულად და გაუმჭვირვალედ მივიჩნე.

ისტორიული სამეცნიერო სტატიის შემთხვევაში აქცენტი ძირითად მეტყველ სუბიექტზე, მის ქვე სუბიექტებსა და კიდევ მათ ქვე სუბიექტებზეა და, რა თქმა უნდა, ამ სტატიაში მათთან დაკავშირებული კატეგორიები სჭარბობს, თუმცა ბიოლოგიურ სამეცნიერო სტატიისგან განსხვავებით, ეს ისტორიული სამეცნიერო სტატია ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და ექსპრესიულია.

სამეცნიერო სტატიის მეორე ტიპი ისტორიული სამეცნიერო სტატია ინფორმაციულად, გაუმჭვირვალედ და ექსპრესიულად მივიჩნე.

სამეცნიერო სტატიის მესამე ტიპად განვიხილავ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიას.

აღვნიშნავ, რომ ლიტერატურული სამეცნიერო სტატიები სამეცნიეროც არის და მხატვრული ლიტერატურის უანრსაც მიეკუთვნება, იმიტომ რომ მათში ძირითადად მხატვრული ლიტერატურის შედეგები განიხილება სამეცნიერო ენით. ზემოთ განხილულ საგაზეთო სტატიას, ბიოლოგიურ და ისტორიულ სამეცნიერო სტატიებს მხატვრულ ლიტერატურასთან არავითარი კავშირი არ აქვთ, ხოლო ლიტერატურული სამეცნიერო სტატია კი მხატვრული ლიტერატურის უანრს მიეკუთვნება. ეს არის პირველი ძირითადი განსხვავება ჩემ ნაშრომში პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განსახილველად არჩეულ სტატიებს შორის – საგაზეთო და სამეცნიერო; საკუთრივ სამეცნიერო სტატიებს შორის.

ჩემს მიერ წარმოდგენილ ლიტერატურულ სამეცნიერო სტატიაში აქცენტი ძირითად მეტყველ სუბიექტზე და მის ქვე სუბიექტზეა და, რა თქმა უნდა, ამ სტატიაში მათთან დაკავშირებული კატეგორიები სჭარბობს, თუმცა

ბიოლოგიურ სამეცნიერო სტატიისგან განსხვავებით და ისტორიული სამეცნიერო სტატიის მსგავსად ეს ლიტერატურული სამეცნიერო სტატია ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და ექსპრესიულია, მაშინ როდესაც ბიოლოგიური სამეცნიერო სტატია ინფორმაციული, გაუმჭვირვალე და არა ექსპრესიულად მივიჩნევ.

საზგასმით აღვნიშნავ იმასაც, რომ ჩემს ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურული სამეცნიერო სტატია მთავარი მეტყველი სუბიექტის ქვე სუბიექტიდან გამომდინარე, დანარჩენი ორი სამეცნიერო სტატიისგან იმით განსხვავდება, რომ ემოციურობის კატეგორიას წინამდებარე სტატიაში მათგან განსხვავებულად მივუდექი; მასში იმპერსონალური (პიროვნების მიღმა) ემოციურობის კატეგორიაა წარმოდგენილი და არა მხოლოდ ემოციურობის.

ჩემს სადისერტაციო ნაშრომში პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილული ტექსტებიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, პრაგმატიკული კატეგორიები ყველაზე უკეთ და მეტად საგაზეთო ტექსტშია წარმოდგენილი; საგაზეთო ტექსტი აღმოჩნდა ყველაზე ინფორმაციული, ექსპრესიული და გამჭვირვალე; თუმცა იმასაც აღვნიშნავ, რომ თითოეული ტიპის ტექსტის პრაგმატიკული კატეგორიების მიხედვით განხილვისას რაღაც ახლისთვის იქნა მიგნებული, რაც განასხვავებს მათ ერთმანეთისგან და თითოეულ მათგანს თავისებურ სიბლეს აძლევს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Asher N. and Lascarides A. – The semantics and pragmatics of presupposition, *Journal of semantics* 15, 1998.
2. Bach K. – “On communicative intentions: A reply to Recanati”, *Mind and Language*, 1987.
3. Bach K. – “The semantics-pragmatics distinction: What is it and why it matters”, in Ken Turner, *The Semantics/Pragmatics Interface from different Points of View*, 1999.
4. Bach K. – “Pragmatics and Philosophy of Language”, In Horn and Ward, 2004.
5. Bach K. R and Harnish R. – *Linguistic Communication and Speech Acts*, Cambridge, Mass.: MIT Press, 1979.
6. Bhatia V. – *Analysing genre: Language use in professional settings*. London: Longman, 1993.
7. Biber D. – A typology of English texts. *Linguistics*, 1989.
8. Biber D. – An analytical framework for register studies. In D. Biber & E. Finegan, *Sociolinguistic perspectives on register*, New York: Oxford University Press, 1994.
9. Biber D. – *Dimensions of register variation: A cross-linguistic comparison*, Cambridge, UK: Cambridge University Press, 1995.
10. Brown G., Yule G. – *Discourse Analysis*, New York, Cambridge University Press, 1983.
11. Carston R. – “Negation, ‘presupposition’ and the semantics-pragmatics distinction”, *Journal of Linguistics* 34, 1998.
12. Carston R. – “The semantics-pragmatics distinction: A view from Relevance Theory”, In ken Turner, *The Semantics/Pragmatics Interface from different points of View*, 1999.
13. Carston R. – *Thoughts and Utterances, The Pragmatics of Explicit Communication*, Oxford: Blackwell. (Comprehensive and detailed presentation of Carston’s relevance-theoretic approach to pragmatics), 2002.

14. Cook G. – Discourse and Literature, Oxford University Press, 1994.
15. Davis S. – Pragmatics. Reader. (Comprehensive collection of fundamental papers in pragmatics), Oxford: Oxford University Press, 1991.
16. Eggins S., & Martin J. R. – Genres and registers of discourse. In van Dijk, Discourse as structure and process, London: Sage, 1997.
17. Ferguson E. – Dialect, register and genre: Working assumptions about conventionalization. In D. Biber & E. Finegan , Sociolinguistic perspectives on register, New York: Oxford University Press, 1994.
18. Fotion N. – “Pragmatics”. In T. Honderich, The Oxford Companion to Philosophy, Oxford: Oxford University Press, 1995.
19. Green G. – Pragmatics and Natural Language Understanding, Hillsdale, N. J. : Lawrence Erlbaum, 1989.
20. Halliday et al. 1965 : Halliday, M. A. K., Angus McIntosh, Peter Strevens, *The Linguistic sciences and language teaching*. London : Longmans, Green and C, 1965.
21. Halliday 1978 : Halliday, M.A.K., *Language as Social Semiotic: The Social Interpretation of Language and Meaning*, Baltimore: University Park Press, 1978; London: Edward Arnold, 1978.
22. Halliday M. A. K. & Hasan R. – Language context and text: Aspects of language in a social-semiotic perspective, oxford, UK: Oxford University Press, 1985.
23. Haslett B. J. – Communicational Strategic Action in Context, London, 1987.
24. Joos M. – The five clocks. New York: Harcourt Brace & World. 1961.
25. Leech G. N. – Principles of pragmatics, London N.Y, 1983.
26. Levinson Stephen C. – Pragmatics, Cambridge University Press, 1983.
27. Lyons, John. 1981.*Language and linguistics: An introduction*. Cambridge, England: Cambridge University, 1981.
28. Morris Ch. – “Foundations of the theory of signs”, In O. Neurath, R. Carnap and C. Morris, International Encyclopedia of Unifued Science I, Chicago: University of Chicago press, 1938. Reprinted in C. Morris 1971, Writings on the general theory of signs, The Hague: Mouton.



29. Ousby I. – Cambridge paperback guide to literature in English, Cambridge University Press, 1996.
30. Paltridge B. – Working with genre: A pragmatic perspective. *Journal of Pragmatics* 23, pp393-406, 1995.
31. Paltridge B. – Genre, text type, and, and the language classroom. *ELT Journal* 50, pp 237-243, 1996.
32. *Papers in Linguistics, 1934-1951*, Oxford University Press, 1<sup>st</sup> of July.
33. Phillips M. A. – Lexical macrostructure in science text. Unpublished doctoral dissertation, University of Birmingham, UK, 1983.
34. Quirk, Greenbaum, Leech and Svartvik – *A Comprehensive Grammar Of The English Language* (Longman, 1985) Retrieved from "[http://en.wikipedia.org/wiki/Randolph\\_Quirk](http://en.wikipedia.org/wiki/Randolph_Quirk)"
35. Rosch E. – Principles of categorisation. In E. Rosch, & B. Lloyd, *Cognition and categorisation*, Hillside, NJ: Lawrence Erlbaum, 1978.
36. Stalnaker R. – “Pragmatics”, Oxford: Oxford University press, 1970.
37. Taylor, John R. – *Linguistic categorization: Prototypes in linguistic theory*. 2nd edition. Oxford: Clarendon Press, 1995.
38. Trudgill P. – *Introducing language and Society*, Oxford University Press, 1992.
39. Verschuren, J. – *Understanding Pragmatics*, Arnold, 1999
40. Wikberg K. – Discourse category and text type classification: prosedural discourse in the Brown and the LOB corpora. In Leitner, Gerhard, *new directions in english language corpora: Methodology, results, software developments* (pp247-261), Berlin: Mouton de Gruyter, 1992.
41. Woods T. – *Who's who of twentieth century novelists*, London and New York, 2001.
42. Yule. G. – *Pragmatics*, Oxford University Press, 1996.
43. Арутюнова Н. Д. – Предложение и его смысл, М, 1976.
44. Арутюнова Н. Д. – Номинация и текст, сб, Языковая номинация, М, 1977.
45. Арутюнова Н. Д. – Фактор адрессата, изд. А. Н, СССР, № 4, 1984.

46. Арутюнова Н. Д. – Истоки, проблемы и категорий прагматики, Новое в зарубежной лингвистике, выпуск XVI, лингвистическая прагматика, Москва, "Прогресс", 1985.
47. Барт П. – Лингвистика текста, Новое в зарубежной лингвистике, выпуск VIII, лингвистика текста, Москва, "Прогресс", 1978:
48. Бенвенист Э – Уровни лингвистического анализа, Новое в лингвистике, выпуск 6, М, 1968.
49. Бенвенист Э – Общая лингвистика, М, 1974.
50. Богин Г. И. – Модель языковой личности и ее отношение к разновидностям текстов. Л-д, 1984.
51. Богин Г. И. – Уровни и компоненты речевой способности человека. Калинин, 1975.
52. Ван Деик Т. – Вопросы прагматики текста, Новое в зарубежной лингвистике, выпуск VIII, лингвистика текста, Москва, "Прогресс", 1978.
53. Вежбицка А. – Метатекст в тексте, Новое в зарубежной лингвистике, выпуск VIII, лингвистика текста, Москва, "Прогресс", 1978.
54. Вежбицка А. – Язык, культура, познание, Москва, Русские словари, 1997.
55. Вольф Е. М. – Эмоциональные состояния и их представление в языке, Логический анализ языка; Проблемы интенциональных и прагматических контекстов, Москва, 1978.
56. Гак В. Г. – Прагматика, Узус и Грамматика Речи, Иностранние Языки в Школе, № 5, Москва, 1982.
57. Гальперин И. – Текст как объект лингвистического исследования, Москва, Наука, 1981.
58. Гвенцадзе М. П. – Коммуникативная лингвистика и типология текста, Тбилиси, 1986.
59. Гумбольдт В. – Избранные труды по языкознанию, М, 1984.
60. Горелов И. Н. – Вопросы теории речевой деятельности, Таллин, 1987.
61. Демьянов В. З. – Морфологическая интерпретация текста и ее моделирование, М, 1992.

62. Изенберг Х. – О предмете лингвистическое теорий текста, Новое в зарубежной лингвистике, выпуск VIII, лингвистика текста, Москва, "Прогресс", 1978.
63. Кибрик А. А. – Модусы и жанры дискурса, Общая теория словесности, 2005.
64. Кифер Ф. О. – Роли прагматики в лингвистическом описании, Новое в зарубежной лингвистике, выпуск XVI, лингвистическая прагматика, Москва, "Прогресс", 1985.
65. Николаева Т. – Лингвистика текста, Новое в зарубежной лингвистике, выпуск VIII, лингвистика текста, Москва, "Прогресс", 1978.
66. Пробст М. – Текст в системах коммуникации, Проблемы структурной лингвистики, Москва, 1978.
67. Сталл П. – К программе лингвистики текста, Новое в зарубежной лингвистике, выпуск VIII, лингвистика текста, Москва, "Прогресс", 1978.
68. Сталл П. – Значение, содержание и прагматика, Новое в зарубежной лингвистике, выпуск XVI, лингвистическая прагматика, Москва, "Прогресс", 1985.
69. Степанова Ю. С. – Семиотика: Антология, М, 2001.
70. Столмейкер Р. С. – Прагматика, Новое в зарубежной лингвистике, выпуск XVI, лингвистическая прагматика, Москва, "Прогресс", 1985.
71. Тураева З. – Лингвистика текста, Ленинград, 1986.
72. Чейф У. – Значение и структура языка, Москва, 1975.
73. Языковая деятельность в аспекте лингвистической прагматики (сборник), Москва, 1984.
74. დარასელია ნ. – შორისდებულთა სოციალური ფუნქციები ზეპირმეტყველურ დისკურსში, საენათმეცნიერო ძიებანი, № 9, ქართული ენა, თბილისი, 1999.
75. ენუქიძე რ. — ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1990.

76. კიკვიძე ზ. – ენა კულტურაში და კულტურა ენაში, ავტორეფერატი, თბილისი, 2004.
77. ლებანიძე გ. — ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, "ენა და კულტურა", თბილისი, 1998.
78. ლებანიძე გ. – კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, 2004.
79. რამიშვილი გ. – ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბილისი, 1995.
80. სერგია ვ. ა. — ტექსტის ლინგვისტიკა, განათლება, თბილისი, 1989.
81. ფურცელაძე ვ. – ტექტი, როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება, სამშობლო, თბილისი, 1998.
82. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8, თბილისი, 1984.
83. შენგელაია ნ. — ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1987.
84. [http://en.wikipedia.org/wiki/Foucault's\\_Pendulum](http://en.wikipedia.org/wiki/Foucault's_Pendulum)
85. [http://en.wikipedia.org/wiki/Great\\_Expectations](http://en.wikipedia.org/wiki/Great_Expectations)
86. [http://lt.msu.edu/vol5num3/lee/Language Learning Technology/September 2001, vol 5, num. 3. pp 37-72](http://lt.msu.edu/vol5num3/lee/Language_Learning_Technology/September_2001_vol_5_num_3_pp_37-72)
87. [http://en.wikipedia.org/wiki/scientific\\_article](http://en.wikipedia.org/wiki/scientific_article)
88. [http://en.wikipedia.org/wiki/scientific\\_method](http://en.wikipedia.org/wiki/scientific_method)
89. <http://en.wikipedia.org/wiki/register.com>
90. <http://en.wikipedia.org/wiki/Genre.com>
91. [www.articles.com](http://www.articles.com)
92. [www.dictionaryofwords.com/o/definition of term o, meaning of o](http://www.dictionaryofwords.com/o/definition_of_term_o,_meaning_of_o)
93. [www.genreandregister.com](http://www.genreandregister.com)
94. [www.mandala.com](http://www.mandala.com)
95. [www.pragmatics.com](http://www.pragmatics.com)
96. [www.scientificarticles.com](http://www.scientificarticles.com)
97. [www.visionlearning.com/library/module\\_viewer](http://www.visionlearning.com/library/module_viewer)

### საილუსტრაციო მასალა:

98. A biological scientific article: “Living Longer: Science”,  
[www.aarpmagazine.org/health/living\\_longer\\_science](http://www.aarpmagazine.org/health/living_longer_science)
99. A historical scholarly article: “Women in the history of the church”,  
[www.historicalrenewal.com/articles/women\\_church\\_history](http://www.historicalrenewal.com/articles/women_church_history)
100. A newspaper article: "Britain's complacent' policy on Sars attacked as virus claims more victims" from the "Daily Telegraph", victims", dated on 25<sup>th</sup> of April of 2003.
101. Dickens Charles, "Great Expectations", Penguin Popular Classics, 1994.
102. Eco Umberto, "Foucault's Pendulum", translated from Italian by William Weaver, Ballantine Books, New York, 1990.
103. Georgian Law on Electricity and Natural Gas (the English version), [www.georgianlaws.com](http://www.georgianlaws.com)
104. The Constitution of Georgia (the English version).  
[www.parliament.ge/Legal\\_Acts/Constitution/consem.html](http://www.parliament.ge/Legal_Acts/Constitution/consem.html)
105. [www.charlesdickens.com](http://www.charlesdickens.com)
106. [www.umbertoeco.com](http://www.umbertoeco.com)
107. გამსახურდია ზ. – “ტრადიციის გაგება ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში”, ცისკარი, ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, საქ. პცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 4 აპრილის ნომერი, 1971.

